

14
944/2



მნათობი

12

თბილისი
1944

ბრძოლის
შედეგად

მნათობი

სრულიად-საქართველოს სამქითთა მწერლებსა
ვანარსს ყოველთაგანი სალიცურაგურთ,
სახელთგნთ და საბოგადოებრივ-საპოლიციეთ
ქრინალა

საქმიანი მოცდაბითი

12

92207
40/3



19

დეკემბერი
საბჭოთა

საქართველოს
საბჭოთა
ბიბლიოთეკა

საკრედიტო კოლეგია:

აგაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გაბუნაძე კონსტანტინე
გალაძე კარლო
გაგაშვილი ალიო (პ.მ. რედაქტორი)
გოსაშვილი ილო
ტაბიძე გელაგბონ
ჭიაბელი ლეო
შენგელაია დიმიტრი

ბეჭდვით დასაბუთებულია 5/II-45 წ. ნაბეჭდო ფორმითა ჩაბეჭდვითა 8.
მეტ. № 2439. ში 01145. ღირებ. 4770.

საბეჭდოების ბეჭდვით სიტყვის კომიტეტი, თბილისი, ვოროსის ქ. № 5.
ბეჭდვითის მისამართი: მანაშლას № 13, მწერალთა კავშირი, ტელ. 3-04-14.



ქართული
ენობრიობა



ს ვ ა რ ი ნ ს

ბელადო, მხედართმ ავეარო, სტალინო, დიდო სარდალო,
მთელი ზმელეთის სიმაგრეც, იმედო შეუსადარო!

დღეს ხარობს ქართველი ხალხი, სიხარულის დღის ზიარი,
გამარჯვების დღე მოშუქდა, — ეს უენი დროშის მზე არი!

ეინ დაივიწყებს ამ დღეებს, რომელი ცისქვეშ მავალი?
თაობე თაობას ეტყვის და მოდემას შთამომავალი!

თუ გადმოვარდნილ ზღვის მზგავსი მტერი ვით გაუფანტია
სამშობლოს, წითელ არმიას, დიდ ბოლშევიკურ პარტიას!

ჩვენ გვაამაყებს ხალხის გზა, გავლილი ცხარე ომებით,
და სტალინური ლაშქარი ბრძოლებში ვულ-უკრთომელი.

ჩვენ ვიმეორებთ უენს სიტყვებს, ის ჩვენთვის მარად ტკბილია:
„უწმინდურთაგან სამშობლო მთლიანად გაწმენდილია!“

მტრის მღვრიე ტალღა შეიმსხვრა საბჭოთა ხალხის ფოლადზე,
ალიფხვრას მტერი ბუნაგში, მისი ცა ცეცხლში ბოლავდეს!

ამოგვიბრწყინდა, დაგენათის თავს გამარჯვების ცისკარი,
უენის მარჯვენით ნაჭედი, მშვენება — დაუეიწყარი!

განელო ხალხმა მძიმე დღენი და ათასი განსაცდელი,
არ ვახარეთ ჩვენი მტერი, ჩვენი ხალხის სისხლის მსმელი.

ჩვენ განდევნეთ დამპყრობელი, ქვეყნად შავი ჭირის მფენი,
სიმტიეცე და გულმავრობა რადგან გვქონდა მხოლოდ უენით.

რადგან მუდამ წინ გვიძლოდა უენი ნება, სიბრძნის ძალი,
რადგან გმირს და მხედართმთავარს არავინ გყავს ქვეყნად ცალი!

რომელმა გმირმა გაკვალა უენებრ დიდებით გზაკვალი!
ასეთი მტერი ვის ჰყავდა, დაუნდობელი, მზაკვარი!

ასე ვის გაუმარჯვენია უთქმელი გამბედაობით,
 ბრძოლაში, სადაც სწყდებოდა ბედი შრავალი თაობის!

სასტიკს ბრძოლებში გამოიჩინდა შენი სარდლური გენია,
 შენი ბრწყინვალე აზრები სამშობლოს სიმაგრენია!..

შენს სახელს, ძვირფას საუნჯეს ყოველ ჩვენგანის გულისა,
 შმოსავს სითბო და სინათლე ძმურ ხალხთა სიყვარულისა.

დამონებული ევროპის ხალხნი შენ შემოგცქერიან,
 გერმანელ მონათმფლობელთა უღლიდან დახსნას ელიან.

შენი სახელი, მსოფლიოს ცაზე მფანტველი ნისლისა,
 ეღვარებას, როგორც იმედი კაცობრიობის წინსვლისა.

ხალხი უმღერის დიდ სტალინს, მოვლენილს ხალხთა ბეგადად,
 ვინც ჩვენ აღგვზარდა, დაგვრახმა სამშობლო ჭვეყნის მცველად!

„გმირი გვეყოლია წინათაც,
 მაგრამ სტალინი სხვა არი,
 ეგი სიბრძნის და სინათლის
 დაუშრეტელი ზღვა არი!“

მტრის მიწა-წყალზე იბრძვიან დღეს ჩვენი ჭვეყნის ჯარები,
 მტერს მის საზღვრამდე მისდიეს და შეუმტვრიეს კარები.

ევროპის ხალხთა საშველად ძლიერამოსილნი მიდიან,
 ბორკილ-აყრელთა ზეიმი და სიხარული დიდი.

გერმანელ დამპყრობთ უღლის ჭვეშ მყოფმა ერებმა იციან,
 რომ სტალინური ჯარები მათ დასახსნელად იბრძვიან.

ამ დროს, როცა ამობრწყინდა გამარჯვების მზე მაღალი,
 საქართველოს დიდ სიხარულს უერთდება კვლავ ახალი.

ფრონტისა და ზურგის მებრძოლთ, გამოიჩინილ მუშაკს ყველას,
 ვინც ამიერკავკასიის მახადგომებს მიეშველა,

ვინც იმ ძნელ დროს ვაგაკურად მცნობი იყო თავის საქმის,
 ურიგებენ ყველას მედალს „კავკასიის დაცვისათვის“.

ჩვენ ეს ჯილდო მოგვაგონებს იმ უდიდეს საფრთხის ხანას,
 როცა მტერი უღმობელი დაემუჭრა ჩვენს ჭვეყანას;

ცხრავს ორმოც და ორი წლის იმ სუსხიან შემოდგომას,
 როცა მტერი აპირებდა კავკასიის ბჭეზე დგომას.

ახლა ჩვენთვის უფრო ცხადად, უფრო ნათლად ისახება, თუ რა საშიშ საფრთხის ძლევეთ ხალხმა თავი ისახელა.

თუ წითელმა ჯარმა ტყვია რა ვერაგ მტერს დააბალა, რა განსაცდელს აგვაცდინა ჩვენ სტალინის სიბრძნის ძალამ.

ბევრი ტანჯვა განიცადა საქართველომ თავის გზაზე, ბევრჯერ კერას შეჭი აკლდა, მზეს ღრუბელი ნთქავდა ცაზე.

ველურ გრგვინვით დაარღვიეს ბევრჯერ ქვეყნის მყუდროება ჩინგის-ხანის, თემურ-ლენგის სასხლიანმა ურდოებმა.

მაგრამ ჩვენს ხალხს ამ დიდს გზაზე, თუმც ბევრ მტერთან უბრძოლია მტერი ესდენ საშინელი არასოდეს არ ჰყოლია.

გერმანელი ფაშისტები გვიპირებდნენ ქვეყნით აღგას, უშხადებდნენ შეგინებას ჩვენს წინაპართ წმიდა აკვანს.

სურდათ სისხლით მოედვარათ საქართველოს კარ-მიდამო და ჩატკროთ ეროვნული ჩვენი კერა სამუდამოდ.

პიტლერელი დამპყრობლები უშხადებდნენ ნგრევას თბილისს, საქართველოს ამ დიდ ვულზე დაღესილი ჰქონდათ კბილი:

იმიტომ რომ აქ სტალინი — ქაბუკობის პირველ დღიდან — ნაბერწყლიდან ცეცხლს აჩენდა, ბოლშევიკურ კერას ჰქმნიდა;

ხალხს რაზმავდა, — ნათელ აზრებს უნერგავდა ურყევ რწმენად, ბოროტების დასამზობად და სიპართლის დასადგენად.

მაგრამ მტერი ვერ ეღირსა ჩვენი ქვეყნის გლოვის ნახვას, — საქართველოს ბაღნარების გადათელვას, გადალახვას.

როცა იგი კარს მოგვადგა მოწოლილი შავზე შავად — დადგა მთელი საბჭოეთი საქართველოს დასაცავად.

იღვნენ, მკვრიდით იფარავდნენ კავკასიის მყინვარ-ქედებს, დარიალის კლდე-ჭიშკარა მტერს ხიშტებით ჩაუკეტეს.

აქ უწინაც უბრძოლნიათ, მთა და ბარი ზანზარებდა, აქ ხედებოდნენ პაჭანიკებს, აქ იბრძოდნენ ხაზარებთან.

მოდიოდნენ ურდოები, როგორც მთებში შავი ნისლი, ნიაღვარად იღვრებოდა წინაპართა წმინდა სისხლი.

იმ კლდეკართინ, სად ქართველ ხალხს მოეშველა რუსი ხალხი, ძმური ხელი გაუწოდა — გარემოცულს მტრების ალყით.

სამამულო ომის დროსაც, თერჯის ხმაზე გამყვიარო —
 მიუვალ კლდეთ აღიმართა იალბუზი და მყინვარი.

არ დამარცხდა საქართველო, დაიღწა ურდო მტერთა,
 რადგან „ქართლის ბედს“ ვიცავდით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად.

უძლეველმა ჩვენმა ჯარმა, აღჭურვილმა შენის ნებით —
 მტერს მხნედ დაპყრა დარიალთან, დაუბნია ყველა გზები.

ეს ლაშქარი უძლეველი შენმა მტკიცე ნებამ ზარდა
 და ბრძოლაშიც თან მოგხვედბა — შენ, ბელადს და მთავარსარდალს

ამ ბრძოლაში ჩვენი ხალხი შენი დროშის დარს ჰფიცავდა,
 თავს იცავდა, ამავე დროს — საბჭოეთის ხალხს იცავდა.

ურყევია, უძლეველი ხალხთა ფიცი, ხალხთა ძმობა,
 უკვდავია სტალინური მეგობრობის დიდ გრძნობა.

მეგობრისადმი საყვარულს ოდით ნერგავდა ქართველი,
 აგრე აანთო მამულში ცხოველმყოფელი ნათელი,

ათასი წლობით შობილი, წრფელი გულიდან ნაკეცი,
 აღზარდა გრძნობა ძმობისა, მტკიცე და უსაბუტაკესი.

„მომმისთვის თავი გასწირო ვაჟაკის ველი ეს არი,“ —
 ამას/ხმლით წერდა ქართველი ბრძოლაში დაუკენსარი.

ეს გრძნობა ჰქონდა მარადეამს, სულში სინათლის მფენელი,
 მამა შეილს უანდერძებდა, თიობებს — ეამთალმწერელი.

ამირანის თქმულებაშიც ეს გამოსთქვეს წინამრებმა,
 რუსთაველის უკვდავი ხმაც ამ გრძნობებით ილამბრება.

ბარათაშვილს უმღერია მომმისათვის გულანთებით,
 მოწყრიალე სტრიქონებით, ვაჟაკური თავდადებით.

მღეროდნენ ჩვენი პაპანი, კეთილშობილი ზრახვანთ
 აღზარდეს, გულით არწიეს როგრაც გმირების აკვნაი.

ასე შედგულა, შემტკიცდა ხალხი რუსი და ქართველი
 თავისუფალი, უღრეკი, თავის ცხოვრების მმართველი.

შემტკიცდა ერი თექვსმეტი, — თექვსმეტი მოძმე მამაცი,
 დაიცვეს ხალხს ღირსება, თვისი მამული ლამაზი.

ვინ მოგვცა ძალა უშრეტი, მიაღლი სიბრანე გვაპყრა,
 ვინ შეგვაერთა, შეგვმართა და გამარჯვება გვარჯუნა?

ვინ ჩაგვინერგა პარტიის ბოლშევიკური სიმართლე,
მისდამი თავდადება და მისი ჭრების სინათლე?

ბრძოლის
გაგონების

ესაც მიწაზე ხალხისთვის სიმართლის დროშით უფლია,
ესი ცხოვრებაც მამულის უსაზღვრო სიყვარულია,

მშრომელთა საკეთილდღეოდ ვინაც მოიგო ბრძოლანი,
ვინც გაიარა ხალხისთვის გრძელი გზა სახელოვანი.

ეს არის შენი ცხოვრება — გორიდან კრემლის კარამდი,
შესავით გაბრწყინებული, სხივფენარე და მარადი.

კავკასიონის დამცველი, მრავალზე უფრო მრავალი,
ბრძოლის ველისკენ ფიცხელად, შემართებულად მავალი,

ჯერ შენს კერას ნახულობდა, გორში გაშლილ კარმიდამოს,
მამულისთვის ფიცი ეთქვა ზრტვევი და სამუდამო.

მიეტანა სამშობლოსთვის თვით სიცოცხლე საკუთარი
და დაეცვა საქართველო არწივების საბუდარი.

ეს წმინდა ფიცი გმირებმა ბრძოლაში დაადასტურეს,
დალეწეს მტერთა ჯავშანი, მთებს მათი სისხლი ასტურეს.

მათ შთააგონა პოეტმა და უანდერძა ნამუსად:
„ფუქია კაცის სიცოცხლე, თუ ვერას აიგებს მამულსა“.

ჩვენ მიგვიძლოდა ეს ფიქრი, გადაფენოდა მთა-გორებს,
არ ვიშურებდით სიცოცხლეს, არ ვიშურებდით ძალღონეს.

სტალინის ფრთისქვეშ შეიძლო დაეაგეცება ქვეყანამ,
შემუსრა, მოსბო, დალეწა მტერი ბილწი და მკვებარა.

რა წამს ომის ხმა გაისმა, როგორც ძმამ მოსკოვს უვლელმა —
მთამ მთას გასძახა სალაშქროდ, ველებს გასძახეს ყვლებმა.

ამხედროდნენ ქართვის შვილები — უწინაც ბევრჯერ ნაცლი,
ხნულიდან სამკედურამდე, ყველა გზით — ყველა კაცამდი.

რომ დახედროდნენ მოსისხლეს მტკიცე მკლავით და ჯანადა,
გზას ულოცავდა დედა შეილს, შეილი მამასა გზავნიდა.

„მიტომ გავგზარდა დედამა,
მისთვის გვეტყოდა ნანასა,
არ ვაქვლინოთ სამშობლო
მოსისხლეს ათასგვარასა,

ცოცხალი თავით ვერ მივსცემო
შტერს ჩვენი მიწის ღალასა! —

საქონელო
საქონელო

ამ თვის ატანდა ქართველი ბრძოლაში შეიღს და მამასა.

განა ერთი გმირი მისცა საქართველომ მშობელ მხარეს!
სამამულო ომის ველზე მათ შტრის სისხლი უხვად ღვარეს.

ვოლგაზე და დნებარზე ცეცხლით მისთელადენენ პარტოშ ბნელეთს,
მის ბუნაგში მუსსის ავლებენ ღღეს ჰიტლერელ კაცისმკვლელებს.

ბევრიც დაეცა გმირულად, მკედარსაც ბან გაჰყვა კაცობა,
იმ ქართველ დედის დიდება, რომელმაც ქუძუ აწოცა.

რადგან სამშობლოს იცავდა, რადგან შენს ღროშას იცავდა,
კედებოდა სამშობლოსათვის და შენს სახელსა პფიცავდა!

ბრძოლის ველზე გასულ გმირებს გმირთა კერა დარჩათ შინაც,
მიწას მიწა მიუმატეს, მიაშველეს რკინა რკინას.

ქარხანაში, შადაროში, ვენახში თუ მინდორ-ველად, —
ერთი მკლავი ასად იჭტა და შენს ძახილს გაჰყვა ხელად.

ქალმა, მობუცმა, მოზარდმა აგვიესეს მამულ-დედული,
მინდვრებში გუთნის ხმა იღგა და დედის გუთნისდედური.

და შტერი კავკასიონის ქედს რომ მოაწყდა მუქარით; —
ცეცხლს ყრიდა ჩვენი ქარხნების ყველა ქურა და ბუნარი.

ომში ხალხს მისცა სიმტკიცე, შრომის დევ-გმირი გახადა,
მადანს შეებო — დადნო, მიწას შეებო — დახატა.

შიტოშ ბერს დარჩა სახელი მამულის პირველ კაცისა,
ბევრსაც ამშვენებს მედალი კავკასიონის დაცვისა.

ოვრ წილად ხედათ თბილისელ რკინიგზის ქარხნის ოსტატებს,
მათ დაზგებს სული ჩაუღდეს, რკინას რაც აქონდა მოსტატეს.

ორმოცდახუთი წლის წინათ ბრძოლით გაუძეხ ბრძოლამდე,
მაშინ დააწრთე მათ გულებს ბოლშევიკური ფოლადი.

მაშინ ჩაყრილი სამირკელად — აზრი სიმართლის მკედელი,
ღღეს ჩვენს ქვეყანას არტყია, როგორც ურყევი კედელი.

არ უმტყუნებია შენს ამაგს, არც იქ გამოზრდილ ვაჟაკებს, —
მაშინ რომ მიეც მახვილი — ღღეს ამ ბრძოლებში კაშკაშებს!



ომის წლებში საქართველო მრავალნადად საქმის გარდა, ^{საქართველოში}
 ასალ-ასალ ქარხნებითაც შეიქმნა და გაიზარდა. ^{განვითარდა}

აქ იწრთობენ ნაცად რკინას, — ბრძოლაში რომ ჰქუჟს და გრგვინავს,
 ის თან მიაქვს ზმელეთის გმირს და ზეცაში მიაქვს მფრინავს.

აქ იწრთობა თვითონ ქაცი, როგორც რკინა დაშნის პირათ,
 ვანა ერთი, ვანა ასი მუშა იქცა შრომის გმირად!

ვანა ერთმა ასახელა შენი ავენის წმიდა კერა, —
 მათი საქმე ჩაღხის გულში სამუდამოდ ჩაიწერა!

ჩვენი შავი ჭვის მწლარო, ჩვენი ტყიბული, ტყვარჩელი,
 ჩვენი მიწა და ქარხანა, მარჯვენა — ცეცხლის გამჩენი,

შრომობს დღე და ღამ ფრონტისთვის, იგიც შემტვევი რაზმი,
 სულაც ხომ ბრძოლის ველია, იგიც ხომ წინა ხაზია!

ბელადის აზრით მოქმედებს, უსმენს ბელადის ბრძანებას —
 ჩვენი სწავლულის გონებაც, ხელთენის ხელოვანებაც.

მათი აზრი და ამაგი გამრავლდა ერთი სამადა,
 მტრის დასამბობად იბრძვიან, — სამშობლოს დასაცავად.

გავეძღვეთ, დიდო ბელადო, ომში არ გაევიწირენით;
 ბედნიერნი ვართ, — ჩვენც ვართ ამ დღეთა მონაწილენი.

შენ გაუთენე საბჭოეთს დღე ნათელი და მზიანი,
 შენ ზარდე, გმირად აქციე საბჭოთა ადამიანი,

შენ შეაყვარე დიდებით განათებული წარსული
 და მომავალიც შენსავე დროშაზე გამოხატული!

მშობელ ჭვეყნის სიყვარულით შენ აღავსე გული ჩვენი,
 შენ აღზარდე მეომრები გამარჯვების სრული ჩწმენით,

რომ დაიცვან, რაც საბჭოთა წყობილებამ მოვეციბოვა,
 რომ დაიცვან, რაც წარსულმაც დიდებული დაგვრტოვა.

სრულდება შენი ბრძანება, — მტრის ზეცა ჩამონისლულა,
 ჩვენგანვე წელმოწყვეტილი მხეცი უფსკრულთან მისულა.

რომ შიგ ჩაეჩებოთ ვერავი და მიწა-მიწა მპრომელა, —
 ასკეცად იბრძვის მებრძოლი, ასკეცად შრომობს მპრომელი.

ვაკაცებს შენი სახელი დროშებზე დაუწერიათ
 და გამარჯვებულ სამშობლოს სასიხარულოდ მღერაიან:

„აღარ იღარდო, მშობელო,
 ენლა ხომ ჩენი ჯერია,
 მტერს დავაყენებთ ისეთ დღეს,
 ზურგზე ვადინოთ მტვერია.
 შურისძიება მტერზედა
 ძველთაგან ვაქვაცო წესია,
 სულ ერთად მოვაშკივნებთ
 რაც ჩვენზე დაუთესია“.

არც ებლა შერჩა ვერაც მტერს, რაც მოსპო, რაც მოარბია,
 მხეცს შოგ ბუნაგში შეუბტა გმირი წითელი არმია.

მედგრად ვეკვეთეთ სისხლისმსმელს, გულში ვუსწორეთ ლაბვარი,
 დასაველეთიდან კახს უმტვრევს მოკავშირეთა ლაშქარი.

უკანასკნელი დარტყმაც და ძირს დაეცემა მტარვლი,
 გამარჯვების მზე დიადი შექს მოგვფენს ამოშავალი.

შენს საოქრომბრო სიტყვაში გვესმოდა ბრძოლის ნაღარა,
 მან გამარჯვების დღეების მოახლოება გეახარა.

ბრძნულ ნათქვამს გულზე ვიწერდით, დიდი სამშობლოს შეილება,
 შენსკენ მოჰქროდნენ ტაშები — გულიდან წაშოშლილები.

შენს სიტყვას ესანეთ ჩირაღდნად, გამარჯვებათა, თავდებად,
 ფრონტზე და ზურგში დღედაღამ ვფმატებთ ჩვენს თავდადებას.

შენა ხარ ჩენი სიკოცხლე, მნათობზე უფრო ნათელი,
 გულით შენდამი სიყვარულს ატარება ყველა ქართველი.

სიტყვა არ ჰყოფნის ქართველ ხალხს, სტალინ, შენდამი მადლობად,
 ჩვენ შენმა სიბრძნემ დაგვიხსნა და შენმა მთავარსარდლობამ.

მტრის ურდოები კარს გვადგენ, სურდათ ვეჭვიეთ მონებად.
 იმ მხელ დროს ჩვენთვის ზრუნავდა შენი ფიჭვი და გონება.

როცა სცადა დამპყრობელმა მყინვარებზე ფეხის შედგმა,
 შენ დასახე, შენ მოგვეცი მტრის დაღუწვის ბრძნული გეგმა.

თავს დავატყდით თავზედ მომბდურს, ცეცხლით, ტყვიის ქარიშხლითა,
 შეჯავშნული ურდოები კლდეკარებთან გაივლიტა.

შენ გიმალით რომ არ დავრჩით აკლებული, უსახლკარო,
 გმირო, რველის უმტკიცესო, კლდეზე მეტად გულმზავარო.

გმირი წითელი არმიის მებრძოლთაგანო პირველო,
 სიბრძნით, ვონების სინათლით, სიმტკიცით გასაკვირველო!



ასეულ წლობით ნანატრი შენ ავეიზდინე ოცნება,
ცაზე უღრუბლო შუქი ხარ, ჩვენი გზის გასხივოსნება.

შენებრ ხალხს ვინ ემსახურა, ქვეყნად ერთი გვეულები,
შენ აღგებარდე უკვდავ ხალხის სიყვარულით, ერთგულებით.

ბედნიერი ჩვენი ხალხი, მადლიერი საქართველო,
შენს დიდებას მღერის მარად, შენ მოვმართავს, ჩვენო მხსნელო:

საშინელი განსაცდლისგან შენ იხსენი ჩვენი კერა,
წინ გვიძლოდა შენი აზრი, გონება და გულის ძვერა.

და თუ ჩვენს ხალხს გამარჯვება მოუტანა დიდმა ბრძოლამ,
მხოლოდ შიტომ, რომ შენ გვეყავდი ამ ბრძოლაში წინამძღოლად.

მაშ იცოცხლე, რადგან ჩვენ ხალხს შენ სიცოცხლე შეუქანებ,
გმირთა გმირო, ჩვენ გულებზე დატიხატეთ შენი სახე.

შენ იცოცხლე ჩვენი მამავ, ჩვენი მხსნელო, ბრძენთაბრძენო,
იდღეგრძელე მტრისათვის რისხვად და სამშობლოს სადღეგრძელოდ!

ქვეყნის დამცველებისათვის შედლის „ქვეყნის
დაცვისათვის“ გადაცემასთან დაკავშირებით საქართ-
ველოს მშრომელებმა წერილით მიმართეს ამხანაგ
სტალინს.

ეს წერილი შემდეგ ლექსად გამოსატყვეს პოეტებმა:
გიორგი ტეონიძემ, ალექსანდრე აბაშელმა, ილია
მაშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, ილია მოსაშვილმა,
ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ.

ალიო. მათაშვილი

გამარჯვების მთავარსაჩივრი

ბელადო! შენს შზეს ვადიდებთ ყველა,
სუსტი შესცვალე ისევ ზაფხულად,
შენს ბრძენ სახეზე, ვით ცისარტყელა,
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა.

მტერი გაედევნეთ, — გაჰყვა იარა,
ორთი ზეიმის მძლავრი ხმეზია,
სისხლის აედარმა გადაიარა,
მტერს შენი რისხვა დასჯახეზია.

შენ ბრძოლით განვლე გზა მეწამული,
ბნელს ძლიე შენი დროშის ნეთელით,
მტრის ბრწყყალეზიდან იხსენ მამული
და მოაზორე ხალხს განსაცდელი.

იცოცხლე! ხალხის გულში გაქვს ბინა,
აზრით ბრძენო და საქმით მართალო,
იცოცხლე! დროშად გვიძლოდე წინა,
შენ — გამარჯვების მთავარსაჩივრადლო!

21 ღაქეზგერი

ყოველ ქვეყანას თავისი გზა აქვს,
 ბედის ვარსკვლავი მიუძღვია ქართლსაც.
 მე ვგრძნობ ყოველ წუთს და ყოველ საათს:
 სხვა საქართველო არ არის არსად!
 სხვაგან სად არის მიწა ამგვარი,
 რომლის ბელტიც კი ყვევლად კმირა?
 შეხედეთ მყინვარს — სვეტად დმდგარი,
 ჩირალდანივით ანთია მარად.
 სულ სხვა სინათლე და სხვა იერი
 ახლავს ჩვენს ლიევიარდს, წვიმას და ქარსაც.
 პყუაოდეს მიწა სვებედნიერად —
 სხვა საქართველო არ არის არსად!
 მას ვაქეთუერი ბრძოლებით სავსე,
 სახელოვანი წარსული ჰქონდა.
 მზე ეღვარებდა მის მაღალ ცაზე
 უფრო ხშირად კი ქარბუჭი ჰჭროდა.
 ერთი დღე თვალებს თუ გაახედდა,
 უკან ორმოცი ღამე მოსდევდა.
 დამის საბურველს ვინღა დაჰხედდა,
 მზეს წყვილიადიდან ვინ ამოსწევდა?
 რამდენი გმირი გამოჩენილა —
 მხნე მეთმარი, მეფე, სარდალის
 ზოგთა სახელი თუ დარჩენილა,
 რაველთა ჩრდილსაც აღარსძღ, არც
 ქება ისმოდა აკენის ნანაში.
 იმ დიდ გმირების წმინდა სახულავთა,
 ქართველი ხალხი ამ ქვეყანაში
 სწინათლისაკენ გზას იკაფავდა.
 არ გაუვლია მას ეს გზა მრუდად,
 თუმც ათას საფრთხეს გადაეყარა,
 ხელში მახვილთ ეჭირა მუდამ,
 რომ ოფლზე მეტი სისხლი ეღვარა.
 შეინარჩუნა ამ სისხლის ფასად
 თვისი ნამუსი დაუძრავი.
 იცავდა მიწას, ხესა და ქვასაც,
 რასაც სამშობლოს ერქვა სახელი.
 არ გასტეხია გული მაშინაც,

როცა დაირღვა ქვეყნის კავშირი
და ძტრობას მჭონდა გარედ და შინაც
ძალმოძრეობის წსელი გაშლილი.
როცა კოშკებად ამართულ ქედებს
ქვესა და რკინას უშენდა მტერი,
როცა დანგრეულ ტაძრების კედლებს
ეფიხებოდა ფერფლი და მტვერი;
მაშინაც როცა აბჯრის ფოლადში
ჩაიწვა გული ციხის კაცისა,
როცა უკელმართ ბედთან ბრძოლაში
გადატყდა ხმალი სააკაძისა.
გულიდან ვარაშს გადაიყრიდა
და ლალ ოცნებებს კარებს უღებდა,
რადგან იმედი გულის სიღრმიდან
წყაროს თვალღვით მოჩუხჩუხებდა.
მას არ დაღლია თავალი, არც მკლავი
და მომავალი მუდამ სჯეროდა.
მას ათას წლობით ქართლის ვარსკვლავი
გორის მიღაას რად დასცქეროდა?
აღბათ-ქვეყანას ცის უფსფრულიდან
ის ანიშნებდა მზის დაბადებას.
ხალხიც ეღობდა ქართლის გულიდან
ვენიის შუქის ამონათებას.
ბოლოს გმირულად წამოიშართა,
ამოიშრიტა გულის ნაღველი,
გზის მანათობელ ვარსკვლავს მიმართა
იმედით სავსე თვალის ვახელით.
და თავის წარსულს, ბრძოლით აღსავსეს,
დანგრეულ კოშკებს, ხმალს გადატეხილს,
მომავალ ღღეთა საშიშ განსაცდელს
და ისტორიის ყველა ქართველის
მან უბასუხა ერთი სახელით
და ეს სახელი არის ს ტ ა ლ ი ნ ი

ლევო ჰიაჩელი

ერთი მოქმედების აგება

დსრკ-ს ხელისუფლების წარმომადგენელი

მეხუთე დღე იყო, რაც თბილისის რეინიგზის დეპოში გაფიცვამი მიმდინარეობდა. იგი ორზოდე თვით წინ უსწრებდა ცხრაასხუთის ისტორიულ საყოველთაო გაფიცვას და შეიპრალეზულ აჯანყებას. მიუხედავად ამისა, მას მაინც მძაფრი პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი ჰქონდა, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად მუშები ამრიგობაზე ფართო დემოკრატიულ უფლებებს მოითხოვდნენ, როგორც ეს მაშინდელ დროსა და საერთო რევოლუციურ განწყობილებას შეეფერებოდა.

გაფიცვას ორგანიზაციული მიზნებიც ჰქონდა დასახული: სრულიად რუსეთის მუშათა კლასის გადამწყვეტ რევოლუციურ იერიშებზე გადასვლის წინ საჭირო იყო შემოწმება თბილისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმის — დეპოს მუშების — კლასულოვნებისა, დარაზმულობისა და რევოლუციისათვის მზადყოფნისა. მაგრამ ეს გაფიცვის მეთაურების შინაურულ დაევირგების საგანს შეადგენდა და მათ გარდა სხვებისათვის ცნობილიც არ იყო.

გაფიცვა ამიერკავკასიის რეინიგზის მოძრაობას შეწყვეტოთ ემტკრებოდა. ამიტომ მედის მთავრობას ჩვეულებრივზე უფრო სასტიკი ზომები ზოგად მას ჩასაშლელად. დეპოს ადმინისტრაციას დაეკლებული ჰქონდა, რაც უნ — დამჯდარიყო, ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყო მუშაობა მთავარ სახელოსნოებში მაინც, რათა რეინიგზაზე მოკაობა არ დაბრკოლებულიყო. ადმინისტრაციასაც ნაცად დონისძიებისათვის მიეშართა. — ეს იყო სტრეიკბრეხერების მოზიდვა გაფიცულებას ადგილზე.

მუშებს გამოცდილება ჰქონდათ: ქარხანაში შემოყვანილი შემთხვევითი ხალხი ჩთულ სამუშაოს თავს არ გართმევედა, თუ ნამდვილი მუშები — თითო-ორილა მაინც — საქმეს სათავეში არ ჩატლებოდნენ. საფრთხეს სწორედ ეს უკანასკნელები წარმოადგენდნენ. სრთულე იმაში მდგომარეობდა, რომ მიუხედავად რევოლუციური და ორგანიზაციული დაწინაურებისა, დეპოშიც მოძოვებოდნენ მერყევი, სულმკლე და პოლიტიკურად არასიხილო ელემენტები, რომელთა გამოყენება ძალით, მოსყიდვით თუ სხვა მანქანებით დეპოს ადმინისტრაციას ყოველთვის შეეძლო. ამ საძნელესის გარემოებაც ემატებოდა, რომ გაფიცვის ხელმძღვანელი კომიტეტის ისედაც მცირე ფულადი სახსარი ოჯახებით დატვირთული და მერყე მუშების დასახმარებლად შეგროვებული, დღითიდღე ილეთდა და გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აუდიოდა.

მუნებრივად მოხდა, რომ ბრძოლის მთელი სიმძიმე უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში სტრეიკბრეხერებზე იქნა გადატანილი, როგორც

ადმინისტრაციის ისე გაფიცულების მხრივ მუშების ამოცანაა, წყევდნა, არც ერთი შტრეიკტრეხერი არ გაეკარებინათ დეპოში, ხრეფა უკეთესს შემთხვევაში მოლაღატეებს თავს დასხმოდნენ თვით საამქროებში და ძალით მოეხსნათ დახვეებიდან.

ამის საწინააღმდეგოდ მთავრობას დეპოს მისასვლელი გზები ცხენოსანი ყაზახებითა და პოლიციელებით შეეკრა. ამათი დანიშნულება იყო მუშების გუნდებთან ბრძოლა, რომლებიც დეპოს ახლო-მახლო ქუჩებსა თუ შესახვევებში, სახლის ეზოებსა თუ მოსაქცევებში ჩასაჭრებელიყვნენ და შტრეიკტრეხერებზე ნამდვილ ნადირობას ეწეოდნენ.

გაფიცვის მეხუთე დღის დილას მზიანი პირი უჩნდა. თუმცა გვიანი შემოდგომა იდგა, მაგრამ ახალ გათენებულზედაც საამოდ თბილოდა. უნახლო ცხენოსან ყაზახებს ერთხელ უკვე გაველოთ ნაძალადევის მხრიდან დეპოს შენობების უკან ჩამავალი მთავარი ქუჩა და შორიახლო შესახვევებში ჩარიგებელიყვნენ მიჩენილ სადარაჯოებზე.

ქუჩის გადაღმა სოფლურად მიმოფანტულ ნაძალადევის ახლად ფეხმოკიდებულ მუშათა მოსახლეობას უჩვეულო მძიმე ხიზუმე მოიცავდა. თითქოს ვადამენებულაო მთელი უბანი, ძე ხორციელის ქაქანება არსად იყო. ჩველილი ყაზახების ცხენების ფეხის ხმაც ისე გაისმა იქ გამეფებულ მღუშარებაში, თითქოს მომხველურ მტერს რკინის უროები დაეშინოს ჩასალეწად ღარიბ ქოხების ყავრის სახურავებიცა და მათი ხელისგულის ოდენა სარკმელებისათვის.

მაგრამ ყაზახების მიმოვლის შემდეგ არ გაუელია ხანს, რომ ერთმა ორლობემ მაინც დაარღვია ნაძალადევის საერთო სურათი: მთავარ ქუჩაზე გაძვალ ერთ-ერთ ბილიკზე აწაზღულად შავხალათიანი ახმახი ვინმე კაცი გამოჩნდა, ფრთხილი, მაგრამ აჩქარებული ნაბიჯით მომავალი. ეტყობოდა, რომ მეტად მძიმე ფეხსაცმელება უნდა ცმოდა, რადგანაც, მიუხედავად სიფრთხილისა, ვიწრო ორლობას ფხეიერ მიწაზედაც მის ნაბიჯს ბაკუნნი გაუდიოდა, რაც მეტად აწუხებდა. ფართო პირისაზეს დიდი ხნის შეუკრეპელი შავი წვერ-ფლევაში უბარდნიადა. გახუნებული, დაბალი ბოხოხის ქუდი მალღ და მოზნექილ ცხვირამდე ჩამოეფხატა. შიგ თვლებიც კი შეემაღა. რაღაც გაუბეღავად, ბრმასავით მოყვებოდა ღობეს. განიერი ბეჭები შეუტრხეველად მრქონდა.

მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდა, კუთხეში შესდგა. აქ ცხადად შეეტყო, რომ მარცხენა მკლავი ვადშეიკლად, უძრავად ქონდა მხარზე ჩამოკიდებულ, შემხმარავით. სახელო მთელ სიგრძეზე ისე გამოზნეჭოდა, რომ სავერაუდებელი იყო, რაღაც მძიმე და მოგრძო საგანი უნდა ჰქონოდა მკლავის გაყოლებაზე შიგ შემაღული. თითქოს ახლა შეამჩნიაო, სახელო მარჯვენა ხელით გაისწორა, გასწორების დროს აქამდე სახელოს ქობა-გადაფარავბული ვეება მუშტი გამოუჩნდა, რომელიც სახელოში შეეცურებული ბრტყელი ქლიბის ტარზე ჰქონდა მაგრად შემოქდობილი.

— ვერანე, ღამის ხალათი დამიხიოს — წარსთქვა სწრაფად თავისთვის და თავი ასწია, რათა მიმოეხედნა.

ქედლიდან შუშა თვალებმა ჩამოანათეს, შინაგანი დაძაბულობის მოწინააღმდეგე ალი მიმოფარქვიეს ირგვლივ და უცნაური ბრწყვილით პირდაპირ ამარადულ დეპოს მთავარ შენობას შეეკიდნენ.



— ცოტა ხანი და კაცმა უცებ თამამად აიღვა ფენი. მოულოდნელად ისმენდა ფით ვადაჭრა ქუჩა და მეორე მხარეს გადავიდა. მისმა მადლმოსწამულმა რკინით ძირმოჭედილმა საღდათურმა ჩექმებმა ქვაფენილზე ჩხრიალიც კი გაიღეს, რაც ცხენის გაჯირითებასავით გაისმა.

ჭურჩის მეორე მხარეს გადასულს სახეზე სიხარული აღებუქდა. ალბათ, თავი სამშვიდობოს იგრძნო, აღარ შეჩერებულა. ოღონდ შენელებული ნაბიჯით განავრძო გზა და პირველივე სახლას კედელს მიეფარა, რომელიც დემოს ეზოსკენ იყო მიქცეული.

მაგრამ შშ დროს საიდანღაც მოკლე სტეენა გაისმა მოულოდნელად. იგი ერთი წამითაც არ გაგრძელებულა, უმაღლე შეწყდა. შავხალათიანი კაცი შესდგა ქუდი შუბლზე შეიგდო სწრაფად და შეოცებული, ფართოდ გაღებული თვალები ისე უცნაურად მომართა, თითქოს ფსტეენის ხმის უხილავ ძაფს საკვირველი სიზუსტით გააყოლო. — ცოტა მოშორებით ვაწუე მდგარი სახლის სახურავზე ამართულ ბუხრის თავს შეაქვერდა. არ მოტყუებულა: სახურავზე ვიღაც ყმაწვილი დალანდა, რომელიც ბუხრის თავს ისე მაკვერთდა მთელი ტანით, თითქოს ერთნაირი აჯურით ნაგებ მის შემადგენელ ნაწილს შეადგენსო.

კაცმა უთუოდ შეიცნო ყმაწვილი, რადგანაც წარმოსთქვა:

— კეცი გვარზე ხტისო, სწორედ ეს არის. მამის კვალს არ ვაყოლია წყუელი? — ასე ხტქვა, მაგრამ ბრაზიან თვლებზე ამკარად შეეცყო, არ გადაურჩებოდა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ფსტეენა არ გამეორებულა.

სახლის ყრუ კედელთან მიწაში კიბე იყო ჩაჭრილი, რომელიც პატარა, მოცარიელებულ ფართობზე ეშვებოდა. ფართობზე საცალფეხო გზა მიიკლანჯოდა. იგი ერთ-ერთი საამქროს ძალალი მჭარით შემოზღუდულ ეზოსკენ მიდიოდა. მესრებს შუა ერთგან ისეთი ვიწრო გასასვლელი იყო დატანებული, რომ კაცი ძლივს გაეტეოდა. ეს გასასვლელი ნაძალადევის მხარეს მცხოვრებ საამქროს მუშების საიდუმლო კარად ითვლებოდა და გზის შემოწმებლად იყო მოწყობილი.


ის-იყო შავხალათიანი კაცი ნელა დაეშვა კიბეზე, რომ წინ საცალფეხო გზით მომავალი ვიღაცა დედაკაცი შემოწვდა, თავით ფეხამდე შავით მოსილი. წელში მოკიკულიყო და დახრილი ტანით ჯოხს დაყრდნობოდა. ცალ ხელში პატარა კალანჩხა ეჭირა შავი პურის ნაჭრებით სავსე. ნელა მოლასლასებდა თავჩამოსდრული და კალანჩხას მოაქანებდა.

საჭრილ კიბეზე ჩამავალი კაცი ამის დანახვავზე უკანასკნელ საფეხურზე შესდგა. დედაკაცს სახის ისეთი გამომეტყველებით დააკვირდა, თითქოს ეუბნებო: ვინ-ოხერი ხარ, აქ რომ შემომეყარეო.

რაკი ქალს პირისახე არ უჩნდა, ვერ იცნო.

— გამარჯობა, მიზოა, გამარჯობის აქეთ სად მიეღინები, შეზობელო? — გაისმა ქალის არც ისე ბებრული ხმა, რომელიც მის ატყეფვს სანახილად სრულიად არ შეეფერებოდა.

კაცმა ხმის გაგონებისთანავე იცნო ქალი. შეფიქრდა, მისთვის რომელი საიდუმლოების მიხედრის ნიშნად, იქითვე მალა იხედა, სადაც ამას წინად ყმაწვილი დაინახა სახლის სახურავზე.



— ფუი ეშმაქს! — თითქოს წასცდაო, ისე მოწყდა ენაზე. ^{მეგობრებო} მაღალი ხმით დაფარა წაცდენილი:

— მარიამი ხარ, დედაკაცო, მარიამი? ძლივს გიცანი, ქალო! რა მოგივიდა?

— მე კი არა, შენ რა მოგივიდა, რომ ასე შეშინდი.. ჰო მარიამი ვარ... აქნება, არ გესიამოვნა ჩემი აქ შეხვედრა? — ხმის უცნაური დამკნინავი შექიჩილებით შეეკითხა ქალი.

— რატომ?

— რაღა დღეს გაგიჭირდა ჩემი ცნობა, მიხო? — ხმას აუწია ქალმა. მაგრამ მიხომ წაიყრუა. პასუხის ნაცვლად მშვიდად, ცოტა არ იყოს, მეზობლური მიაღწრსებით მიმართა:

— კი მაგრამ, სად ყოფილხარ ამ ბინდ-ბუნდზე, მარიამ? პუ.ზე ვაგი გაგვგზავნა, შე კარგო ქალო, რომ თვითონ არ შეწყუბებულაყავი... ა? სად არის შენი გიგოლა?

ამას გრძლად ლაპარაკობდა მიხო, სახის ცბიერი მოკუმშვით. სიტყვას განზრახ აკვირებდა, ხოლო თვითონ ამ დროს ნელ-ნელა, შეუქმნევლად უკან იხევდა. ცალი თვალი რომ ჯოხზე მთელი ტანით დახრილ მარიამზე ქმონდა შეჩერებული, ცალით სკდილობდა იქაურობა კარგად დაეხერხა. უკუსვლაში ერთი საფეხურით უფრო მაღლა ავიდა კიბეზე, შერე უცებ, როგორც ნადირმა, ზედა ტანის შეტრიალებით ზურგს უკან შოიხედა. უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ იქ ვისმე ნახავდა, ვინც მისი აზრით უკნიდან თავს უნდა დასხმოდა მალულად. გაუკვირდა, რომ არაფერ აღმოჩნდა თავდამსხმელი. მაშინ ქლიბიანი ხელი სწრაფად და გაბედულად ზურგზე მოიგდო და ისევ მარიამისკენ მობრუნდა.

მარიამის თვალებს კი არცერთი მინარმოძრობა აღუბეჭდელი არ დარჩენოდა. იგი თანდათან იმართებოდა წელში და უკანდახეულ მიხოს ისე უახლოვდებოდა. დასაყრდენი ჯოხი, აქამდე რომ მოკლე ჩნდა, ახლა თითქოს მის ტანთან ერთად დაგრძელებულიყო და საშიშ იარაღს დამსგავსებოდა მის ხელში. თავად მას კი ფრინველის მოკაუქებელი პირისხაზე გამოეჩინა უკვე დაუფარავად, მოყვითალოდ აპრიანებული თვალები გადმოეკარკლა და მიხოსთვის თოფივით დაემიზნებინა.

— რა არის მაგ სახელოში რომ შალავ? — შეჰყვილა მან მიხოს, როგორც კი იგი მისკენ მოტრიალდა, და წინ ორიოდ ნაბიჯის დამორებით დაუდგა მთელი თავისი ხმელი, მაგრამ მაღალი ტანის პირისხაზე სიშალლით. ჯოხი ამართა და მიხოს მარჯვენა ხელს მიამშვია.

— სოჭი მეთქი ჩქარა, რას შალავ მაგ სახელოში?

თითქოს ენა ჩაუფარდაო, ხმა ვერ ამოიღო მიხომ. ქალს დაბნეული თვალები მიამყრო და დაბალი ხმით ძლივს წაიღულღულდა:

— რაში გეკითხება შენ ეს ამბავი, დედაკაცო? — და ქლიბიანი ხელი უფრო მიმალა ზურგს უკან.

— ქლიბია! — შეუტია რისხვით მარიამმა.

— მერე შენ რა გინდა? — ხმა და სახის გამომეტყველება არ შეუცვლია მიხოს.

— ისა რომ შენი სამუშაო ქლიბია! ტარზე ვიცანი.

— ჰო...

— სად მოვაქვს?

— საამქროდან გამოშვება... ახლა შემოთვალეს, თუ არ მოგტანია, დაგიჭერთო.

— შერე?

— შერე და... ამა... არაფერი...

— მიხოს! თუ გულში ღალატი გიდევეს, გირჩევნია შენი ხელით გაითხარო აქვე სამარე და შიგ ჩაიფლა მაგ უბედური თავი, ვინემ ამას სხვები მოიმოქმედებენ... დაბრუნდი ახლავე, გიბრძანებ!

მიხო გაჩუმდა.

— არ გესმის? — და ქალი კიდევ მოუახლოვდა.

მიხომ უცებ ენა აიდგა:

— შერე ჩემს ბარტყებს ვინ გამოკეებავს?

— გამოუმნდებათ შენზე უკეთესი პატრონი!

— განა არ იცი, მარიამ, რომ მათთან ერთად ზაქროს ბაღლებიც კისერზე მაწვანან... პური გვაკლდა, დედაკაცო!

— ზაქროს სახელს ნუ ასხენებ მაგ პირით... ის იმ საქმეს შექწირა, რომელსაც შენ ღალატობ, ღაჩარო!

ეწვინა მიხოს, რომ ღაჩარი უწოდეს. თითქოს გაჯავრდამო კიდევაც, სახე შეიკრა. მაგრამ თავი ისევ შეიკავა. ხოლო წინანდელზე უფრო თამამად განაგრძო სიტყვა.

— შერე რა კარგი მოიმოქმედა იმ თქვენმა ნაქებმა, ზაქრომ? დაიღუპა და შეც ამ ქირში ჩამაგდო. საქმე კი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო... კელავდაც ასე დარჩება.

— პიი, რას მიედმოედება სირცხვილი სადა გაქვს? — ზიზი შეანთხია მარიამმა. მიხო ამან უფრო შეათამამა.

— შენმა ქმარმაც სცადა, შეიღოსა, ქვეყნის საქმის გარიგება, მაგრამ ისიც ზაქროს გაყვალეს ციხეში... მაში!

— ნეტავი არ ვამაგონა. ხმა ჩაიკმინდე, გირჩევნია.

— რათათ ვითომ, მე იმ თქვენს გზის მაჩვენებელსაც არ ვუმაღავდი, როცა ზაქროსთან დადიოდა, ქვეყანას დაღუპავთ მეთქი... ამდენს ცოდვაში ვარდებით მეთქი. მაშა! შენი რატომ შემეშინდება? ჰკუა ვერ გისწავლია ამ ხნის დედაკაცს. ვინა გკითხავს ქვეყნის საქმეს? მე შენ გეტყვი, მაშაშენს და პაპაშენს ეკითხებოდნენ! შეიღს მიხედო ის გირჩევნია, სახლის სახურავებზე რომ უპატრონოდ დგადის და ეშმაკებს უფსტვენს. შენ გგონია, არ ვიცი თქვენი ამბავი? განზრახ გკითხე წელან. მის ფსტვენს ვერ გავიგონებდი, ყურები არ მესხა თუ? ან მას თვითონ ვერ დავინახავდი სახურავზე? თვალს არ მიჭრიდა თუ? ჩემრათანა მონადირე, შეიღოსა, მეორე არ იყო მთელ კახეთში... მაშა! შენ რა გგონია, რომ ასე მიყვირო!

— სიტყვას მანზე ნუ მოგდებ! გეყოფა! მანდნუ დამდგარხარ, ვაფროთხილებ... სულერთია, აქეთ ნაბიჯსაც არ გადმოგადგმეჭინებ, ტყუილი იმედი გაქვს!

— ჩამომეცალე გზიდან, მარიამ... ჩემი საქმე მე ვიცი. ნუ ერევი, თორემ...

— შეხედეთ ერთი, კიდევაც იმუქრება! უბედურო, რა თორემ? სთქვი!

— ისა, რომ ყახახები დადიან ქუჩებში.. გაგაქრობენ შენცა და შენს შეიღსაც.

— მაშ თუ ხსეა, დამიდექ მანდ, შე მოლალატე! — შესძახდა ლოლა მარიამმა და მალა შემართული ჯოხით მიხოსკენ შეუპოვრად დაიძრა.

მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ სახლის კუთხესთან გვერდით რუსული შეჭახილი გაისმა.

— ეი, ვინ ხარ მანდ რომ ხმაურობ?

და უმაღლე ზურგზე თოფგადაკიდებულმა ნაცრისფერ ჩოხიანმა ყაზახმა თეთრი ულაცი საცალფეხო გზაზე შემოაგელვა იმ მხრიდან, საიდანაც ჯოხშემართული მარიამი მიხოს უტეცდა.

ყაზახის ხმის გაგონებისთანავე უკან მოიხედა მარიამმა. ჯოხი მყისვე იჩის დაუშვა და მერე მთელი ტანითაც შეტრიალდა ყაზახისკენ, რომელიც მას ჯიქერ უახლოვდებოდა.

— აქ რას აკეთებთ? ქარხანაზე თავდმსხმას ამზადებთ? ასწიეთ ხელები მალა! — იყვირა ყაზახმა და გადასაკრავად შემართული მათრახით წინ შეხვედრილ მარიამს თავს წამოადგა.

— არ დაპკრა, რუსო! დედაკაცია, დედაკაცი! — თავისი, დამტვრეული რუსულით თითქოს უნებლიედ მიმართა ყაზახს მარიამისაგან ერთი ნაბიჯით უკან მდგარმა მიხომ და შებრალების შთხოვნული თვალებით შეხედა.

მამაკაცის ხმის გაგონებაზე ყაზახმა შემართული მათრახი ჰაერში შეაყენა. შავი, ვეება და ახმახი/მიხო თვალების ერთი მოსმით შეათვალიერა თავით ფეხამტე.

— აჰ, ყაჩაღების მეთაური თურმე სად ყოფილა! აქეთ გამოდი, დედაკაცის ზურგს რომ ამოტარებინარ, შშიშარავ! აჰა, შენ იცემე მაში — შესძახა მან მიხოს. ცხენი არ მოუბრუნებია, ისე ზედატანით შეტრიალდა უნაგირზე და უმაღლე მათრახმაც ჰაერში გაიწივლა.

სრულიად გაუგებარი იყო, როგორ მოხდა, რომ ყაზახის მიერ მოქმედი მათრახი თვალის დახამხამების უმალ მიხოს ხელში აღმოჩნდა.

— ჰმ... — უცნაური გაღიმებით მკერდის შიგნით ჩაიკმინა მიხომ და ერთხელ მხოლოდ მოკლედ და გაკვირვებით დახედა მათრახს, რომელიც ხელში ეჭირა.

— უკაცრავად, შენი ქირიბე, მამატიე... მიირთვი... — უთხრა ყაზახს ლბილი მოფერებით და მათრახი გაუწოდა.

ყაზახს ბრაზისა და მოულოდნელი მარცხისაგან სახეზე აღმური შეკიდებოდა. თვალებიდან ცეცხლი ცვივოდა.

— როგორ გაბედე, არამზადავ! — დაიქექა მან და თვალშეუსწრებელი სიმაჩვიით ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი მიხოს თავზე მალა შემართა.

— ღმერთი არ გწამს? რას სჩადიხარ? — ამის წამოძახებულა მოასწრო მიხომ, და ჰაერშიც ფოლადების შეკიდებისაგან ჯერ მოკლე წკარუნი და მერე გულშემშარავი სივილის ხმა გაისმა.

აქაც გაუგებარი რამ მოხდა, როგორ მოასწრო მიხომ, ან როდის მოიხარა მათრახის გადადგება მარჯვენა ხელიდან, მარცხენა სახელოში შემალული ქლიბის მარჯვენა ხელში მიმარჯვება და სასიკვდილოდ მოქმედი ხმაზე აყვრა?

გადაუბრუნდა იარაღი ყაზახს და ხელიდანაც გაკარდა. ხოლო დამტვრე-

ლებს აცდენილი ქლიბი მიხოს მთელი ღონის შემცველი **ინჟინერო-სახს ზედ შუბლზე შეეხეთქა.**

როგორც მოჭრილი ხის ტოტი, მიწას დაენარცხა თავგახეთქილი, გასისხლიანებული ყაზახი. მისმა ცხენმა უმალ თავი აიშვა. თითქოს სიკვდილის ლანდმა დააფრთხოვო, ტიხვინით მოსწყდა თავის ადგილს. ტორების ერთი დაკვრით პირდაპირ კიბე აირბინა და მთავარი ქურჩისკენ გაქანდა, თითქოს ცნობა წაიღოთ მომხდარი უბედურებისა.

— რა ბჭენი, მიხო? მოკალი? მე კი მასთან შეუქმული მეგონე, შე დაწყვედილო! — მივარდა მიხოს თავზარდაცემული მარიაში.

თითქოს არც კი გაუგონიათ მარიაშის ხმა, მიხო სდუმდა და უძრავად იდგა თავის ადგილზე. დაბნეული, შიშისა და მოულოდნელობისაგან მოქცეული სახით დასტკეროდა იგი თავის უნებლიე მსხვერპლს. არც კი სუნთქავდა. ხელში სისხლიანი ქლიბი შერჩენოდა.

— მოკალი მეტქი, შე უბედურო? — არ ეშვებოდნ მარიაში, რომელსაც მიხოს წინ გაშხლართულ, სისხლში მტურავ ყაზახისათვის შიშით ვერც კი დაეხდნა.

— წამო! გავიქცეთ, თავს უშველოთ, თუ არა დავიღუბებით! არ ვესმის, მიხო?

— რას ამბობ, დედაკაცო! რას გადაჰკიდებხარ დღეს ავი სულივით? როგორ თუ მოკალი? ვინა? რატომ? რას მიქპარავ? ხმალი თვითონ შემომიქნია! მე ზომ იარაღი არ მქონია. როგორ მოკლავდი, მოკალით რომ გაიძახი? სტყუი!

— ეერა ხედავ, რომ სისხლში ცურაობს? წამოდი მეტქი, სქარა! გავიქცეთ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის! გონს მოდი, კაცო!

— სად არის ხისხლი? შემოიჩენილი ხომ არა ხარ, დედაკაცო? — ყვიროდა მიხო.

მაგრამ მარიაშმა ხელი მაგრად ჩაავლო მკლავში. შეაქან-შემოაქანა. როგორც იქნა, ადგილიდან დასძრა.

მიხო მაინც თავისას იმეორებდა:

— არ მომიკლავს მეტქი, ვამბობ, ამას კიდევ დაუჩემებია: მოკალით! ღმერთია მოწამე, რომ უღანაშაულო ვარ.

— ჰო, წამო, გამოიქეცი ჩქარა მეტქი!

— რატომ გავიქცე, დედაკაცო, თუ უღანაშაულო ვარ! სად მიგყევარ, რომ მეზიდები? ჩემთან ვის რა ხელი აქვს?

უდიდესი ხმაურობა ატყდა სახლის გარშემო. იგი მიხოსა და მარიაშს თანდათან უახლოვდებოდა. ძახილი, ყვირილი, ფსტკენა და ცხენების თქარა-თქური ერთმანეთში პირია. მარიაშს და მიხოს ჯერ კიდევ ათიოდენ ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ იმ მხრიდან, საიდანაც ამას წინად ყაზახმა ცხენი შემოაგდო, უცებ აგურისფერ მოკლე ჩოხიანი ბრგე ყმაწვილი შემოვარდა ბილიქზე. თუშური ქუდი კეფაზე მოეგდო. წითური ქოჩორი შუბლზე ჯიღასავით ადგა, პირტიტველი იყო, მაგრამ საულეაშე კი ჩაშავებული მქონდა.

— დედა, აქეთ ნუ მოხვალთ! დაბრუნდით! — შესძახა მან მარიაშს. მივარდა, ხელი დასტაცა. მიხოსთან ერთად ჩაჭრილ კიბისკენ გაიყოლია.

— შეილთ გიგოლა, აქ რა გინდა? თვალები რატომ წრფელქვეყნდება! ამას რას ვხედავ? — ამბობდა შეშინებული მარიამი.

— აჭეთ, დედა. იქიდან მოდიან. ნუ ვეშინია!.. შე ყველაფერი დავინახე, მაგრამ დროზე ვერ მოვისწარიო. მიხომ გვშველა ხომ? — და გზადაგზა ცალი შკლავე მიხოს წელზე შემოხვია უსიტყვო მიაღერებით.

— ეს დაჰკარი, მიხო, არა? აი, დედასა! — თითქმის შურით უთხრა შემდეგ, როცა მიხოს ქლიბი თვალში მოხვდა. — ახლა კი დამალე, მიხო! არ დაგინახონ! — დასძინა თქმულს.

მაგრამ მიხოს ყურადღება არ მოუქცევია მისი სიტყვებისათვის. ქლიბი ხელში არც კი შეუნძრევია. მაშინ გიგოლამ გაშვერილ ქლიბს ხელი დასტაცა და ჩამორთმევა მოუნდომა. მაგრამ მიხომ არ დაანება. გამოსწია, გამოთხლიშა.

— დაიცა, ბიჭო... პერს ეს ტიალი ნაქმევს... აქ არის მისი ადგილი. — უთხრა და ქლიბი ისევ მარცხენა სახელოში შემალა.

მარიამმა თვალი შეაწარო, რომ გიგოლას ქლიბზე შევლებული ხელის გული სისხლით გასვროდა.

— გაიწმინდე, გაიწმინდე! — შეცხადებასავით წამოიკივლა. შესდგა, კალთაზე წაივლო ხელი, რომ შვილისთვის ხელი გაეწმინდა. მაგრამ ამის დრო აღარ იყო. კიბის თავს ქუჩიდან გამოქცეული რამდენიმე კაცი მოაწყდა ყვირილით:

— მოდიან... მოდიან!

— აჭეთ მოდიან!

— შესდექი ხალხო! გზა არ არის!

ისმოდა არეულად.

— მთელი მოსახლეობა აუყრიათ, თუ ეს რა ამბავია? — გაიკვირვა გიგოლამ და, ის იყო მოდენილ ხალხს გვერდი აუქცია, რომ გამოქცეულების მეორე ტალღამ დედა და შვილი მიხოთურთ თავის მდინარებაში ჩაითრია.

სახლის ყრუ კედელზე მიკრულ პატარა ფართობზე ახლა მეორე მხრიდანაც შემოვარდა შეშინებული ხალხი. ჯერ თითო-ოროლა, მერე მთელი ჯგუფიც. მათი ტალღა ჯერ კედელს შეეხებოდა, შემდეგ ფართობზე გაიშალა და საამქროს ზღუდეს შეაწვა.

გამოქცეულებს ორივე მხრიდან უკან ყაზახები და პოცილიელები მოსდევდნენ ამოწვდილი რევოლვერებითა და ხმლებით. ზოგი ქვეითი, ზოგი ცხენოსანი.

ორ პოლიციელს შუაში ჩაყენებული, მოკლული ყაზახის თეთრი ულაცო მოყავდა, რომელსაც კისერი სისხლით ჰქონდა შეღებილი.

— სად მოხდა მკვლელობა?

— ვინ მოჰკლა?

— სად არის მკვლელები?

— არავენ წავიდეს!

— დასახვრეტია ყველა!

ისმოდა ყოველი მხრიდან შეძახილი.

მიაგნეს მკვლელობის ადგილს. იპოვნეს ყაზახი. მყისვე შეჰკრეს იქაურობა. უფროსებმა ბრძანეს ეტლისა და ექიმის ხასწარფოდ მოყვანა.

ქარხნის მაღალ ლობებზე მიმწყვდეული ხალხი კი ყრულ გმინაქდა.

— ჩვენ არაინ გვინახავს!

— არაფერი ვიცი!

— რას გვერჩით უდანაშაულონი ვართ!

ხალხის უკანა რიგში ზედ ღობეზე მიმწყვდეული იდგა მარიამი. ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ იხედებოდა. არა-ამქვეყნიური ცეცხლით ანთებული თვალებით ნიშნის შიშველი ნაპერწკლები სწყდებოდა. ამ ნიშნებით იგი ხალხს ვაეცახობისაყენ მოუწოდებდა, ამხნევებდა, შიშს უფრთხობდა. გვერდში გიგოლა ედგა, რომლისათვის კრუნხებით ზელო ხელზე მაგრად ჩაეულო. მათგან სულ ახლოს კიდეც მზხო გამოირჩეოდა. იგი გაშეშებული, უგრძობი იდგა. თვალები ვერ გაემართნა და უაზროდ სადღაც ძირს იტყირებოდა.

პოლიცია მოითხოვდა მკვლელის გაცემას დაუყოვნებლივ.

— არ ვიცი! აქ არ ვყოფილვართ!

— არც დაგვინახავს!

— ჩვენ არ მოგვიკლავს!

პოლიციის ერთერთი უფროსთაგანი ცხენდაცხენ მოადგა ზღუდეს მიმწყვდეულ ხალხს. ბრძანა: მარჯვნიდან მარცხნივ ყველა შეხუთე რიცხვით გამოუყვანთ წრიდან, სახლის ყრუ კედელზე მიეყენებინათ და ყველას თვალწინ დაეხერხათ, და ასე განეგრძოთ, სანამ მკვლელი აღმოჩენილი არ იქნებოდა.

ბრძანებისთანავე ფიცხლად დაიწყო ხმამალალი თელა ხალხის პირველი რიგისა მარჯვნიდან.

— ერთი... /ორი... სამი...

სამის დაძახებაზე გიგოლამ იგრძნო, თუ როგორ აუცახცახდნენ დედამისის ხელის თითებში, რომლებიც მის ხელზე ჰქონდა შემოსალტული. შერე უმალვე უფრო ძლიერად მარწყუბის პირივით შემოეჭდნენ წამით და გაიშალნენ, მოწყვეტით შეეშენენ.

— რა იყო, დედა? — ახელა გიგოლამ დედას, რომლის მთელი სმენა თვლისაყენ იყო მიპყრობილი, ხოლო თვალები ცხენოსან უფროსისაყენ, რომელიც ხალხის წინ იდგა.

— არაფერი. ხომ არ გეშინია, გენაცუალოს დედა? — წარსტყვა ჩურჩულით დედამ და ტანის უცეცარი შემეკრივეებით ნაბიჯის წინ გადასადგმულად მოემზადა.

მიხვდა შვილი დედის განზრახვას.

და სანამ სიტყვა „ოთხი“ გაისმოდა, გიგოლა უკვე იდგა ცხენოსან უფროსის წინ.

— მე მოვკალი ყაზახი! — გაისმა მისი მჭუჭარე ხმა, რომელმაც მთვლეული პოლიციელის წამოძახებული „ოთხი“ დაფარა.

ხალხში ჩამოვარდნილი საპარისებური სიჩუმე მარიამის კივილმა ააფეთქა.

— დედის დანაშაულს იბრალებს! შვილია ჩემი! არ დაუჯეროთ! — და ხალხის წრიდან გამოვარდნილი მარიამი შეიღს შეხის ცეცხლივით გარს შემოეკრა. მიზოს ქლიბიდან გადასული სისხლის შავი ლაქა მოცხებული ზელო დანტყირა, ქუბუბებში ჩაიბღუჯა. — არ დაუჯეროთ!

— შეკვართ! — ბრძანა უფროსმა და გიგოლას ცხენიდან მათრახის ტარი მიუშვარა. — დასაკითხავად წამოიყვანეთ.

და უცებ აირია ყველა და ყოველივე. აღარავის ეცალა, ვერცხე ვერცხე-
შემზარავი მოთქმისა და ვაებისათვის. მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა

— გიგოლას მოუკლავს!

— მარიაშის გიგოლას მოუკლავს!

გადათვლეს საცოდავი მარიაში. შვილი ხელიდან გამოვლიოჯეს. შეპყრეს გიგოლა, შებორკეს. გარს წრე შემოაკრეს და წასასვლელად პირმინბრუნებულ უფროსს უკან დაადევნეს.

გადაიქუხა. თითქოს მიწყნარდა ყოველივე დეპოს /მიშგადახდილ არემარეში, როგორც კი პოლიციის ცხენოსანი უფროსი თავის ამალითა და ნადავლითურთ ქალაქისაკენ ჩამავალ ქუჩას მიეცარა.

მაგრამ მომხდარი ამბის გამოძახილი მუშათა უბანში ისევე ისმოდა. რამოდ, როგორც ქვესკნელს ჩამწყვდეული გუგუნი მოახლოებული დიდი მიწისძვრის წინ.

ჭეხიდან ქუჩაში, ბინიდან ბინაში თუ პირიდან პირში გადადიოდა რისხვის ტყვიით გატენილი მოწოდება, რომელიც ხანძარივით მთელ უბანს მოედებოდა.

სადა კი ორი მუშა ერთმანეთს შეხვდებოდა, ეს მოწოდებაც მათ შორის გახანდებოდა. გახანდებოდა არა როგორც გაუპირავებელი ძახილი, სიტყვა თუ აზრი. იგი ჩნდებოდა ხორცშესხმული ნამდვილი ადამიანის სახით, რომელსაც არა ერთხელ ნახული თვალები ესხა, საერთო ნებისყოფის გამოპართომელი, არა ერთხელ გაგონილი ხმა ჰქონდა, საერთო იმედების გამომეტყველი, და ხელი — გამარჯვების ნამდვილი გზის მათევენებელი.

დღეს ყველგან ხელადენ მას ბრძოლის ცეცხლში გახვეული მუშები, თანაბარ სიტყვადით — იქ, სადაც ნამდვილად იმყოფებოდა, და იქაც, სადაც ნამდვილად არ იყო, ხოლო მისი თვალები მაინც იხედებოდნენ, ხმა მაინც ისმოდა და წინ გაწყდენილი ხელი მაინც ჩნდა.

მიზნაც შეხვდა იგი დღეს. თითქოს ეს შემთხვევით მოხდა. მაგრამ უფრო კი ერთმანეთს ეძებდნენ ისინი.

მიზომ უკანასკნელმა დასტოვა საბედისწერო აღვლილი, დეპოს მალალ ზღუდესა და ქუჩის კუთხური სახლის უკანა კედელ შუა ჩაკოუნჩხული. გონს გვიან მოვიდა. აქამდე უგრძობ, უსიციოცხლოდ გამოძიორალ თვალეში აზრმა მხოლოდ ამ წამში გაუციალა. სახეზე ხელისგული შეისვია. როგორც დიდხინის ნამძინარემა თვალები მოიფშენიტა. გონების ამღშავებთანავე თავით ბოლომდე წარმოუდგა, როგორც სიზმარში მოჩვენებული, ყოველივე, რაც თავს გადახდა ამ დღით, მარიაშთან შეხვედრიდან დაწყებული, ვიდრე გიგოლას მუქარე ხმის გაგონებამდე: „მე მოვკალი ყაზახი“.

გონს მოვიდა თუ არა, შეჭიყინა:

— აჰაი, ლაზრო. ასე რატომ წახდი, რომ ბაღლმა გაჯობა. სანამ გინდა ზურგზე გეკიდოს უდანაშაულო გიგოლას ცოდვა, ან მარიაშს დედური გულის წყევლა-კრულვა გულში გიწოდეს, შენი კეთილი ხსენების

ძირფესვიანათ ამომღებები უკუნისამდე. ჩქარა შენს ბედს ეწიე, გოგონა, წადი, დაიხსენ გიგოლა, სანამ გვიან არ არის.

სახელოდან ფიცხლად ქლიბი გამოიღო. პაერში შეატრიალა.

— აი, საბუთი, ხალხო, გიგოლას უდანაშაულობისა.

ღვეის ნაბიჯი გადადგა. მოწყდა იჭაურობას და ქარის სისწრაფით ჩაპყვა ქუჩას იმ მხრით, სადაც მიწყდა უკანასკნელი ხმაურობა პოლიციელების.

მაგრამ გაიარა თუ არა ცოტა, წინ კაცი შემოხვდა, რომელიც შესდგა მის დანახვისთანავე.

— გამარჯობა, მიხომ! — ნიჟარა მადალი წკრიალა ხმით, თითქოს მისი დანახვა გაუხარდო.

შესდგა მიხომ. თვალეზი შეამტერა.

— ვერ მიციანი? ნახებარნი და ნადავარი ვართ ზაქროს სახლში. არ გახსოვს?

იცნო მიხომ.

— გამარჯობა რომ მითხარი, ამის მადლობელი ვარ. სწორედ გამარჯვება მჭირია დამარცხებულს.

— როგორ თუ დამარცხებულს? შენისთანა გამარჯვებული მეორე არ ნახულა, რომ უბრალო ქლიბით თავით ფეხამდე შეიარაღებული მტერი გაემირე. ვაქკაცი ვარო, შენ უნდა თქვა.

მიხომ თვალეზი გამოაქყვიტა.

— კი, მაგრამ შენ საიდან იცა?

— მარიამი ენახე.

— ვაი სირცხვილო!

და უცებ სიჩუმე ჩამოეარდა. უხმოდ შეაკეპრდნენ ერთმანეთს. მიხომ ვერ გაუძლო მის აფორიაქებულ სინიდისში ჩამწვდომ თვალებს. ძირს დაზარა თავი.

— ვაქკაცი გიგოლმ ყოფილა, შენი ჭირიმე, მე ნუ მამბრალე. მან უდანაშაულო თავი გასწირა სხვის დასახსნელად. მე კი ლჩარა გამოვლექი. ყველა ლჩარას, მოგეხსენება, გვიან სჩვევია თავგამოდება.

— შენ კიდევ მარიამი დაიხსენი. მისმა შეილმა სამაგიერო გადაგიხადა.

— ნუ ამბობ ამას, შენი ჭირიმე. ჩემი ამბავი სხვა იყო. უნდა დაეფარო. გიგოლას ამბავი კიდევ სხვაა.

— კი, მაგრამ ახლა საით გაგიწევია?

— იმ უდანაშაულო ბიჭის კვალს მივსდევ... ჩემი სასჯელი მევე უნდა ვხელო. შეილების პატრონი ვარ, ცოდვას ვერ ავიკიდებ.

— შენც ხომ უდანაშაულო ხარ?

— ღმერთთა მოწამე, რომ უდანაშაულო ვარ.

— ჩვენც ამის მოწამენი ვართ, მიხომ. ახერე რა ანგარიში გაქვს: ვანა სულერთი არ არი, ერთი უდანაშაულო დაიხსენება, თუ მეორე მის მაგპერ. აქ, ღმერთს ან აღაშინს რა მოგება აქვს, შე კარგო კაცო. გიგოლას გადასარჩენად ფეხზე დამდგარია დღეს მთელი მუშა ხალხი, რაც კი ქალაქში იმყოფება... დიდი, პატარა, ქალი და კაცი. გიგოლასთან ერთად სხვა უდანაშაულო მუშებიც იტანჯებიან და უმართებულო სასჯელს მოელმან.

ამათი განთავისუფლებაც უნდა მოხდეს გიგოლასთან ერთად.

მიხომ სდუმდა.

— და ეს მოხდება დღეს თუ/ხვალ. შენი გზა კი შემცდარი და მძიმეა. რამ ის სწორი და მართალი იყო მაშინ, როცა მოქმედებდა და მისი მადლი და მისი სიკეთე იყო მისი ძალა. რა მოხდება შენთვის და მათ სიკეთე იქნება. როგორ გგონია, ცოცხალი იქნები, რომ ასე არ მოქმედოდა?

— შუაში გამჩხვდა, უთუოდ, შენი კირიბე.

— ჰოდა, ახლა კი არ გავჩხვავს მტერი რომ თავის შესაშვრად მასთან მიდის? მაშ, მტერთან ბრძოლა ყოფილა საჭირო, რომ ცოცხალი გადაურჩე. ბრძოლა და არა მორჩილება. დამღუბელია შენი გზა, მიხვ. თუ გულით ვინდა ვიგოლას განთავისუფლება და არ სტყუი, მოგვეყვი ჩვენ, ხალას ძალა მივმეტება.

— როგორ არ მოგვეყვი? სიცოცხლეს არ დავიშურებ ჩემისთანა უღონაშაულო, საწყალი ხალხის დახსნისათვის... სამარის კარამდე მოგვეყვი.

მიქოლ ზაზუნაძე

მონუსი ტოლ-ქაბარი

ცივი ზამთარიც არ გაუცილავთ
დღეს, და დილითვე მოურთავთ სახლი
ალარ აწუხებთ, მოესმით ტკბილათ
ძალის წკმუტუნია, ქათმის კრიახიც.

სამი წლის შემდეგ მიიღეს უკვე
შვილის წერილი, თორემ ისე აქ
მოწყენა იყო. დღეს გამოერკევენ
და ვახშმისათვის სამხადისძ აქვთ.

შორით ზედაენა— ტყე კვლავ ირბევა,
ქარი კვლავ შოსთქეამს გულამოსკენილი,
მაგრამ არ აკრთობთ. მზე კი ეხვევა
ცისკიდურს, როგორც ლობეს ასკილი.

დასრულებულია

დაბრუნება

ამ ადგილს ისევ ტყე აკრავს ირგვლივ,
აი, ლეღის ხე ტრტებდაზრილი,
აქა-იქ ფესვებ გამხმარი ჩირგვი
და ავსებული წვიმის წყლით თხრილი.

ის აქვთ მოდის ყოველ საღამოს,
ბარავს, და ჩნდება ზშირად ბოლი აქ,
ედება ნარი იმ ტანისამოსს
მას რომ ბრძოლიდან გამოყოლია.

გიორგი შატაბერაშვილი

მეცხა კიბე

რამდენიმე დღის გამუდმებულმა სიმშვილმა გვაიძულა ის დაბურული ტყე დაგვეტოვებინა, რომელმაც მტერთან უკანასკნელი შეტაკების შემდეგ შეგვიფარა და სიცოცხლე შეგვინარჩუნა.

ჩვენც უნებურად დავაფასეთ ამ უღრანის მშობლიური, ამაგი და მისი მყუდროება არ დაგვირღვევია.

ტყვია-წამალი მაშინაც კი ცოტა გვექონდა, როცა სიკვდილს შევებით... ვადარჩენის შემდეგ ჩვენს ავტომატებს ვაზნები არ გააქარებია, ისე როგორც ჩვენს თვალს პურის ნატებიც არ უნახავს.

სიმშვილმა შეგვაწუხა... ამჯერად ის უფრო საშინელ მტრად მოგვევლინა, ვიდრე გერმანელი აფთარი. ის, როგორც ჩანდა, ვერ ბედავდა ჩვენს ღვენას. მან არც ჩვენი მდგომარეობა იცოდა, არც რაოდენობა. ჩვენ ხომ სულ ორნი ვიყავით ამ ტყეს შეფარებულნი: მე და იანკა კოშევი.

ჩემი ძმადნაფიცო ჩვიდმეტი წლის ქაბუკი იყო. ხშირად ახსენებდა დედა-უკრაინას, რომლის დარდი ყველა ჯავრს ავიწყებდა. ის სამი თვის წინათ შემოუერთდა ჩვენს ჯგუფს და უკვე რამდენჯერმე დამიმტკიცა ერთგულება და ეაყაობა.

როგორც მოსისხლეს, ისე სძაგდა გერმანელები.

ყოველ დილით აცოცდებოდა ზუზარმაზარ არყის ხეზე, ფთილებს განზე გადასწევდა, თავის ცისფერ თვალებს მონუსხავდა და ერთხანს ასე სუგდიანად გასცქეროდა თავის მშობლიურ სოფელს, რომელიც აქვე, ტყის გადაღმა მდებარეობდა.

— მათ კასკებს ვხედვ... ჩვენები არ ჩანან...

გულდაწყვეტით-მეტყობდა რაცა ხიდან ჩამოვიდოდა და ხელს ჩაიქნევდა. უსარგებლო ავტომატს სამღურავეით დახედავდა და ხის ძირას მიაგდებდა.

ჰო-და, ერთი ასეთი დილის შემდეგ გადავწყვიტეთ ტყე დაგვეტოვებინა და ფარულად სოფელში შევსულიყავით.

იანკას ოჯახში არა ერთხელ გვოფილავარ: გვაპურებდნენ, იარაღს გვაწვდიდნენ...

ეხლაც თვალწინ მიდგას ეს კარგი ოჯახი: ახოვანი მამა, ჰო... თევდორე ერქვა, ალერსიანი დედა, რომლის ხელით გაკეთებული ბლინების გემოს გასუნება ამ დილით საოცრად მაღიზიანებდა. იანკას ცისფერთვალეზა და მარაც თითქოს ჩემს დარდათ გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე.

თევდორეს კრიალა არაყი ხომ მოქანცულებს და რამდენიმე დღის ნამშევებს მკვდრეთით ალგვადგენდა.

ბინდამდის სამზადისს მოუწდიო, ან კი რა გვექონდა მოსამზადებელი.

ტყის პირას გამოეცოცდით და მკვდრებივით ვიწეპით ბუნებრივად შედამუბამდის.

როდესაც ისე ჩამობნელდა, რომ ერთმანეთს ძლივსღა ვარჩევდით, ფეხზე წამოვდებოთ.

იანკა წინ გამიძღვა. მან კარგად იცოდა თითოეული ბილიკის მცირე მოსახვევიც-კი, მაგრამ ჩვენს წინ აღმართული წყვლიანი გვიძულვებდა ზოგჯერ ფორთხვითაც კი ჩაეცოცებულებოდავით ოდროჩოლორობაში.

სოფელს მალე მივადექით და პირველი ქუჩა ისე გავიარეთ, რომ კაცი არ შეგვხვედროდა.

პატარა მოედანზე, თხრილის ვაღალმა, მაღალ ბოძზე შესებგაპერული ფანარი ეკიდა და უდიდამოდ ბეჭტავდა. ეს სახარობელის ბოძი იყო, რომლის აღმართვის დღეს გერმანელ ოფიცერს გესლიანად ეოხუნჯნა:

„დღისათ მტრებს დაუბნელებს თვალებს, დამათ კი ჩვენ ვაგვიშუქებს გზას“...

მოედანს იქით მკრთალ შუქზე იანკას ერთსართულიანი სახლი მოსჩანდა. როცა თხრილში ჩავწექი, ისე მომეჩვენა, თითქოს ეს პატარა შენობა ფანრის მოფარფატე, მკრთალ შუქზე უეცრად შებარბაცდა. ალბათ მოქანცულმა თვალმა თუ მაცდინა.

იანკა დაიხარა და ხმადამლა შითხრა:

„შენ აქ იწექ — არ გაინძრე... მე დავხვერაგ, იქნებ სახლში უცხო ვინმე ჰყავთ“...

ჩრდილ-ჩრდილ წავიდა.

უკვე მოედნის იქითა მხარეს იყო და სამშვიდობოს გასულად ეთვლიდი, რომ იანკა ანაზღათ შეჩერდა. ეტყობოდა ვიღაც დაინახა. მოედანზე მაღალი კაცის ჩრდილი გამოჩნდა. ისიც შეღვა, შემდეგ, უხერხულად გაჩერებულ იანკასკენ წამოვიდა და მე გავეგონე მისი ჩაბლყილი ხმა:

— ჰეი მეზობელო, რომელი ხარ?...

იანკამ ხმა არ გასცა, სიარული განაგრძო და ფეხს აუჩქარა. უცნობმა გზა გადაუჭრა. მარცხენა ხელი დაუჭირა, სახეში ჩახედა და დაბალი, ცივი ხმით გაუძეორა:

— მეზობელო, რას მიწყურები... რომელი ხარ?

იანკა უხერხულად სდუმდა. არ ვბეი. დაიბნა თუ შეშინდა. უცნობმა ჯიბისკენ წაიღო ხელი. მაგრამ იანკამ აღარ აცლა: უეცრად იტაცა ხელი თეძოზე და ხანჯლისშეილა ნიკაპქვეშ აძგერა უცნობს.

მე წამოვიწიე, მაგრამ გვიანდა იყო...

წაქცეულმა უცნობმა რევოლვერი ვსროლა. გამობრუნებულ იანკას. იანკამ ერთი დაიკივლა და გულადმა დაეცა სწორედ თავისი სახლის და რაბებ-გამოზურული ფანჯრების წინ.

წყვდიადში მწოლი კარგად ეხედავდი, როგორ აშუქებდა ფანრის მკრთალი შუქი მის უძრავ სახეს. მაღალ შუბლს და ქერა კულულებს.

სროლისა და ხმაურის მიუხედავად არც ერთი ფანჯარა, არც ერთი კიშკარი არ გაღებულა.

მაღალი უცნობი ჯერ ისევე ფორთხავდა და ხრიალით უხმობდა მშველელებს.

იანკა უხმოდ, უძრავად ეგდო და მე გულისტკივილით უნდა დამეჯერებინა მისი სიყვდილი. მოედანზე გამოეკლას ან უკან გაქცევას აზრი აღარ

შეონდა. გერმანელი პატრულები ყოველის მხრით მორბოდნენ, ყველაფერს განი სწორედ ჩემს მახლობლად გადაეცელო თხრილს და სახეში მტყუტებ შემომაყარა. მათთან სიახლოვემ და ბნელმა დამემ მიხსნა.

პატრულებმა დაჭრილ უცნობთან მიიბრინეს და მისი ფეხზე წამოყენება სცადეს. იგი ჯერ კიდევ გონზე იყო და მისი კანტი-კუნტი წამოძახილიდან შე გავიგე, რომ ის სამშობლოს მოღალატე უკრაინელი, სოფლის მამასახლისი იყო, რომელიც ამ ერთი თვის წინად შემთხვევით გადაურჩა ჩვენს ტყვიას.

მან ხელი გაიშვირა იანკასკენ და ხოტიწით სთქვა:

— პარტიზანმა, მომკლა. აქაური უნდა იყოს... ვეღარ ვიგონებ... მე ხომ ათი წელია, რაც ამ სოფელში აღარ მიცხოვრობია. სოფელი იტყვის... მაკალეთ, იქნებ მოვიფიქრონ...

მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა გახსენება. ფეხები გასჭიმა, გაიბრძოლა და გათავდა.

რამდენიმე პატრული იანკას ფრთხილად მიუახლოვდა. გულს არა სჯეროდა მისი სიკვდილი, სინამ ერთმა გერმანელმა ხიშტი არ აძგერა მის უძრავად დაეარდნილ, მოკრუნხულ მარჯვენას.

ცრემლი წამსკდა. გაცოფებული ვნატრობდი თუნდაც ერთ ტყვიას.

უფროსმა პატრულებს უბრძანა მამასახლისის გვამი წაეღოთ, შემდეგ იანკას ავტომატს დასწვდა, უფრადლებით დაათვალიერა, მეორედაც ბრძანა რაღაც და მზაკვრულად გაიციანა.

მე გერმანულად ნათქვამისა ვერაფერი გავიგე, მაგრამ მივხვდი რომ კარგს არაფერს ნიშნავდა მჩის სიცილი.

იანკა დასტოვეს ღია ცისქვეშ და უხმუროდ გაიკრიფნენ მოედნიდან.

„რას უნდა ნიშნავდეს ეს?“

ვეკითხებოდით თავს და ხან ჩემი მეგობრის გაციებულ სახეს ვაქსცქეროდი, ხან მისი უბედური მშობლების ჩაბნელებულ სახლს.

ღიმი განსაცდელი გონების მუშაობას აჩქარებს... რამდენი რამ წარმოვიდგინე და დაეპირე, მაგრამ საბოლოოდ ერთმა აზრმა ელდასაციით დაურბანა ჩემს გაღიზიანებულ ძარღვებს. მე მივხვდი გერმანელთა მზაკვრობას და კინაღამ შევკვივლე, იმდენად ჯოჯოხეთურად მეჩვენა მათი განზრახვა.

ღიმი, მათ განვებ დასტოვეს იანკას გვამი აქ, მოედანზე. გზაჯვარედინზე.

ჩემი ძვირფასი მეგობრის ცხედარი მათ გადააქციეს მახელ და მე ვგრძნობდი იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლებოდა ხვალ დილიდანვე სოფელს თავს დასტყუხოდა.

პირველი მსხვერპლი უთუოდ იანკას ოჯახი გახდებოდა... გერმანელის ცბიერ თვალს არ გამოეპარებოდა ის თუ როგორ შეიცნადებდა ოჯახი უბედურებას, როდესაც ხვალ დილით ეზოს კიშკარი ან ფანჯრის დარბაზი გაიღებოდა... მიცვალებულის გვერდით, სოფლის შარაზე მთელი სოფელი წაივლიდა. ნათესაეები, ნაცნობები, ფარული მეგობრები — ყველანი სფრთხეში იყვნენ.

უნდა გამეფრთხილებინა ოჯახი. უნდა მეხსნა ეს სოფელი, რომელსაც გული ჩვენებურად უცემდა.

ვიგრძენ, რომ დიდი უბედურების მაცნეობა დამაკისრა ბედმა...
შევთხოვდი.

როგორ ვუთხრა მშობლებს, რომ იანკა დაიღუპა. რომ ის მოკლეს, მოკლეს აქვე, თავის სახლთან, როდესაც მძიერ-მწყურვალი აპირებდა მშობლიური კიშკრის შეღებას?

მაგრამ ეს კიდევ არაფერი...

როგორ აეუკრძალო მშობლებს შეიღის ცნობა?

როგორ აეუკრძალო ძვირფასი ძმის დატირება დას?

მაგრამ ყოყმანის დრო აღარ იყო.

შუალამე გადავიდა. ჩქაში აღარ ისმოდა.

მომხდარმა უბედურებამ უფრო საიმედო გზა მომაძებნინა. დიდი წვა-ლების შემდეგ უკანა კარიდან მივადექი თვედორეს სახლს. შესვენების შემდეგ ფრთხილად დაგვაკეუნე.

არ ეძინათ.

ამგვარად ბევრჯერ შევხმინებოვართ ამ ოჯახს.

კარი თვედორემ გაიღო.

„მე ვარ“... ვუთხარი და ოდნავ გაშუქებულ ოთახში შევედი.

ჩემი ნათქვამი ნიშნავდა იმას, რომ მარტო ვიყავი, მაგრამ ზღურბლთან გაჩერებული მოხუცი, რომელმაც აღბად უკვე იგრძნო რაღაც, კარს არ ხურავდა და წყვილადს გაკეურებდა, თითქოს გარედან შეიღის შემოსვლას ელოდებო.

„იანკა?“

შემეკითხა თვედორე ყრუდ და სჩქაროდ დაუმატა:

„ჩვენ დაღუპული გვეგონეთ... მადლობა ღმერთს, რომ გამჩინდი!“

„იანკა“... გაიმეორა მან და მე არ ვიცოდი, რა მებახუხნა მისთვის. შუა-კარის კრიალმა დროებით მიხსნა.

ოთახში დტლა შემოვიდა და მაშინვე იცნო. გადამხეცია და ჩუმიად მკითხა:

„რა მოხდა, რა სროლმ იყო?“

მე უპწეოლ შევხადე შეაკართან შეჩერებულ მარის, მის კითხვად ქვე-ულ თვალებს დავაშტერდი და უმაღვე თვედორეს მივებრუნდი, რომელ-მაც უკანა კარი მიხურა. მისმა გამტკნარებულმა სახემ დამარწმუნა, რომ მას ჩემმა თვალებმა უკვე ყველაფერი უთხარეს.

„ეხლა ლაპარაკის დრო არ არის... უნდა დამძალო საღმე... იქ გარტყვი, დიდი საქმე უნდა გაგანდო“...

ყრუ ხმით ვუთხარი მონუტს და კარისკენ ნაბიჯი გადავადგი.

თვედორეს არა უბქვამს-რა, ისე გამოიყვა.

წინ წამოდგეს ნაბიჯი დღეაშვილმაც, მაგრამ უმაღვე შეჩერდნენ.

მოხუცი წინ გამიძღვა.

სახლის გვერდით ნახევრად დანგრეული, მაღალი კოშკისებური შენობა იდგა. მის დაქანებულ კიბესთან მიმაცუნა-და შეჩერდა.

„ფხვით დათვალე... მეცხრე საფეხურს არ ვნდო, ფეხი აარიდე და მე-თეზე ამოდგი პირდაპირ“...

მითხრა და უხმოდ, ფრთხილად ზჰიძღვა კიბეზე.

ბნელ, ნესტიან ოთახში თუ სხვენში შევედი და უხმოდ გავნერდიო ერთმანეთის წინ.

იატაკზე თივის კონები ეყარა. ერთ მათგანზე მოწყვეტილი

თევდორე მაგარი, თითქმის უგრძნობი კაცი იყო, მაგრამ ქვითის ელარ იკავებდა, როდესაც იანკას ამბავი ვუთხარი.

ღიან, გუამბე.

ის გაოცებული შემომყურებდა, ალბად ჯერ გულთან არ მიეტანა საშინელების გრძობა. მხოლოდ ხმადაბლა, გრძნობით ბუტბუტებდა: „შვილო, შვილო... მშვიერი... მშვიერი ყოფილხარ“.

თან ცრემლს იწმენდა. ბავშვით მიტკერდა, თითქოს რცხვენოდა.

როცა მე გავჩუმდი ის წამოდგა და მითხრა.

„ვერ ვიტყვი, რომ ეს ადგილი სრულიად უხიფათო იყოს, გზის პირია, მოედანს დამყურებს, მაგრამ თუ ვინმე ძალღთაგანი ამოსვლას გაბედავს, მეცხრე კიბეზე კისერს მოიტეხს... მანვა“...

მერე ღრმად, ღრმად დაიკვნესა და ამოოხერით დაემატა.

„ჩაეღ... ზომებს მივიღებ... ჯერ სახლს შევატყობინებ... ეხ... მერე სოფელს გავაფრთხილებ... ეხ. იარაღსა და საკმელს ამოვიტან... შენც ზომ გეშეება“...

ეს იყო და ეს. ამ ყრუ ამოხენეშით რატირია მოხუცმა თავისი პირშოკაბუკა.

ვაქკაციის გული ასწლოვან ხესავით შიგნიდან იტქეება და ნადგურდება.



ის დამე ჩემს მესხიერებაში საშინელ მოვონებად დარჩა.

მოხუცი მალე არ დაბრუნებულა.

ტატიო მიმდინარე დრო, რომლის იღუპალი ხმაური ჩემს მოქანულ სმენას თითქოს ცხადად ესმოდა—სხეენის დათვალიერებას და გულლასმით შესწავლას მოვანდომე. როცა ჩემთვის ამ ყრუ საღვომში გაუცნობი აღარაფერი დარჩა, თავს ძალა დავატანე და ამ საკმლიდან ფრთხილად ვადვიხედე, რომელიც ჩემთვის ნაცნობს, საბედისწერო მოედანს გადაწყურებდა.

ჯერ მბუტუცე ფანარს წააწყდა ჩემი მხერა, შემდეგ ზევით რომ ავიწიე, მიწაზე გაშლიართული იანკა დავინახე. მისგან პირდაპირი ხაზით ალბად ოციოდე ნაბიჯი მაშორებდა და მე შემეძლო მოედნიდან ხმამაღალი ლაპარაკის თავისუფლად მოსმენა.

ღამის ბინტში გავარჩიე ის კიბე, რომლითაც თევდორემ ამომიყვანა.

აღმოსავლეთის თენების ჟამი დაეტყო.

თევდორე დაბრუნდა. საკმელი და ნაგანი ამომიტანა. მისმა მოხრილმა მხრებმა დამარწმუნა, რომ ეს კლდესავით მაგარი კაცი საშინელ ღამეს გაენადგურებინა.

„აჰა, ეს ნაგანი... თუ საკმე გართულდა, იქნებ შენ მაინც გადაიჩინო თავი... სოფელი მხარს გვიჭერს, შევატყობინე უფელას. ჩემს უბედურ ბიჭს ხვალ არავინ იცნობს... ღმერთი გლოცავდეს“...

ეს მითხრა და კიბეზე დაეშვა.

მარტო დავრჩი.

განთიადმა ჩემი ბინაც გააშუქა.

სათვალთვალა ადგილი კარგად შევარჩიე და გულის პირისპირადად მოვემზადე.

მოედანზე არაფერ ჩანდა, მაგრამ ფარულად მას აღბად რამდენიმე ათეული ათვალი ზეერავდა. იდუმალი ზრბოლა ღამის წყველიადში დაიწყო და იგი ღღის სიცხადეს უნდა დაესრულებინა.

მოედანზე პირველად ჩემთვის უცხოები გამხდარი დედაკაცი გამოჩნდა, რომელიც ფეხშიშველა ბავშვებს მოუძღვრდა წინ. მე შესძოლა მისი ხმა-მადალი ყვირილი, ბუზდები და წყველა. ბავშვებს ტუტავდა, რომლებიც სამღერავეს საბაბს არ იძლეოდნენ და გაოცებულში ისმებდნენ დაუძახებრებელ რასხებს. და მე ვიფარძეა, რომ ფარული ზრბოლა ცხადში გადადიოდა, რომ ეს ცივი სახის გაახდარი დედაბერი ზრბოლის ველზე გამოსული ზირველა ჯარისკაცი იყო.

გული დაშეწერა მღელვარებისაგან.

დედაბერმა უეცრად იანკას მოკრა თვალი, შეპკივლა, ბავშვებს თავი მიანება. თევდორეს სახლის კიშვართან შორიბინა და კარს რახუნი აუტება.

„თევდორე ლუკინ... თევდორე ლუკინ, კაცი მოუკლავთ... გამოიხედე, კაცი შოთკლავთ, სწორედ შენი სახლის ფანჯრების წინ!“

ბავშვებიც მორჩილად გამოაყვენენ დედაბერს, მაგრამ ფანჯრების წინ სისხლში წაქცეული კაცი რომ დაინახეს, შეკრთნენ და უკან გაიქცნენ.

კიშვარი გაიღო, თევდორე ბარბაციტ გამოვიდა მოედანზე.

მას არც დედაბრისთვის შეუხებლავს, არც იანკასთვის. ქუჩის მოსახვევისკენ გადადგა ნაბიჯი და ხმამაღლა ღაიძახა:

„წავიდეთ... წავიდეთ... ოფიცერს შევატყობინოთ...“

და ბარბაციტვე გაიქცა წინ.

დედაბერმა თავი მიანება ყვირილს და თევდორეს დაედევნა.

ოითუბა ამ ნიშანს ელოდნენ. ახლომახლო კიშვარებმა დაიკრიალა. ფანჯრები ხმაურით გაიღო, მოედანს ხალხი გამოეფინა.

თევდორეს ქუჩის მოსახვევამდის არც კი მიედწია, რომ მოედნის მეორე მხრიდან გერმანელი ოფიცერი გამოჩნდა, რომელსაც რამდენიმე პატრული მოსდევდა.

გულისფანტქალმა მაგრძობინა, რომ უკვე ხელჩართული ზრბოლა იწყებოდა.

თევდორემ ქუდი მოიხადა.

„ბატონო ოფიცერო... სწორედ ჩემი ფანჯრების წინ... წუხელის“.

და ხმა ჩაუწყდა.

ოფიცერი სიტყვას მანინც გააწყვეტინებდა. ის თევდორეს წინ არ შეჩერებულა.

„ღიღი, სწორედ შენი ფანჯრების წინ... მერე სად იყავით, რატომ არ გამოჩნდით?“

თევდორე უკან დაედევნა.

„ჩვენ ბატონო... ღამით გამოსვლა“...

„პო, თქვენ ღამით გძინავთ... ვიცი, ვიცი!“

მკაცრად შესძახა ოფიცერმა თევდორეს. იანკას ცხედარს რომ მიუბახლოდნენ, ოფიცერა შეჩერდა და შეიღზე მიუთითა.

„მოხუცო, ამ კაცს არ იცნობთ?“

თევდორეს თავი მალა ჰქონდა აწეული. ცალი წარბეჭურჭლი და სივრცეს გაკურობდა.

„არა, ბატონო... პირველად ვხედავ“...

ოფიცერმა თვალი მოარიდა თევდორეს კუშტ სახეს, რომელიც თანდათან მშვიდდებოდა და ხალხს მიმართა:

„ვინ იცნობს მოკლულს, გამოვიდეს... ეს ხომ თქვენებუთია. ჯილდოს მიიღებთ“.

ჩემი გული ძალუმაღ სცემდა, ხომ შეიძლება გამოჩნდეს სულმოკლე გამცემი, ხომ შეიძლება თავი იჩინოს შურმა და მტრობამ.

ხმას არავინ იღებდა. ფეხი არავის წამოუდგამს წინ. დამუნჯდა სოფელი. სდუმდა ოფიცერიც, ისმოდა მხოლოდ მისი ნერვიული ქმენა.

„ვინც იცნობს და დაფარავს... ჩამოეკიდებთ“...

ოფიცერმა საზრჩობელის ბოძისკენ გაიხედა, რომელზედაც ჯერ კიდევ ბეურტავდა ფანარი. ხალხის თვალებში შეკავებული დრტვინვის ქარიშხალი მივინვარებდა. ოფიცერი არ სცხრებოდა.

„როგორ არ იცნობთ, აბა დააკვირდით... აბა თქვენც მიდით, ნახეთ“...

და გამომცდელი თვალებით აკვირდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, შემდეგ სხვასთან მიიჭრებოდა და იანკას ცხედარზე უთითებდა.

„ჩვენ გვინდა მხოლოდ მამასახლისის მკვლელის ვინაობა დავადგინოთ... აბა-აბა“...

გლეხები მიდირდნენ ცხედართან, დახედავდნენ, თავს გააქნევდნენ (სინანულით...) და ხმადაბლა ბურტყუნებდნენ:

„არ ვიცნობთ, ბატონო ოფიცერო, ეს კაცი არ გვინახავს“

ხალხში ვილაკამ დაივმინა. ეს მართი იყო, რომელმაც მოედანზე გამოსული დედა დაინახა, განზღვრებულ დედაკაცს ეტყობოდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა საშინელ გამოცდას, ყელის ძარღვები დაბერვოდა, თმები გაწეწილი ჰქონდა. შეშლილს დამგვანებოდა. ის ცალმხარეს მოგროვილ დედაკაცებში ჩაღვა. მე ეხლა მის ზურგს ვხედავდი, რომელიც საოცრად თრთოდა.

ოფიცერმა ქალიშვილს მკაცრად შეხედა, დააკვირა და შეუტია:

„რას ხეწეხარ? იცნობ განა?... გული დაგწყდა?“

მარიმ არც კი შეხედა ოფიცერს, ისე წარმოსთქვა წყნარი ხმით:

„ადამიანი, ბატონო ოფიცერო... ადამიანი“.

„ადამიანი... ჰმ, ადამიანი... ადამიანი კი არა, მხეცია, მკვლელი“...

მაგრამ ყველას ყურადღება ბატრულთა დაბრუნებულმა ჯგუფმა მიიბერო. ბატრულთა უფროსი ოფიცერთან გამოცხადდა და აცნობა:

„ბატონო ოფიცერო, ჩხრევა უშედეგო აღმოჩნდა, სხვა ვერავინ ვიპოვეთ. ალაღ წუხელისვე დააღწიეს ალყა თავი“.

„ის სახლი გაჩხრეკეთ?... ისიც? ეს სახლი? ეს რაღა... ეს ნანგრევები ვის ეკუთვნის?“

ოფიცრის გასისხლიანებული თვალი სწორედ იმ სარემელს აკვირდებოდა, რომლის უკანაც მე ვიდექი და მღელვარებით დაეყურებდი მოედანზე მომხდარ დაძაბულ ამბავს.

სისხლი მოაწყდა ჩემს თვალებს. ჩემი აღმოჩენა დაღუპავდა იანკას მთელ ოჯახს და მის ერთგულ მგზობლებს.

გამპრალი თვედორე წინ წამოდგა, ოფიცერს მიეახლა, ქვედომინანტი და წყნარად უთხრა:

„ეს, ბატონო, მინებებული თავლის სხვენია... შეიდი წელიწადია, მეც კი აღარ ავსულვარ“.

ოფიცერმა ცივად შეხედა თვედორეს და პატრულებს სხვენის განხრეკა უბრძანა.

„წაიძმღვარეთ ეს მოხუცი და ადიოთ კიბეზე“...

პატრულებმა იარაღი მოიპარჯვეს და თვედორე კიბისკენ გამოაგდეს.

თვედორე უხერხულად მიაბიჯებდა კიბისკენ და უმწეო ღიმილით ბურტყუნებდა:

„არაფერია აქ, ბატონო ოფიცერო, მინებებული თავლის სხვენია, ასე-ღაც კი სახიფათოა კიბეზე... ველარ შევბედავ“...

სარკმელს მოეწყდი და კართან მიეცოცლი, რომლის ფიცრების ნაპობიდან მე დავინახე კიბის პირველ საფეხურზე შემდგარი მოხუცი.

ხალხი კიბეს მისწყდომოდა და მათს ზეაპყრობილ თვალეში მე ამოვიკითხე, თუ ვის გაანდო წუხელის თვედორემ ჩემი სამალავის საიდუმლო.

ხალხი უხმოდ დრტყინავდა. მარი დედას მხარში შესდგომოდა და ამხნევებდა.

მე გადავწყვიტე ძვირად გამეყიდა სიცოცხლე, ჯერ თავს ვიკვებდი, თუმცა ნაგანი მზად მქონდა.

თვედორე ღინჯად ამოდიოდა კიბეებზე. დასჩერებოდა ფიცრებს. მე დავთვალე ამოვლილი საფეხურები. ის მეცხრე საფეხურზე აღვამდა ფეხს.

ერთხანს თითქოს შევყოყმანდ, შეჩერდა. ჯერ ხალხს გადახედა, მერმე იანკას... შემდეგ მშვიდად გაიღიმა, ბებრულად, მოხუცებმა რომ იციან, მაშინ როცა სიკეთეს სთესენ... ამოიფხრა — და მეცხრე კიბეზე გაბედულად შედგა ფეხა.

კიბემ დაივრიალა. მისი ქვედა ნაწილი მოსწყდა ზემოს და დაიმსხვრა.

თვედორე შეტორტმანდა და მოედინისკენ გადაეარდა.

მე უნებურად შევკივლე. ხალხის უეცარმა გრგვინვამ და შეძახილმა, რომელმაც ჩემი ხმა დასთრგუნა, მაგრძნობინა, თუ როგორ მისცა გზა თვედორეს ერთმა ნაბიჯმა დაგუბებულ ბოდმას.

ის-ვე სარკმელთან მივირბინე.

ქვეზე გულალმა დავარდნილი მოხუცი სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ ამ უბედურებას თითქოს შეება მოეტანა ხალხისათვის: ცოლსა და ქალიშვილს მის წინ დაეხოქნათ და ეხლა კი ხმაშალა ქვითინით დასტიროდნენ მომაკვდავსაც და შიცვალებულსაც... თვედორეს აშკარად, ხოლო იანკას მისკენ მიუხედავად, ზურგშექვეულნი...

თვედორე ტანჯვით იღიმებოდა და ზოდავდა:

„ძველი კიბეა, ბატონო... სახიფათოა“...

თვედორესთან ერთად კიბიდან გადმოცვივრული ჯარისკაცები ტანსაცმელს იბერტყავდნენ, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, ერთი მათგანი დაფეხილ შუბლიდან სისხლს იწმენდა და ურცხვად ილანძღებოდა:

„ქოფაკო, რატომ არა თქვი, თუ ასე სახიფათო იყო ასეღაც!“

საქართველოს
შინაგარეო ურთიერთობების
მინისტრის განცხადებით

ამავე დამეს გერმანელებს დავესხლტი და ჩემს ნაცნობ ტყეს მივეცი თავი.

არ ვიცი, რა დაემართა თევდორეს. მე ის მომაკვდავი დაეტოვე თავის სარეცელზე. გრძობა დაკარგული ჰქონდა და ალბათ დიდხანს აღარ იცოცხლებდა.

თვალტრემლიანმა შარიმ მხარზე ქვეთინით დამაყრდნო თავი.

გამომიტყდა: თუ გადავრჩი, დაგიმტკიცებ, რომ შენთვის გაეჩნდი ამ ქვეყანაზე... და მზურვალე კოცნით გამოშეთხოვა. იქნებ ბედმა უსმინოს. ერთი კვირის უგზოუკვლო წოწილის შემდეგ ჩვენებს შევეუერთდი და მას შემდეგაც ბევრი რამ შემემთხვა, მაგრამ ის ამბავი ვერაფერმა დამა-ვიწყა.

ჩვენ ისევ ყურადღებით ვისხედით და მღუშარედ ვუცქერდით დაქრილ ლეიტენანტს, რომელმაც ეს ამბავი გვიამბო.

ის ჩვენ თითქოს არც გვამჩნევდა. თავის ფიქრებში წასული გააყურებდა ქართლის დაცემულ ვაკეს, რომელიც ალბად უკრაინის ველებს აგონებდა.

ჯერ ამბავმა და შემდეგ ჩამოეარდნილმა რიჩუმემ ჩვენი ოცნება შორს წაიღო. ოცნებაში თითქოს მეორდებოდა ნაიხრობი, მაგრამ უსიტყვოდ, ელდის სისწრაფით.

დიდხანს ვისხედით ასე. მყუდროების დარღვევა არავის სურდა. სინამდვილეში უფრო მეტის მოქმედი...
ლეიტენანტმა წამოიწია.

„მანც რა ხალხი ყოფილან?... საკვირველი, მტკიცე, ქვეყნის მოყვარული და დაუშორჩილებელი. მათ მტერი ვერ გასტეხს“...

კოვაჟ მარგინანი

შკონდინის ღლიკიღან

1. ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს

წუხელი, როცა მცწყნარდა ბრძოლა
და შეისვენა შაშხანის ღულამ,
როცა შესწყვიტეს ტყვიებმა ქროლა
და ზარბაზანმაც თვალი მილულა.
აუწერელი დუმილი დადგა,
(აღბათ ოცნებამ თუ შეგვეერთა)
არაქინ ვეაკლდა და მაინც, რაღაც
ყველამ ერთგვიარად ვიგრძენით სევდა.
და ჩვენ მოგვესმა მეომრის კენესა,
კენესა კი არა — სიმღერა მწველი,
თვით საქართველოს სალამურებსაც
ჯერ არ ჰქონიათ იგი ნამღერი.
ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს
კვლევა და მაინც სიცოცხლეს უმღერს,
და მამულისთვის ანდერძად სათქმელს
სიმღერად ატანს სამხრეთის ღრუბელს.
რომ საქართველოს შეთვალა ქალებს
ჩვენს მამულს — ქართველის წმინდა ყამირსა,
მოესმას ჰანგი — უკანასკნელი
ერთი ქართველი მეომარისა.
ვინაც ცხრა ვერავს მახვილით მისწვდა,
მოკვდა და მაინც მოიგო ბრძოლა,
უკანასკნელად სამშობლო მიწას
მაინც სიმღერის ხმა გააგონა.
ჩვენ ხომ ბრძოლაში სიმღერით ვკვდებით
და საფლავშიაც ჩაედევართ მშვიდად,
რომ მშვიდად იდგნენ მშობელი მთები
და საქართველო — მამული წმინდა.
...და აღარ მიკვირს — იმ წუთში ყველა
რა ძალამ შეგვეკრა და შეგვეერთა,
ერთი მეომრის ხმის გაგონებამ
რად დააბუდა ჩვენს გულში სევდა.

2. ზღვაში

საქართველო
საზღვაო მუზეუმი

ზღვა ბორგავს, შფოთავს ქვესკნელი მღვრიე
და სანაპიროს ახეტქებს ზვირთებს,
ჰორიზონტს გაშლილს, ცის დასალიერს
ეს ქარიშხალი რისთვის უკვირდეს?!
ზღვა შფოთავს ეხლა, რისთვის მიკვირდეს,
როცა ყოველგან სუფევს ზღვაური,
გული არ ითხოვს ეხლა სიმშვიდეს,
როცა გრივალში დგას შეზღვაური.
შეზღვაურს მკერდზე ესხმება თქეში,
სინათლეს აფრქვევს მრისხანე მზერა,
შეერთებია გულისთქმა მისი
სამშობლოს სუნთქვას და გულისძგერას.
...ზღვა შფოთავს, ბორგავს, ქვესკნელი მღვრიე
აღუღებული ამოდის მაღლა,
შორს წისლი აწევს ცის დასალიერს
და სანაპიროს აწყდება ტალღა.

3. მე უბით მატარებ პატარა ბარათს

მე უბით მატარებ პატარა ბარათს —
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე, ვით საუნჯე — ფარულად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ.
წუხელი ბიჭებმა გადმომცეს ქალაღი,
იმ წამსვე გავხსენი თრთოლვით,
თოვდა და ჩემს მხრებზე დაფრინდნენ ფარფატიო
ფიფქები პირველი თოვლის.
არ მახსოვს, რამდენჯერ გავხსენი ღიმილით,
ქაბუკი ოცნებად ვიქვეც.
უცხო რამ, ასე ვთქვათ, ვით გულისტივილი,
დავხედე ბარათს და ვიგრძენ:
შენ როცა ამ ბარათს საჩემოდ სწერდი,
მაღაფდი შენს წუხილს — ქალო,
დაწერილ ბარათის ორავე გვერდი,
მეტყოდა, რომ კარგად ვარო!
არა ხარ მართალი, ბავშვურმა ცრემლებმა
ხომ გაგთქვეს, რას იტყვი ახლა?
ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა
საჩემოდ დაწერილ ქალაღს.
არ ვიცი, რას სწუხდი, უჩემოდ ყოფნა
ვიცი, რომ ძნელია შენთვის,
არ ვარგა: გულით სხვას ფიქრობდი თურმე,
ხელით კი სიზარულს სწერდი.

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი;
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდათ.
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის, —
ღიადი საშობლო წმინდა.
...შე უბით ვატარებ პატარა ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარაზის გვარად
ჩაირჩება ბარათის ხსოვნა.
მოსვლამდე ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დავბედავ ხენეშით: —
„საველე ფოსტა — 72
მარგიანს საკუთარ ხელში“.

მ ა მ ა

წელგამართული, მომღიმარი იყო ზეიმზე,
სოფლად რომ ეძღვნა მისი ვაჟის სახელს, გვირობას,
სიტყვაც წარმოსთქვა და ბრწყინავედა, როგორც მზე იმ დღეს,
როგორც ცარგვლი და შეენოდა მხარგაშლილობა.
შინ რომ დაბრუნდა, გავლა მთების გადაღვმის მნახველს,
რისგანაც გულში დეკაცობის გრძნობა ევიედება,
მოუხმო ცოლის წმინდა აჩრდილს, წაუშლელ სახელს,
შეხედა სურათს და ახარა შვილის დიდება.
წინაპართაგან მოაგონდა სახელი ჰევრის,
გულის გადაშლა, საუბარი მათთანაც სურდა...
რძალს მოლხენისთვის მოუწოდა... მოხადა ჰევერი
და შედნიერი რძალთან ერთად მიუჯდა სუფრას.
დაისკვა მუხლზე შვილიშვილი, მომავლის დიმი,
შეათამაშა... ცხენზე იჯდა თითქოს პატარა.
დალოცა შვილის ვაკეცობა ლალისფერ ღვინით
და საქმე მისი უკვდავების სხივს შეაღარა.
თან ედგა თვალწინ მისი გზნება, საზე კეთილი,
მისი ბავშვობა, როს დასდევდა ეზოში დედას.
ლამით კაშკაშა ვარსკვლავებით ცა მოჰქდილი
ეხატებოდა გმირი შვილის სანატრელ მკერდად.
დასაძინებლად როცა დაწვა, ოცნების სარკე
არ ასვენებდა და იწვევდა მტრის გასათელად,
ეძახდა შვილი, და მის ღიმილ შუქს ჰფენდა სარკმელს
ბოსტნის ბოლოდან აფრენილი ციციანთელა.

ილია სოსხაჩია

ღაჭრიც ძმას

შენ იდექ მარტოდ და ზვერაედი ირგვლივ მიდამოს,
არეულიყო ერთმანეთნი წვიმა და ქარი,
მხოლოდ შაშხანა იყო შენი მესაიდუმლე,
ტრიალ მინდორში არსად სჩანდა თავშესაჭარი.

მტრის მოლოდინში გამალებით გიცემდა გული.
რამდენი ღამე ბუჩქებს შორის გაგთენებია,
მულამ გრანობდი, რომ ეს მნათობნი უცნობ ზეცისა
მშობლიურ მხარეს მოელვარე ვარსკვლავებია.

ძველთაგან თქმულა: მწუხარება ეწვევა თჯახს, —
მოულოდნელად, როს ჩონგურს სიძი გაწყდება,
ის ღამე იყო, ძმაო, შენთვის საბედისწერო
ცხოვრების გზაზე ის არასდროს დაგვაეციწყდება.

სისხლი გდიოდა, მთვარის ჩრდილებს ეხამებოდა,
ირგვლივ ისმოდა ქვეშეშების ხმა შესაზარი,
წაიქეც, მაგრამ წამოდგომა ველარ შესძელი —
შენზე ასეთი ნახა მაშინ დედამ სიზმარი.

ახდა სიზმარი, ავბედითად, ატირდა დედა
და ამ ტირილში მრავალ დედის ისმოდა მოთქა,
შორს კარბატებში ხელჩართული ლომებრ იბრძოდა
თავგანწირული დევ-გმირების ძლეერი მოდგმა.

ძალას ბერებდი, წვეთი წყალი გენატრებოდა,
ბრძოლის ველიდან გაყვანაზე სთქვი შენ უარი,
თითქოს სიკვდილმაც სასიკვდილოდ არ გაგიმეტა
კვლავ ბრძოლისაკენ გეძახოდა ხმა იღუმალი.

ძმაო, წერილს გწერ — განიკურნე, ისევ დასცხე მტერს,
სულ მალე-მალე ჩვენი ხალხი წყლულს მოიშუშებს.
სამშობლოსათვის, დიდ სტალინის დღეგრძელობისთვის
დიდება იმას, ვინც სიცოცხლეს არ დაიშურებს.

მზეო, სიცოცხლეც, უშრეტელო, სხივთა მფენელო,
როგორც ვრიგალი უძლეველი, აღსდგენ ერება,
ძმები ყველას ჰყავს, მუსრს ავლებენ მტრის შემდრკალ რიგებს,
შენც სხვებთან ერთად დიად წიგნში ჩაიწერები!

ლადო ავალიანი

ს ი ლ უ

ნოველა

შარშან, გაზაფხულზე, შავი ზღვის ერთ-ერთ სანაპირო ქალაქიდან ამხანაგის ბარათი მივიღე; იგი თავის ავადმყოფობას მატყობინებდა და თანაც ჩემს ნახვას ნატრობდა. გადავწყვიტე სამი წლის უნახავ ამხანაგს ვწვეოდი.

უცხო ქალაქში ბევრი ხეტიალი დამპირდა, სანამ ამხანაგის ბინას მივაგნებდი. მახსოვს, მოქანცულმა, გალაფულმა ვზის პირას ახლო მდგარ სახლს მივაშურე და ვიწრო, ჩაბნელებულ ფანჯარას მივაკაკუნე. ფანჯრის ფარდა ნელა შეირხა. გამომეგებნენ. ჩემს კითხვაზე უცნობმა მოხუცმა კაცმა ეტეით ამხედ-დამხედა, მერე შინაურებს სგებხაურა. მოხუცის ძახილზე ათი-თორმეტი წლის გოგონა მოიჭრა, მორცხვად შემომხედა; დიდრონი შავი თვალებიდან ის-თითქო ნააერწკლებს აფრქვევდა. მოხუცმა მწერალად, თავისებურ კილოზე აუხსნა მას, ვისთანაც მივდიოდი და, მოკლეკაბიანი, ფეხშიშველა და თმააბურღული ბავშვიც უმაღლე ხალისით გამიძღვა. ის მკვირცხლად მიბობდა. ტალახში მოურიღებლად ტობავდა. მე კი ღობის ნაპირის გასწვრივ ტალახიდან ამოზიდულ ქვიდან-ქვაზე ვხტოდი, სარებს ეპოტივებოდი; თუმცა ასეთს მოწიწებას უკვე აზრი აღარ მქონდა; მუხლამდე ლაფით ვიყავი მოსვრილი.

ამხანაგი თუმც მღუპარედ შემეგება, მაგრამ მე მაინც ვეგრძენი, რომ ჩემმა უეცარმა წვევამ იგი უსაზღვროდ გაახარა, როგორც იტყვიან ხოლმე: სიხარულმა დაამუნჯა, მაგრამ მალე სიხარულმა მალე აუღდა ენა და ჩვენ დიდხანს ინტიმურად ვისაუბრეთ...

ნასადილევს ამხანაგმა მოსვენება მიიჩია. — „სახეზე გატყობ, რომ დაღლილხარო“ — ისე მითხრა, თითქო მისაყვედურებდა. უმაღლე ორი ლოგინი გაშალა; ერთი ტახტზე, მეორე გრძელ მაგიდაზე. ჯერ, მოსვენებაზე უარს ვამბობდი, მაგრამ მალე დავყვევი ამხანაგის ნებას, მაგიდა ავირჩიე და წამოეწეკი.

გატყობდი: ამხანაგს ჩემთან ლაპარაკი კვლავ სწყუროდა, მაგრამ თავს იკავებდა, მიფრთხილდებოდა.

მართლაც, მგზავრობაში ისე დავიდალე, რომ ახლა ამგვარ წინდახედულობისა და სიფრთხილისათვის, გუნებაში, ამხანაგს მხურვალე მადლობას ეწირავდი, და თანაც თავს განგებ ვიძინარებდი...

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა... და უმაღლე გავიგონე რაღაც ყრუ, დახშულ გუგუნის მსგავსი, რიტმიული ხმაური... და ვეგრძენი რომ ზღვის პირად ვიყავი.

ზღვის ხმაური ნელნელა ძლიერდებოდა. ქროდა ქარი და ხანგამოშვებით მატულობდა წვიმა.

დრო და დრო ქარისაგან მოდენილი წვიმის წვეთები ეშვებოდა თან-
ჯარას და ფართო, ირიბ კვალს სტოვებდა მიწაზე.

ამხანაგს მალე ჩაეძინა. წამით მარტოობა ვიგრძენი; მეგობა, თითქო ამ
პაწაწინა ოთახში, სადაც არც ერთი ნივთი ჩემთვის ნაცნობი, მოგონებათა
აღმძვრელი, ინტიმურად დაკავშირებული არ იყო, ქურდულად ვიყავი
შემოპარული.

გაზვიადებულ ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ქერის შეუღებად
ფიცრებს, რომლებიც სახტრავიდან ჩამოსულ, ნაწვიმარ წყალს ფართე
ლაქებით აეჭრებინა. ვაკვირდებოდი გახუნებულ და აქერცლილ შა-
ლერს, მისრესილ ბაღდინჯოების კვალი რომ ანნდა ზედ. ვაკვირდებოდი
კედელზე ქინძისთავეებით დამაგრებულ, ბუზებისაგან დაწინწკლულ ფოტო-
სურათებს, დარბიულ ავეჯს. ვაკვირდებოდი მძინარე ამხანაგს, რომელსაც
მარცხენა თვალის ქეთუთო ძილში ნახევრად ღია დარჩენოდა და გუნება-
ში უნებურად მეცინებოდა — ფშვინვის დროს მისი ქვედა ტუჩის მოძრაო-
ბაზე. კვლავ გამახსენდა, ამეკვიტა აზრი, რომ მე აქ უცხო ვიყავი და
უნებურად ტანში გამაყრუოლა. წამოვიწიე, იდაყვებს დავეყრდნე და გა-
რეთ გავიხედე.

ზღვა გიუტად, აზლა უფრო მეტის გახელებით ებრძოდა საკუთარ თავს.
სახლი ნაპირიდან ასორმოცდაათი ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული.
სახლის ფანჯრიდან საღამოს ბინდ-ბუნდში და წვიმის ირიბ ზოლებში ჩემი
თვალი ჯერ კიდევ არჩევდა ზეატყორცნილ ტალღებს. შემდეგ მკაფიოდ
მოისმოდა მათი დანარცხების ხმა, ქშულილი და... ვრცელი ნაპირის ქვიშაზე
თეთრად მოდებული, ქაფადქვეული ტალღები ნელი შიშინით მიედო-
ნებოდენ უკან. ამ სანახაობით მოხიბლულმა მოულოდნელად თვალი
შევასწარი მოძრავ საგანს, რომელიც საკმაოდ შორს იყო ჩემგან და
ჯერჯერობით ვერ ვარჩევდი რა იყო იგი. მხოლოდ გავიფიქრე — ხის
ნაგებობის რაიმე ნაწილი თუ გამოუჩნდა ზღვა-თქო; მაგრამ როცა
ქაფად ქვეული ტალღები უკუიქცნენ და ის საგანი კი თან არ წარიტა-
ცეს, პირიქით, უწყლო ქვიშაზე კვლავ განაგრძობდა მოძრაობას, განკვიფ-
რებამ და ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო; წამოვდექი, ფანჯარასთან მი-
ვედრე და რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალის დაუხამხამებლად გავ-
ცქეროდი მოძრავ საგანს. მას ჩვენი სახლისაკენ აეღო გეზი და ნელა
გვიახლოვდებოდა. ის არ აქცევდა ყურადღებას ამთავორებულ ტალღებს,
ქარს, წვიმას... მოისწრაფოდა და მოისწრაფოდა.

მალე ამ საგნის ფორმები და კონტურები ბუნდოვანად გავარჩიე და
უსიამოვნოდ, თანაც გაოცებისაგან შევიშქურე, რადგან თვალს ჯერ კიდევ
ვერ ვუჯერებდი. მინდოდა ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ ჩემს გრძნო-
ბებს, გონებას არ დაუჯარგავს სიფხიზლე და რასაც ვხედავდი ეს ყველა-
ფერი ცხადად ხდებოდა და არა სიზმრად.

მოძრავი საგანი ამასობაში ბმდენად დაუახლოვდა სახლს, რომ უკვე
თვალს აღარ უჭირდა მისი ფორმების, კონტურების და ფერების გარჩევა
კი... ეს იყო ყმაწვილი ქალი, საოცრად ლამაზი და მაცდური სულივით
მიმზიდველი, მისი გრძელი თმა ორ გრძელ ნაწნავად ეშვებოდა მკერდზე
და მუზლებამდე სწვდებოდა, საღამოს ბინდ-ბუნდში თეთრად ელავდა.
ტანთ ეცვა მოკლე კაბა, ქალი ფეხშიშველი იყო. მას მუზლებამდე მოუჩან-
და ლამაზი, შიშველი წვივები. დრო და დრო ქარი ლამობდა დაეშალა,

აეწეწა მისი თმები. ქალი დინჯად ისწორებდა ნაწნავეს, რომელზეც მჭიმელ ირხეოდნენ და სრიალებდნენ ამობურცულ მკერდზე. სველდ კბილებზე მჭიდროდ მიჰკვროდა, რომ შე შეაფიოდ ვარჩევდი მისი ტანის ჯიშის ნაკეთებს.

ქალს თავი ამაყად ეჭირა. ერთი ხელი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი, მეორე დაბლა დაეშვა. ამ ხელით დრო და დრო კაბას ისწორებდა, მაგრამ კაბა კვლავ ეკვროდა მის თმებებს, ბარძაყებს და ქალის ტანის მიმზიდველ რხევას ააშკარავებდა.

ამ ხილვამ შე კიდევ მომაჯადოვა, კიდევ შემაკართო.

სახლიდან ათიოდე ნაბიჯის სიშორეზე, პატარა გორაკთან ქალმა წამით შეისვენა. ირგვლივ ნაღვლიანად, თითქოს შიშითაც მიმოიხედა და კვლავ განაგრძო გზა. ის უკვე რვა... შეიდი... ექვსი ნაბიჯით იყო დაშორებული ფანჯრიდან... მისმა აღზნებულმა თვალებმა, მისი დაღალუბის უსპეტაკესმა სითეთრემ უცნაურად შემოზანათა და რამდენადაც მომხიბლა, ათჯერ უფრო შემაძრწუნა. ის უკვე ხუთი... ოთხი... სამი ნაბიჯით იყო დაშორებული ფანჯარას. შე ვეღარ გავუძელი ამ უცნაურ ხილვას, ამ ქალის სიასლოვეს და ხელების უმწეო გასაგსავებით თევზორდი ფანჯარას. ბრუ დამესხა... თვალები ალბათ ესეე ღია მქონდა, მაგრამ... ვეღარას ვხედავდი. ვიგრძენი რომ სიბნელეში რაღაც საგანს დავეტაკე, შემდეგ მომესმა იატაკზე დამსხვრეულ შუშისა და გამოღვიძებულ ამხანაგის ხმა: „ვინ ბრის, რა იყო?“

— შე ვარ, არაფერია!— მივეუგე ამხანაგს და შევიშმუშნე. თვალი კვლავ ამეხილა... უმაღვე ფანჯარას მივაბყარ მზერა. ახლო მისვლა კი ვერ გავხედე.

კვლავ ისმოდა ამთავორებულ ზვირთების დანარცხების ხმა, შხელილი და ნელი, ერთფეროვანი შიშინი.

ამხანაგი მოქნარებით წამოდგა და ბარბაცით გაიარა იატაკზე; თან სიბნელეში მესმოდა მისი ხმა — „სადა ხარო“. შემდეგ თითქო ხმელ ფიჩხს დააბრჯაო, ტყაცუნმა შეაქრათო და შეაჩერა.

ასანთს გავკარი, ამხანაგს მივანათე. იატაკზე ლამფის შუშის წვრილი ნამსხვრევები-და ეყარა. როგორც შევატყვე, ლამფის შუშის გატეხვა ამხანაგს არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიძინა, არ გაამელანა. პირიქით სიცილით სცადა ჩემი გამხნეება და ამ ზარალის დავიწყება.

ვისხელით სიბნელეში და ყურს ეუვღებდით ქარის ლალ ქროლვას, წვიმის შეხეების წკაპუნს ფანჯრის მიწაზე და ზღვის აბეზარ ბრღღვივას.

მოულოდნელად ამხანაგმა ლამფის გადმოვარდნის მიზეზი ნაძალადევი სიცილით მკითხა. მეც მოუთმენლად ველოდი გამოწვევას; აქამდე კი ვერ ვხედავდი იმ უცნაურ ხილვის შესახებ, რამე მკითხა მისთვის.

შე მოკლედ ვუამბე ყველაფერი და გავათავე თუ არა თხრობა, ამხანაგმა ხმამალა გაიცინა. მალე ყველაფერი გამოირკვა...

აი რა მიამბო ამხანაგმა.

— შენ რომ გინახავს, ეს ქალიშვილი... იქ არის...

— სად?! — გაოცებით წამოვიძახე, რადგან სიბნელის გამო ვერ დავინახებ საით გაიშვირა ხელი ამხანაგმა.

— აი, იმ კედელს იქით! ჩემი მეზობელია...

— მეზობელი?

— რა, გაგიკვირდა?..

— ჰე, ჰე!.. გინდა შემაშინო... რა ბიჭი ხარ!

— ვარწმუნებ, ისიც ჩვენსავით ადამიანია... შეიძლება ჩვენზე უკეთესი და ჩვენზე საბრალოც! მაგის უბედურება რომ იცოდე...

ირგულივ ბნელოდა. უძრავად ვიჯექი და ვუსმენდი ამხანაგს.

ის განაგრძობდა...

— შარშანდელი ამბავია... იმ საღამოს დადი უბედურება დატრიალდა. მახსოვს, წინა დღით ლუკა გავაფრთხილე — ხვალ თუ სათევზაოდ წახვალთ, მეც წამოყვანეთ მეთქი. სიხარულით დაშეთანხმა, რადგან ძია ლუკას, ალბათ, ჩემი წყნარი ხასიათის გამო ძალიან ვუყვარდი, თუმცა, თვითონ ერთობ შფოთიანი და მოუსვენარი მოხუცი იყო; თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზღვაზე, თევზაობაში გაეტარებინა და ამ საქმეში ფრიად დახელოვნებულ იყო გახლდათ; თანაც ისე იყო გარუჯული შინსაგან, რომ ზანგი ვეგონებოდათ. ის, ტანს, კუნთებს ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიმკვრივე და სილამაზე შერჩენოდა. მისი ბაბუაც მეთევზე ყოფილა; შეიძლება ბაბუას ბაბუაც, ლუკას ხშირად უამბავია ჩვენთვის, როგორ მოიტაცეს ბაბუა მისი შევობრებებმა, და როგორ გაჰყიდეს თურმე ოსმალეთში. მისი ამბავი შემთხვევით გაუგიათ შინატრებს ერთი თურქი ვაჭრისაგან.

ლუკას მამაც განთქმული მეთევზე ყოფილა; ისე რომ მათი გვარის კაცი სხვა საქმეს იშვიათად თუ მოჰკრებდა თურმე ზელს. მათი სული ზღვისკენ იწყებდა, მათი სტიქია ზღვა ყოფილა.

ლუკას ერთად-ერთი ქალშვილიც — სიდუ, სწორედ ის, შენ რომ წელან შეუშინებხარ, მამის კვალს გაჰყვა. საწყალი! რომ იცოდე რა ნაზია, უწყინარი და ახლა... უბედურცი!

ლუკასთან ერთად ცხოვრობდა მისი უმცროსი ძმა. იმ უბედურ შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე მამამ სიდუს თანხმობა გამოუცხადა, დიდხნის შეყვარებულს — კახას ცოლად გაჰყოლოდა. ახალგაზრდების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... კახა და სიდუ ლუკას ბრიგადის წევრები იყვნენ, მაგრამ დაეანებოთ თავი ამ წვრილმანებს... სხვა დროს გაიამბობ...

მეორე დღეს, როცა შეპირებისამებრ ლუკას სათევზაოდ უნდა წავეყვანე, შინ გვიან დავბრუნდი. გუნებაზე არ ვიყავი, გაკვეთილზე ერთმა მოწადემ გამაბრაზა. მე, რა თქმა უნდა, ჯერ ისეთი გამოცდილი და სახელმისივე კილი პედაგოგი ხარა ვარ, რომ მოწადეზე დარიგებით ეხმოქმედო... უცნაური ხალხია, ერთხელ დე გაგიბედეს და ავითვალისწინეს...

გზაში წვიმაც დამესწრო, აქ ზღვის პირია და მოგესხენება, რა ხშირი სტუმარია წვიმა... დახველდი. ტანსაცმელი გამოვიცვალე... უცებ სარკმლის შინა მხემ ააბრკვევილა, გამეცინა ამინდის თავქარიანობაზე...

პურით და ყველით დავემყოფილდი, რადგან ნავთი იმდენი არა მქონდა, რომ საკმელიც გამეკეთებინა და ლამფისთვისაც მყოფნოდა; მე კი დამით სინათლე ყველაფერს მირჩენია. დაჯდები მარტო, მყუდროდ და ვკითხულობ დიდხანს, სანამ ქუთუთოები თავისით არ ჩამოეფარება თვალებს. ისე რომ ხანდახან ჩაძინებას ვერც კი ვტყობილობ...

ცოტა ხანს ოთახში ბოლბუსცემით თავი შევიქციე და მერე ტანზე წამოვიწიქი, რათა უნებურად აღძრულ ფაქრებს თავდავიწყებით მივინდობოდი... ცოტა ხნის შემდეგ ლუკამ თავის ოთახიდან კედელზე დამიკაუნა, მე აღარც კი მახსოვდა, რომ გუშინ სათევზაოდ წაყოლა ვთხოვე. ყველაფერი

ახლა მომავონდა. ელდანაკრავივით წამოვევარდი და უმაღლესი გვერდებზე
 ოფანში დამხვდნენ ლუკა, მისი უმცროსი ძმა სოფრომ, ~~უფროსი~~
 ლამაზი სასიძოო კახა და ოჯახის მშენებელი — სიღუ. სადილის საქმელად
 ემზადებოდნენ. მაგდღზე დაწყობილი ცხელი მჭადის ნატეხებს და ახალ
 მოხარშულ თართის ვარდისფერ ნაჭრებს მადის აღმძვრელი ოხშივარი
 ასდიოდა. ლუკას ოჯახში თავს შინაურად ვერძნობდი და ამიტომაც არ
 გავნახებულვარ. მომიპატიეს თუ არა უმაღლესი მაგიდას მივეუჯექი და თარ-
 თის პოზრდილი ნაჭერი კატის სისწრაფით დავითრიე. თანაც ჩემს სიძარ-
 დეს და სულმოკლერბას რაღაც ოხუნჯობა წარვეუძღვარე და ყველანი
 გულიანად ვაიცინე. ამის შემდეგ, ის თევზი სულ მე რომ შემეგება, მას-
 პინძელი მაინც მადლიერი და კმაყოფილი დარჩებოდა, თუმც ახლა
 მასპინძლებს უფრო მორცხვი სტუმრები უყვართ, ვიდრე თამამი.

სიღუმე ღარიბულ სუფრაზე ტარმოტეხილ დოქით ღვინოც დადგა და სა-
 დილმა მზიარულად ჩაიარა...

მე მხოლოდ ძალაუვნებურად შევნიშნე, რომ კახამ და სიღუმე რამდენ-
 ჯერმე მალულად შეაგლეს თვალი ერთმანეთს და გაწითლდნენ. მათს
 გამოხედვაში აშკარად იგრძნობოდა მოუთმენლობა.

ნასადილევს სათევზაოდ მოვემზადეთ. პატარა ბარჯაში ჩავსხედით და
 ნაპირი დავტოვეთ. მზის გაგარეზარებული დისკო ნელა ეშვებოდა ზღვაში.
 პორიზონტის გასწვრივ ცა მუქ-წითლად შეფერილიყო, რაც უფრო ვშორ-
 დებოდით ნაპირს, თანდათან ნელდებოდა ტალღების ხმაური და ეხლა სხვა
 სანახაობა იზიდავდა თვალს, სხვა ბგერები იპყრობდნენ სმენას.

ჩაიშალა თუ არა მზის დისკო, ზღვის ვეებერთელა, მოტორტმანე ზღვა-
 პირმაც იცვალა ფერი: ბარჯის ირგვლივ კვლავ მწვანედ ლაღაშებდნენ
 ტალღები, შორს კი ღურჯი ფერი გადაჰკრავდა.

მე ჯერ კიდევ არ ვიყავი დახელოვნებული ნიჩბის მოსმაში და სხვებ-
 თან შედარებით ბრჯერ შეტ ენერჯიას ვხარჯავდი.

ამასობაში ჩვენ საკმაოდ დავშორდით ნაპირს. ლუკას ბრიჯადის წვერე-
 ბი ნაპირთან მოტორიანი ბარჯით და ნავით, რომელზედაც იდო დახვეუ-
 ლი ბადე, ენს ნიშანს ელოდებოდნენ... ლუკა ყოველთვის წინასწარ გა-
 დიოდა ზღვაში, დასაზვერავად, თევზების დიდი გუნდის აღმოჩენაში ლუ-
 კას მეტოქე არა მყავდა.

უცებ ლუკამ შეგვაჩერა. შევებით ამოვისუნთქე, შუბლიდან ოფლი მოვი-
 წმინდე. ლუკამ პორიზონტისაკენ ხელი გაიშვირა და გვახარა:

— ეგერ, მე, ხედავთ როგორ ირევიან თევზიულაბები?

ყველამ იქით გავიხედეთ. მართლაც ჩვენგან ასიოდე ადლის მანძილზე
 უშველებელი თეთრი ფრინველები ფრთების ფარფატით დასტრიალებდ-
 ნენ, ზღვაზე, ამოჩემებულ ადგილს.

ლუკას ნიშანზე კვლავ ნიჩბები მოეუსვით და აღნიშნულ ადგილს მივი-
 შურეთ. იმ ადგილზე, სადაც თევზიულაბები ფარფატებდნენ, ზღვას მუქი
 ფერი გადაჰკრავდა; იქვე წამდაუწუმ ატობდნენ წყლიდან ონავარი თევზ-
 ბი ბარჯა შორიპალოს შევაჩერეთ. ლუკა კინოზე ავიდა, შუბლზე ხელები
 მოიჩრდილა და ერთ წამს კმაყოფილებით უცქირა თევზების მალაყს; შემ-
 დეგ ნაპირისკენ მოიბრუნა პირი და იქ ბრიჯადის დანარჩენ წევრებს
 ანიშნა — მოგვეშველეთო. ბარჯა ნავითურთ ნელა მოსცილდა ნაპირს.

ჩვენ კი თვალს არ ვაშოტებდით იმ ადგილს ზღვაში, სადაც წყალზე თევზების აურაცხელ ზუნდს გაემუქებიან; მოუთმენლად ველოდებოდით მოშველებას, რომ იქაურობა მოგველობა და ნანადირევით გული შეგვიკრებინა.

ეს მოლოდინი, მღელვარება და აღტაცება იმდენ სიამოვნებას გვეკრიბა, რომ იმ წუთში უბედნიერეს არსებად მიგვანჩნდა თავი და თავდავიწყებით, გულბრწყვილოდ ვეძლეოდით ამ სიამოვნებას. პატარა ტალღები შრიალით ეხლებოდნენ ბარჯის კედლებს; ბარჯა კი გიგანტური აკვანივით ნელა ირწყვოდა...

უეცრად სიღუმ შეჭვივლა.

ელდა გვეცა, წამით გაეშეშდით. როცა სიღუსეკენ მივბრუნდით, მოულოდნელობისაგან, ლუქას გარდა, რომელიც ისევ კიჩოზე იდგა ამჟამად, ყველას ფერი გვეცვალა... დავინახებთ, რომ საშინელ სისწრაფით ჩვენსკენ მოჰქროდა, რაღაც უზარმაზარი, ვეშაპის მსგავსი, რომლის შავი ზურვის გასწვრივ დარხნულ წყლის ზედაპირზე თეთრი, ქაფიანი ზოლი რჩებოდა...

ცხად, მკაფიოდ ვხედავდით, მაგრამ ჩვენს გონებას, ჩვენს თვალს თითქო ამ წუთში დაკარგოდა დაჯერების უნარი. ვხედავდით, მთელის არსებით ვგრძნობდით, მაგრამ არა გვეკროდა, რომ ამ ბედნიერებით აღსავსე წუთებში გვიახლოვდებოდა ხიფათი.

ყველაფერი თვალის დახამამების უმაღლ მოხდა... სანამ გონს მოვიდოდით, ხელ ახლს, მსწრაფლ, ერთი მეტრის სიმაღლეზე ამოტივტივდა ჩვენს მიერ ვეშაპად შეცნობილი საოცრება... იმავე ხანა ვიგრძენით, რომ უმწვეთ ბარჯას რაღაც მოენარცხა, მარჯვენა ფერდის ფიტრები და შანგოუტი შემოეღეწა... თვალი მოვკარი — ამ ჯახის ძალამ რა მსუბუქად ისროლა პერში კიჩოზე მღვარი ლუქა და როგორ დაენარცხა იგი წყლით მოკრიალბულ ფოლადის ვეშაპის ვიწრო ბანზე... აქამდე უჩინარი უცნობებმა მსწრაფლ ამოიშართენ ლიუკებიდან და გარეტიბული ლუქა დაითრის...

დაზიანებულ გვერდიდან წყალმა ნაკადებად იწყო დენა ბარჯაში. ბარჯა ოდნავ განზე გადაიხარა და ტორტმანს უმატა.

ვეშაპის დაჯახებისას მე შანგოუტს მივენარცხე, რეტი დამესხა, ტკივილისაგან გული შემიღონდა, მაგრამ, რა-წამს ბარჯაში ნაკადებად გადმომჩქედარე წყალი მომესხურა, ცოტა გამოუფხიზლდი. განბრევისა და წამოდგომის თავი აღარ მქონდა, შეგონა — ჩემი სხეულის ყველა ძელები დამსხვრეული იყო... თვალებს ძლივს ვახელდი. ჩანს მალე ისევ დავკარგე გონი, რადგან არაფერი აღარ მახსოვს. დანარჩენი, რაც შემდეგ მოხდა, მძიმედ დაჭრილმა სოფრომმა გვიამბო.

ბარჯაში ოთხი მამაკაცი გადმოეშეო... ახოვანი ყოფილან: არც ღონე ჰკლებიათ... ორი მათგანი კახას ეძგერა თურძე, მესამე სოფრომს, მეოთხე — სიღუსს.

ბარჯის კიჩოსა და ტროსს შუა განხირულ სიღუსს გადატეხილ ანძისათვის მოესვია მკოავები, მთელი ტანით ზედ დაკვდომრდა. მეტრს ეგონა — ქალს ადვილად მოეროდო, ჯერ კახის კალთაში წაავლო ზელი, გამოსწია, კალთა გამოფხიზნა. შემდეგ შიშველ ბარჯას მოეკიდა. მივრის-მოვრისა, მაგრამ ქალი ანძას ვერ მოაშორა. გაბრაზებული მამაკაცი ახლა მხარებში სწვდა და ეჯახებოდა...

ამასობაში სოფრომმა ყველაზე მეტად იმარჯვა. მოწინააღმდეგე მტერ მეშტით მოიგერია, მერე ნიჩაბს მისწვდა, ერთხელ მოუქსნა... მტერმა და... მესამედ. მოწინააღმდეგე მარჯვე და ჯიუტი აღმოჩნდა... ყველა მოქნევა აიცილა, არ მოეშვა... მეოთხედ მოქნეულს ნიჩაბი ყურის ძირში სეთქა სოფრომმა. მტერმა უშაღვე მკლავები ჩამოჰყარა, და ხმის ამოუღებლად გაიშლართა... სოფრომი კი უფრო გამხნეველ, გახელდა, სიღუს მიეშველა. აქამდე ხმას არაფერ იღებდა, თითქო შრომაში იყვნენ გართულნი. ახლა კი სოფრომის ყიფინას — „დასცხედ, გაჟლიტეთ!“ მოჰყვა მტრის შეძახილებიც...

იმ მამაკაცმა, სიღუს რომ ეჯაჯგურებოდა, რა-წამს ნიჩაბ-მოღერებულ სოფრომს მოჰკრა ფვალი, ჭალს თავი ანება და შესახვედრად მოემზადა.

სოფრომის პირველი მოქნევა რალაც განგებით აიცილა და სანამ ის მეორედ მოუქნევა, სწრაფად წაიხარა, გაშლილი მკლავით მისწვდა სოფრომს, დანა ჩასცა ფერდში. სოფრომი შედრია. ასალი მოქნევა გაუძვლდა თითქო გაუკვირდა — ეს როგორ დამემართაო, ნიჩაბი ასწია, მაგრამ ამასობაში მტერმა მეორედ დასჭრა იგი, წამით ცალი მუხლი მოეკვეთა სოფრომს, მაგრამ მტერს მარცხ თავი არ შეაბრალა; იკანაღვლეულ ხელით ნიჩაბი მესამედ მოიქნია, იგი მტრის ბედზე ვადატყდა.

წამით ორივენი შეჩერდნენ, ტანსაცმელ შემოფლეთალი, სისხლით მოსერილი სოფრომი დატორტმანდა, წინ წამოიხარა, მტერმა იფიქრა გაათავდაო, მაგრამ სოფრომი მოულოდნელად, თავისი გოლიათურა მარჯვენა ხელის თრთებით მტრის ბეჭს სწვდა, სამოსი მობღუჯა და მოსწია... გასაფითებულმა სოფრომის შეუორეკელობით და გამძლეობით შემყრთალმა, გაოცებულმა მტერმა წინ წამოხრილ გოლიათს ერთხელ ყრდევ შეჰბედა... ლაფინის ძვალს ზემოდ გაუბედავად ჩაურჭო ტარიანად სისხლში შეღებილი დანა, და რაკი ახლაც ვერ მოიშორა, სახეზედ ჯვარდინად გადაუსვა... სიმწრხსაგან სოფრომმა თავი უღონოდ გაიქნია, თებლებდახუჭულ სახეზე სისხლი მოთქრიალებდა. უნებურად ნიჩბის ნატეხი დაავლო და განთავისუფლებული ხელი სახეზე მოისვა. მეორე ხელს-კი მტრის სამოსს არ უშვებდა. ხან თავისკენ ეწყოლა, ხან მეშტს სცემდა მერდში...

მხეცური შეუბრალელობით აღსაესე მტერი, რომელიც ახლა მაჯაზე უსვამდა დანას, იქნებ როგორმე ხელი გავაშვებინოვო. ბოლოს იძულებული გახდა სოფრომის ხელის გარშემო სამოსი შემოეჭრა და გოლიათისაგან, რომელსაც დანა ვერაფერს აკლებდა, თავი დაედწია...

როცა მტერმა უბიძგა, სოფრომმა ტორტმანით გადადგა უკან ნაბიჯი, გახირულ ანძას წამოედო, გადაყირავდა...

მტერმა ერთხელ კი ვადაიხელდა სოფრომისაგან, სიღუსაც მოჰკრა თვალა, მაგრამ ალბათ გაიფიქრა, რომ 'ჭალთან ჭიდილის დრო აღარ იყო... ნაეიდანაც წამლანუქო მოისმოლა' უფროსის, დაინებული Schnell... schnell... ჭალს ზურგი შეაქცია, იქვე მახლობლად გამოშლილ, თავგახეთქილ იზინაგს დასწვდა და ნაეის ბანზე გადაიტანა...

კახასთან ჭიდილი ორსაც კი გაუძნელდა. ვერასგზით ვერ მიუღწენ მარჯვედ... ისევ ვრძელდებოდა სამკველ-ო-სასიცოცხლო ბრძოლა... დრო და დრო ნიჩბის ყოველ მოქნევაზე ისმოდა კახას თავგანწირული შეძახილი — არ დაგნებდებით, არა! აჰ, თქვენი სისხლი-კი დავალეწინე ძაღლებს!

პასუხად შტრები რაღაც გაუგებარს შესძახოდნენ, ამინებდნენ, სულს-საედნენ, ეტეოდნენ, მაგრამ ამაოდ. სიჩქარისაგან ზედმეტად დაღვინებულ-დნენ, ღელავდნენ, ტანსაცმელი შემოფლეთოდათ. კახა ცოცხალი, უვნებელი შტერს არ ნებდებოდა, რომელსაც განუზრახა სწორედ ცოცხლად და უვნებლად ჩავიდეთ ხელში, რადგან მასზე ამყარებდნენ თავიანთ მომავალ წარმატებას. ძალიან სჭირდებოდათ „ენა“.

ბოლოს ამ კარს მესამეც წამოეშველა, სწორედ ის, სოდრომს რომ ხსლია. ჭიდილში გართულ კახას ზურგიდან შეუმჩნევლად დაუარა, მკლავი მარჯვედ ამოსდო ნიკაბ ქვეშ და თავი დასაკლავ ხარივით გადაღვრიცა. თვალის დახამხამების უმალ დანარჩენები ფეხებში სწვდნენ, წამოაქციეს, მარჯვით მკლავები გაუარეს, ფეხებიც შეუბორვეს და მხუბუქად ასწიეს...

სანამ ლიფტში თავდაფირა ჩაუშვებდნენ, კახამ ვაჟკაცური და თანაც შემპარწუნებელი ზმით დაიძახა:

— მშვიდობით სიდეუსე... არ დამივიწყოთ... არ შეარჩინოთ ამ ძად... და მისი ფანასკენელი სიტყვები ტრიუმში შთაინთქა.

ფოლადის ვეშაბი ნელა ჩაიძალა მექმწვანედ მოლაპლაპე ზღვაში.

ეს ამბავი დაბლოცებით ორ წუთს, გაგრძელდა.

ვადრე ჩვენები მოგვეშველებოდნენ — ფერდშენგარეული ბარჯა უკვე იძირებოდა... შტერს მე უთვლდ მკვდარი ვეგონე, გარეტებული რომ ვეგდე. მე არ ვამივია, როგორ გადამიყვანეს ჩვენებმა სათევზათ ბარჯაში. სიდეუ ძოოვს მოუშორებოთ ანძისათვის.

სოფრომისათვის კრილობები შეუზვევით და ნავით დაუწინაურებით. როდესაც სიდეუ ჩემს გვერდით დააწვინეს მე უკვე გონზე ვიყავი მოსული; მის დანახვანე ფერი მეცვალა... არაფერი არ ვიცოდი, რით გათავდა შტერის თავდასხმა... ჯერ კიდევ სიზმარში მეგონა თავი... საბრალო, ცხრაშტი წლის გოგონას ენა ჩაეარდნოდა, გრძელი შვიი თმა კი გასთეთრებოდა.

ასე დაიკარგა კახა და ლუკა. ეს საბრალო სიდეუ კი... ელოდება ყოველ წალამოს, დარში, აედარში ჩადის ზღვის ნაპირზე და იმ ალაგას, სადაც მაშინ ბარჯაში ჩაესხედით, დიდხანს, დიდხანს დგას შუბლზე ხელმოჩრდილებული და გასცქერის ზღვას.



სანდრო ვული

აკნოვის ბუღიან

პოემა

ნაწილი პირველი

გუჩიის ცის ქვეშ

1

მზე ზღვისავენი დაიხარა
და საღამო დადგა წყნარი,
მთიარის შუქი დაიღვარა,
შავი ზღვიდან ნიაფ-ქარი
სისინებდა ფრთა-დამტყდარს.

მყის სოფელი შეტორტმანდა,
დაიფარა ირგვლივ ხმებით:
— „ვნახოთ, ჩვენ თუ—უკრაინა?“
— ბიჭო, შენ ვის ეხუმრები,
საქმე გვეჭონდეს გამრჯე ხალხთან,
შეგვეჯიბრონ ლომგულები?

ეს ამბავი სოფლის გულში
რიყრაყივით ანთებული,
შემოფრინდა დილით გულში
თბილისიდან მიღებულნი:
„შეხედით სტუმრებს, ჰსურთ
პირობა
ჰქონდეთ თქვენთან დაღებულნი!“

2

მთის ფერღობზე დათას ოდა
ღამით სჩანდა ვით ზომალდი,
მთიარე ბაღნარს შუქს ათოვდა,
გამჭრალყო მთლად წყვედიადი.
ეზო გაედა ლაშქრის ბანაკს,
ციტრუსები — მხედართ კარგებს,—
იქ თვალემა ხის ქვეშ გრძელი
სუფრა გემბანს შეადარეს.
სუფრა მეტს რას დაიტევდა,—
არ ჰყლებია არაფერი,

თამადობას ფრიდონ სწევდა,
საღლეგრძელო ითქვა ბევრი,
უკრაინელ ძვირფას სტუმრებს
სიტყვა უთხრეს აღზნებულნი:
„დაე, საქმით განვაძტიცოთ
ჩვენი ძმობა დაწყებული,
სოცშეჯიბროში თუმცა გვიწვევთ,
აღვინთიათ გული ჩვენთვის,
თუ „ფონს“ გახვალთ, —
მოგილოცავთ,
ტაშს დაგიკრავთ, — სხვა რა
გვეთქმის!“

უკრაინის დელეგატი
სუფრის თავში აიმატათა,
ტაში აყვია, თითქოს ქარმა
დააბერტყა სუფრას კალთა:
„უკრაინა საღამს უძღვნის
მომე მზიურ საქართველოს, —
გვიგულაბღეთ ერთგულ ძმებად,
მტერი თქვენი გაითვლოს!
თქვენს მხარეში ამობრწყინდა
ნეტარების მზე დიადი,
ვინც აღვრიდა ჩვენს სამშობლოს
სხივებს პირველ განთიადის,
თქვენს მიწაზე ამოსულ მზეს,
ჩვენს გულემაში შემოტანილს,
ევმღერით და მას შეუძახით:
„ხაი ყივე რიღნი სტალინი!“

3

შეხვედრა ჰქონდათ სტუმრებთან
ხშირი,
იმართებოდა სოფელში ლხინი,
ხედებოდნენ სტუმრებს
ხელბგაშლილნი,

როგორც ხედებიან მამა და შვილი.
სხვა დღე დგებოდა, —
სხვა ღამეები,
უკრაინული ისმოდა ხმები,
ვაშაც გრგვინავდა; ყველას თვალები
გაბრწყინვებოდათ ვით

გარსკვლავები.
დღეღვატ ქალთან შეხვედრა თბილი
იყო რა ტკბილი,
რა სანეტარო,
სტუმარს უმღერდა პატარა ლილი
და აელერებდა ჩონგურსა დარო:
„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო,
გულამოსკენილი ვტიროდი,
სადა ხარ ჩემო სულიკო!“

შემოხვეოდნენ ბავშვები სტუმრებს,
როგორც მერცხლები
დაკიდულ ბუდეს,
ლექის წაკითხვა სთხოვეს
ნათელას,

ამ თითისხელას,
ყულმაკრატელას...
გოგონას სახემ მზისებრ ინათა
და ძვირფას სტუმრებს ლექსით
მიპაროა:

„მოგესალმებით ბავშვები,
თქვენ, — უკრაინელ სტუმრებსა,
ყვავილებს ვკრეფდით, ვკონავდით
გულიდან თაიგულებსა;
მიიღეთ ჩვენგან მოძღვნილი
წმინდა, ვით წყარო ანკარა,
ჩვენ ყოვლას დიდი გული გვაქვს,
თვითონ ჩვენა ვართ პატარა.
ძია სტალენმა აღანთო

ამ ქვეყნად ბედნიერება, —
ვაშა შას, ვინც რომ შეამკო
ცხოვრება ათას ფერებად!“
გადაეხვია სტუმარი ქალი
და ეამბორა ნაწად გოგონას, —
ბავშვი შუქს ჰფენდა მას, ვით
ცისკარი,

როცმ მიართვა ყვავილთა კონა.
იგი შესცვალა პატარა ნელიმ,
თვალბეჭეტუნამ, სახე ცქრილაჲმ,
წინ გაიშვირა მარჯვენა ხელი

და ხმა გაისმა მისი წყაროსაგან
— „როცა მოგვედე, შენ დასაბრუნებ
სად კურლანი არი,
სად გაშლილა საყვარელი
უკრაინის ბარი“...
მიწყდა ნელის ხმა, — ტარას

შეეჩენოს
ლექსმა დარბაზში დათოვა სვედა,
სტუმრებმა იგრძნეს: — პოეტმა
თითქოს
მთის მწვერვალიდან გადმოიხედა...
წამოდგა ბიჭი წინ გულისფეთქით,
ბიჭი მალხაზი და თმაქოჩორა:
„ქარაფელ პოეტის ლექსს

წაგიკითხავთ“
და მან ხალათი შემოისწორა.
გაისმა: „შორით გამოჩნდა იგი, —
უკრაინელი დიდი პოეტი,
შუბლზე ღარებად აჩნდა ნაოტი, —
სთქვა: „შესახვედრად შენთან
მოვედი“.

ჩამოეხურა ფაფახი ქუდი,
ელალი უღვაში უგავდა ნამგალს,
ძლივსლა უჩანდა კროლა თვალები,
რომ მიცქეროდნენ უცხო ამხანაგს,
ხმა იღუმალი მისი გაისმა:
„პოეტო, მოძმე საქართველოდან,
შენს შესახვედრად ფრთები ამისხამს,
სულმა გინატრა, გული გელოდა!“
გადაეხვით ერთმანეთს ხელად,
გათეხებამდის გეკონდა ბაასი,
როცა მზემ შუქი მოჰფინა ველად,
გამომიწოდა მან ღვინით თასი.
ჩვენ სადღეგრძელო დავღვიეთ
ერთად

უკრაინის და საქართველოსი,
ჩვენი მიწაწყლის, ჩვენი ველების,
ჩვენი მთების და ჩვენი მღელოსი.
გაქპრა აჩრდილი, ვაშალე ფრთები
და უკრაინა-დაფთარე ფრენით, —
მისი სიტყვებითა ისევ ვენთები,
და მის ნაამბობს ვიგონებ ღვინით“.
აღაფრთოვანა სტუმრები ლექსმა,
ყოველი სიტყვა გულს ენთებოდნ,
თითქოს შეეჩენოს ხმა ჩამოესმათ,
მისი ნათელი სახე ჩნდებოდა...

4

ერთხელ, სიღამოს ახალგაზრდებთან
სტუმარ ქალს ჰქონდა დიდხანს

ბაასი,

აზრი ცინცხალი ყველას შუქს

ჰყენდა,

და ანთებოდათ გრძნობა ხალასი:

„წარსულში რატომ არ სჩანდა

არსად

ძობად შეკრული სიკეთე ხალხთა?

განა ოდესმე ჰქონიათ აზრად

ხალხს გადმოივლო ხალხისთვის

ცხრა მთა?*

და სძახებოდ სტუმარს უარი

ახალგაზრდებთან არ ეტყემოდა, —

ლა მარინას ხმა გაისმა წყნარი,

ყველას სიღრმემდე გულში

სწვდებოდა:

„წარსულის ქაოსს, მოსილს

წყველიადით,

რწმინა დიადი,

ვით მზე დრუბლიდან,

გაუელვებდა, —

ცეცხლის ფრთოსნები

თითქოს ფრინავდნენ ღამის

უზადან.

და იგი რწმინა, როგორც

ვარსკვლავი

და ამოწვდილი

სმალი ელვარე,

დაციალებდა,

გარს ცეცხლს ავლებდა,

ხალხი ხვდებოდა მას ზღვად

მღელვარე:

და ყველგან რწმინა, მარად დიადი,

ვით წმინდა დროშა

დაჰქონდათ რჩევით

ქვეყნის და ხალხის, —

ბნელეთთან გამიჭულ და

თავდადებულ

ბრძოლათა ჩვეულთ.

დაჰქონდათ ყველგან: ქოხში,

სარდაფში,

სოფლად, ქალაქში, როგორც

ლამპარი,

მათ რათ უნდოდათ სხვა რამ

დიდება,

ოღონდ აენთათ რწმინა ყველგან,

საუკუნეთა თვალწინა: ~~ქვეყნის~~

ცხოვრებას ხანგრძლივს,

ბნელს და სულთმზუთავს,

რამდენჯერ დიად

აზრის და რწმინის

ქვეყნად მომფენი შუქი

შთაუნთქავს...

და იწყებოდა შმაგი ბრძოლება,

ცეცხლის ზოლები

ეხვია ბნელეთს,

რჩეულნი მზიურ ფრთებით

ფარავლებ

ვიცინ-ხმაურით

ჰაერს,

ზღვას,

ხმელეთს.

და აი, დადგა დრო ნეტარების,

ქვეყნად ახალი დაინთო ხანა,

და მზემ გათოშოლ დედამოციდან

სიციცხლე ახლად ამოიყვანა.

ხალხი ხალხს შეხვდა, როგორც

ძმებს ძმები,

მხარს მხარი მისცეს, დაუძლევე

ძალიად,

რუსს, უკრაინელს, ქართველს და

მრავალს

ტანჯვა სიამედ გამოეცვალათ.

რჩეულთა შორის გაგაცნობთ

პოეტს,

შარავენდელი ჰყენია მარად,

მის ნათელ სახელს უკრაინელი

გულით ატარებს მთაში და ბარად:

დღეს ჩვენს სოფელში ამართულია

ქეით და ავტრით სახლი ნაშენი,

აივნებიანს, სამ სართულიანს

ეზო და ბაღი ამკობს და ჰშვენის...

იქ ალაყადის კარზე მიკრულსა

დაფას წარწერა აქვს „ბავშვთაყვრა“,

ბევრჯერ აღმზრდელის დადალა

გული

მასზე ფიქრებმა და ამიძგერა...

იქ დღესაც ანსოვთ ქოხი ყოფილა,

ქოხი ძველი და წელში დახრილი,

საცა პოეტი იგი შობილა,

საცა ტბად მდგარა ცრემლი

დადგრილი,



დღეს მის სახელთან ერთად
ვიგონებთ
მოძვე ქართველთა რჩეულ
სახელებს,
იმათ სახეებს გულს ნაიციონებთ,
მათი ხსენება გვაგზნებს,
გვადრღეებს;
ერთი მათგანის სახეწინ მიდგას
და ნიბღავს იგი, ვით თქვენ,
ქართველებს,
მისი ლეჟენი მეც წამოიფთხავა,
სუედიტ ვაზნარულ გულს რომ
ამთვლებს.
და მეც ვიამბობთ ახლა მათ
ამბავს, —
ორი პოეტის აზრი ნათესი
აყვავებულა ქვეყნად, — გაუღვამს
ღიადი რწმენის უკვდავი ფესვი...

თითქო განგებამ ასე იწყება:
ერთმანეთს შეხვდა ორი მგოსანი,
ორ მოძვე ხალხთა სულის ღინება
და გულის ძებრა ორ სხიოსანის,
აკაცია და შეეჩვენოს გულუმს
ენთით სიაძე ჯერ არ ვანცდილი,
ვეგონებოდით: მძა მძას, შეკუყრებს,
აღსრულებით დიდი წადილი.
— ეინ დაუმსხვრირბს ჯაბეი ამირანს
და მიკრულს კლდეზე ეინ ახსნის
ბორკილს?
— ეინც ხალხს რისხვას ცამლე
აიტანს,
ბორკილთ ნამსხვრეეებს კლდიდან
გადმოჰყრის!
— ეგებ ის გმირი არწივად იქცეს
და თავის მოღვმა მთაში ამრავლოს?
ცეცხლი ატანოს ქვეყნად არწივებს,
მზიურ სიციცხლით ხალხი ისაროს?
შეეჩვენოს თვადი ფართად
გაქლო,
არსად ენახა კაცი ასეთი,
ლექსი „კავკასი“ უწო შეეჩვენოს
წერეთელმა და უთხრა ნაწყვეტი.
გურამიშვილის ბედის სიადით
წემონთებოდათ მწარე ტავილი,

თითქოს უცქერდნენ ქვეყნებში
განგზნებულად
ესმოდათ მისი სულის კივილი:
„გული ღინდება, ვიწყო გოდება
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელი,
რად მშუა ღელამან, შავმა ბედამან.
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელი“.
შეეჩვენო იტყვის: „გამზ ეს სევედა
სევედა არაა ვეველა ხალხისა?
განა მარტო მარ უმუხსთლა ბედმა,
სამშობლოს ნახვა აღარ აღირსა?..
მაგრამ, დაე მას მშობლიურ მრწად
დაურჩეს მიწა უკრაინისა,
და ტუბილ ნანინად ესმოლეს იმას
უკრაინულჲ ქროლვა ქარისა“.
აკაცო იტყვის: „შემთშევეით განა
იგი თქვენს მიწას მიბარებია,
სამშობლოს სევედა მან მიიტანა,
საცა ხალხს პედათ ტანუვა რეჭბია“.

მეფე სდევნიდა პოეტის სიტყვას,
სიტყვა სავითმყრობელს ტყვიად
ხედებოდა,
ხოლო ხალხი კი ბრძოლის
ლექნებით
ისევ მრისხანედ აინთებოდა.
და მეფემ ბრძანა: „ვიინმე შელექსემ
როგორ უწოდა „სოკო“ ღელანემს?
მიბრძანებია, — სამსჯავრო დღესვე
გამოუტანდეს სასტიკ განაჩენს“.
ფიქრმა მოიცვა ჯალათთა ხროვა
და საგონებელს ჩაეარდნენ ერთობე.
„ზოგმა ღაღადით უფალს შესთხოვა:
„გამსაცდელისგან დაგვისევი
ღმერთო!“
მაშინ წარუღვა მეფეს ჯალათი,
იგი ბილწი და ქვეყნად ნაძრამი,
ტანთ სისხლიანი ეცვა ზალათი,
ხელში ეჭირა ბასრი ნაჯახი,
„დიდო მეფეო, წილად მხელენია,
ნესასრულებლად შენი ბრძანება,
მძიბე ფიქრები გადამხდენია,
გადამქცევია ზშირად წვალებად.
და აი, მიეწვიდი ღრმა ვაზარებით,
მეფეო, დიდ სასიკელს, სიკვდილზე
მაღალს“

მელეჟეს ფიჭვის დაეხშოს გზები,
 გრძობდეს სულიერ დაცემას, —
 დაღლას, —
 მას აღეკვეთოს ლექსების წერა,
 და, როგორც თევზი, უწყლოდ რომ
 დარჩეს,
 შეუჩერდება მას გულის ძველა, —
 მაშინ თვით ღმერთიც ვერ
 გადაარჩენს“.

მეფის ღიმილი ჯალათს ეამა,
 მისგან საჩუქრით უფრო ტყებოდა.
 როდესაც პოეტს ჩაუქრა შეჭი, —
 მეფეს თვალები უბრწყინდებოდა.

როცა გული პოეტისა ოდნე
 ძვრდა
 და მძინარე თვის გარშემო არვის
 პერტდა,
 მას სიზმარში უცნაური რამ უნახა:
 ციდან მისთვის იღუმალ ხმას

დაეძახა:
 „მშვიდად, რაე, მეფე ვერას
 დაგაკლებსო,
 წაუციდებთ მალე ცეცხლს მის
 პალატებსო!“

იმ დროს, შორით, კავკასიის მთის
 მწვერვალი
 დაენახა, — თითქოს მისკენ
 მომკერალს,

არწივები მოფრინავდნენ მაღალ
 მთიდან,
 და პოეტი თვითფულად მათ
 ითვლიდა.

აი ერთი, მეორეც ოა, კიდევ
 სხვები, —
 ეს ისინი, — ხალხისაგან რჩეულები:
 კაცთა სახით: თავით, ტანით და
 მხრებითა

და არწივის მხოლოდ თვლით და
 ფრთებითა...
 როს დაეშვენ არწივები მასთან
 ფრენით,
 აიყვანეს იგი მაღლა მთაში
 ფრთებით,
 და იქ, სადაც რჩეულთ დიდი
 კრებულია,
 იმით შორის ის პოეტიც ჭებულია“.

შეწყდა სტუმარი ქალის ხმა ნახე,
 სდუმდა დარბაზი, ^{ქალის ხმა ნახე}
 სევდა დაჰქროდა, ^{ხმის მოხიზვევა}
 ცრემლით თვალები ამოვსებოდათ,
 ფიჭობდნენ: ნეტავ
 ხალხთა იმ რჩეულთ
 ჩვენი დიადი ღრთ მოსწრებოდათ...

5

გაუბრწყინდათ სტუმრებს თვალი, —
 როცა ნახეს ფორთოხალი,
 ყვითელ-ყვითელ ჩიტებივით,
 მწვანე ხეზე შემომსხდარი.
 ფორთოხალის ფერი გავდა
 მარინას ფერს, — სახე ჭერას.
 ფრიდონმა მას ხალხში თქმული
 ლექსად უთხრა ეს სიმღერა:
 „ფორთოხალის ხეებს ჩვენი
 ბალი დაუმშვენებია.
 დარიბი და დაჭკეული
 კაცი აღშენებია.
 ვისაც ჭოხი არ ჰქონია,
 აუგია-მისთვის ოდა,
 ჩაუღმია, დაუჭურავს,
 ვინც შიშველი დადიოდა“.

6

ორთავ მხარემ მოაწერა
 პირობაზე ხელი,
 „ადელია ხელმოწერა,
 შესრულება ძნელი“, —
 გაეხუმრა დათა სტუმრებს,
 ცოლს ჩაუქრა თვალი,
 „ხედავ, ფრიდონს მგონი უყვარს
 დელეგატი ქალი?“
 ცოლმა მორცხვად უპასუხა:
 „აგრე მოხდეს ნეტა?“
 და ექიმ ქალს ჩუმად უთხრა:
 დაო, მედი, ხედავ?!
 მედიკომ არც გაიგონა
 ეს შეკითხვა თითქოს,
 ფრიდონს თვალი აარიდა,
 სევდა გულს აინთო.
 ფრიდონი ხომ მასაც უყვარს,

ვის დაუთმოს სატრფო,
რა ქნას ვრძნობა დაფარული
თუ ვერ გადმოიანთო.

7

ტოტებსა და ფოთლებს შორის
მთვარე უხვად სხივებს ცრიდა,
ფორთოხალის ხის ქვეშ ორი
გული ტრფობას განიცდიდა.
„მარინას თვეს არვის მივცემ“,
გაუფიქრა თურმე ფრიდონს,
„თანამგზავრი უნდა გახდეს,
მასთან ერთად ტვირთი ვზილო“,
შეგენიერ ქალს მარინასაც
ფრიდონ გულში ჩაეარდნოდა, —
გაეტაცა მისზე ფიქრებს,
მასთან ერთად ნაეარდობდა.
„როგორ უნდა დავიჯერო
დღემდე არვინ გყვარებია,
არვის გულში ჩაეარდნილხარ
და არ გაგიხარებია?“
შეეკითხა მარინა და
შეანათა ფრიდონს თვალი,
ვაჟი შეერთა, მის წინაშე
ედებოდა თითქოს ბრალი,
უბრალოა: „ფფიცავ დედას,
დღემდე არვინ მყვარებია
და ახლა კი შენთვის ღიათ
ჩემი გულის კარებია“.

8

ციტრუსოვან ეზოში
ზღვად დამდვარა სოფელი,
ყველას რწმენა გულს უნთებს, —
შრომა განუყოფელი.
ტრიბუნაზე ფრიდონ დგას,
ტაში ხშირად აჩერებს,
მისი სიტყვა მჭებარე
ყველას სწამს და აჯერებს.
„ხარობს ჩვენი სამშობლო,
კლდესავით დგას, — ურყევი,
ხალხთა ძმობა მტკიცეა,
სიყვარული ურღვევი“.

პირტიტველა მიკოლას
ანთებია თვალები,
მისი ეშხით დნებთან
სოფლის ტურტა ქალები.
მჭუნარეა მისი ხმა, —
მოწოდებად გაისმის,
მწუხრიასაა ზომ ფრთებს, არწევს
და ოქროს ნისლს დაისის.

9

ცა ვარსკვლავებს მოეჭედა,
თეთრ ღრუბელში იწვა მთვარე,
სადგურისკენ მიდიოდნენ
და ორღობე გაიარეს.
გულს აღზნებდა ღამე წყნარი,
ჩაუარეს ახლოს დეღეს,
იქ ნაბადი ბეწვიანი
დაეხურა ჩაის ველებს;
მიდიოდნენ,
აცილებდნენ
მასპინძლები ძვირფას სტუმრებს,
წინ ხედებოდათ ბაღნარები,
ჩაუვლიდნენ გვერდით ურმებს,
მიდიოდნენ,
იმღეროდნენ
„შეიდკაცას“ და „რამო-რერას“.
ღათამ სტუმრებს წამოუწყო
და გაისმა ეს სიმღერა:
„ვის გაქვთ ბაგე ფერად შინდი,
თვალი შავი, ინდი-მინდი,
გადმომყევი, გადმობრწყინდი,
გაშიქროლე თვალსა ბინდი“.

ღრო გავიდა, გურულები
იგონებდნენ ხშირად სტუმრებს,
ფრთები ესხათ გასაფრენად,
მათი ნახვის მონატრულებს.
ღა ღროც დადგა სანეტარო,
მოუფრინდათ ცნობა ელვად,
რამაც სოფლად ყველას გული
სიხარულით აუღელვა.
ღათამ სოფელს გადასძახა:
„გველოდება უკრაინა,
და ჩვენც ვნახოთ მოძმე ხალხი, —
როგორ ცხოვრობს, — რანაირად“.

მით საფსოვლო სამართხლო, უარინა უმთხარაჲს

1

ქართულ სტუმრებთან შეხვედრა
ძნელად ითქმება ენითა,
ღღისით ხარობდენ წაშრომით,
ღამეს ზღებოდენ ღხენითა,
ტკბებოდენ უკრაინულ და
ქართული სიმღერებითა.

მარინას მოხუც მშობლებსაც
გამბრწყინებოდათ თვალები,
მოსწონდათ ფრიდონ სასიძოთ,
ვაჟაკი ბრგე და საუბი,
გული უძგერდათ, სიამის
შემონთებოდათ ალები...

ქალ-ვაჟის გული აწვოდა, —
და მყარდი-მყარდა ეკონა,
თვითეულს სხვა ბენიერი
მეყენად ბრგენ ეკონა —
ასრულებოდათ წადილი, —
სატრფო გულისა ეპოვნა...

მედიკომ იგრძნო ტყვილი,
და ჩემად ცრეჭი დაღვარა,
ფრიდონი უყვე სხვისია,
ღარ ვაგს იგი, აღზრა...
მწარე ფიქრებით მოცულმა
მტრულმა თავი დახარა.
ფიქრობდა ნუ-თუ ფრიდონზე
ითქმება: — „იგი მდალატობს?“
თუ მატრეჭს ცეცხლს არ უკიდებ,
უყავსლით როგორ ანათებს?

მედიკოს უყვარს მარინაც, —
ერთგულ მევობარია,
თუ ფრიდონს გრძნობის ვერ უმხელს
განა მარინას ბრალია?
სატრფოსთვის ტანჯვას იტანდეს, —
ეს მხრლოდ მისი ვალოა.

მედიკო უცხო ეზოდან
დაჰყურებს არე-მარესა,
შემახარის იგი თვალწარმტაც
უკრაინულსა ღამესა.

მევირჯლე ციდან მეყენადა
შუქთა უხე მომდენს მთვარესა,
მღივს უწვდენს / შორით თვალს
გულებს: —

ზღვა მობიბინე ყანება,
უცქერის დათქოს ტხერის ფარას,
თეთრს უკრაინულ სახლებსა,
ქარის წისქვილა ყანას ქვეს, —
ეულზე ზის, და ფრთებს არხვესა...

2

ფრიდონს აღრე გაეღვიძა,
როცა მზესაც კი ეძინა.

— „ჰე, ნურავე, მომენატრე!“
სთქვა და გულში ჩაეცინა.
ხვალ დიდიდან შორდებოდნენ
უსაყვარლეს ტურფა მხარეს,
ვით საშობლო საქართველო,
უკრაინა შეიყვარეს...

კალმურსე ქართველები
ნეტარებდნენ ამ ნახულით.
აოცებდათ მათ დოვლათი
და ამ მეყენას პირნახული,
რამდენი რამ განეტელით,
აღვზნებიათ მშნით გული.

აიგანზე გადმომღვარი
დაახაროდა ეზოს ფრიდონ,
თითქმის თითო ღობის სარი
ტყვიდან მხრებით მოეზიდოს.
შორს გასტყორცნა თვალი სივრცეს,
შემოველო არე-მარეს,

იგი თითქმის გველამ იტნო,
ყველგან მისით გაიხარეს,
მოაგონდა შეგზენკო და
სტრიქონები მისი ღუქმის,
თითქმის პოეტს შესტყეროდა,
ხმა ესმოდა მისი კენესის.

„უკრაინა, უკრაინა,
ჩემი ხულის კენესაც,
შენი ბედო მაგონდება,
გულს ნაღველი ღესავს.“
ღნებრის ნაპირს ფიქრით გაჰყვა



და იმ ზორაკს ვადახედა,
სად შეეჩენყო მიწას მკერდში
ჩაეჭრა ვით შვილი ღედას.
ვაყვება სოფლის ფართო შარას,
მოიყენა აფელზე სრდილი,
გაიღიქრა: ნეტა რატომ
წამოსულან ადრე დილით?
დაინახა: მოდიოდნენ
მიკოლა და ქართველები,
მიკოლასთან სტუმრათ იყვნენ,
ლამე ჰქონდათ ნათუნები.
მათ მედიკოც მოყვებოდა,
გლვარებდა მისი საბე, —
რა სიქრეე უკრიანის,
და სიკრეე ხალხის ნახეს.

გამიღო სურფრას დასცემოდა
შეფოთილი ქადრის ჩრდილი,
სად მიკოლა თამაობდა,
ქატი სმამიც გამოცდილი...
მასპინძლებსა ეთქვა მისთვის:
„ვალ დილაძეე მოვიღებინოთ!

მატივი ვდეთ ძვირფას სურფრისა,
აჲ დაეკლოთ წამოღებულსა
თამადაძეე კივა ღვინით
ჩვენე მხარე აღდგეოქლა, —
სად ღდეს მედობს შარობა, ლხანი,
მჭინვარებდა ტანჯვა ძველად.
და როდესაც ფეხზე გლვარმა
სადდგეოქლო ყველამ შესვა
დაუბერა თითქოს ქარმა
და ჩოჩოლი შემოვსძაო.
მხარული საბე პქონდათ,
ხელად კმუნვით შეეცვალათ
პირმა ღრქმა შერბენრდათ,
ქატივაც ვერ დაეცალათ.
მოსკოვიდა მიღებულე
ცნობა იქცა ქარიშხალად,
და მოეღო მთელ ქვეყანას,
ხალხის რისხვად ვაიშალა.
თითქოს ღვინის მადეგრად, —
საწამლაი ყველას ვახეთ:
ვაისმოდა: „გერმანია
შეხანათად თავს დაეკესა“.

ნაწილი მესამე

სა. მუსა, მინა სკაფიორა

ერთი რწმენა ენთათ გულში, —
გაეტაცათ ერთ აზრს ყველა,
სად სიწყნარე იყო გულში,
მჭინვარებდა ზღვარებრ ღელვა.
გაისმოდა: „მტრის განზრახვას
ვუბაძებთ ძლიერ დარტყმით!
სასიკვდილოდ ჩაეცემთ ლახვირს,
რისხვის მეხად ცეცხლს დაეაყროს!
ყველა ჩვენგანს საღვინით
და საბრძოლო საქმე აწყეს,
თუ ვიბრძოლებთ მტკიცედ, — მტერი
გამარჯვებას ვერ მიადღვეს!
ბუხნათ და ვერაგ მომხდერს
ლორსეულად ვინ არ დახვდეს!“
სტუმრებმა და მასპინძლებმა
რისხვა ცეცხლად გაღმონათეს...

დადგა დალა, დღე იხითო
და წამოღვა ფეხზე ყველა,
სადგურისკენ შარა თითქოს

გაწოლილი მოსჩანს გველად.
თვალეში თემც ანაგებით,
ჩივარდნათ თითქოს ენა
და თითოულს დაუბეა
გულზე სეველა შთის-ოდენა.
მასპინძლებმა ფრთოს სთხოვეს:
„გაგვიზრდია სიმწრით ქალი,
ჩვენ იგი არ მიგვეტოვეს,
ოღონდ არ სთქვათ თქვენ უარი.
სიძე ხარო და კიდევ მეტიც, —
მიღებულე ვაყინვილად.
ყველა ღედა თვის შუკოს ეტრფის,
თავს ევლება კოცნის სმრად.
მარინა თუ აზლოს არ გეყავს
სიცოცხლე ჩვენ ჭალად გვინდა,
ასეთ დროში იარ მშობლებს
ცრემლს საფლავზე დაეკლერიდა!“
ფრიდონ მიხედა იმათ წადილს
და ტკივილი განიცადა,
შემოაწვა მძიმე დარღა.

წინ დაუდგა დედა ნატა,
 ვინც ყოველდღე მას მოედის,
 მასზე წუნს და მასზე ფიქრობს, —
 ტკბილს შშობლიურ ალერს გულში
 სიკვდილამდე არ ჩაიჭრობს.
 და მარინას მოხუც შშობელს
 გაუღიმა განგებ, თითქოს
 მტერს ოპი კი არ დაეწყოს,
 არაფერი მომხდარიყოს.
 „მერე, როგორ შევიღონათ
 იგმა მტერმა გული ასე?
 ეპე, შეეცდი, — მე მეგონა
 იბრძოლებდით ცეცხლის ხაზზე“...
 თუმცე ხუმრობით იყო თქმული,
 მოხუც მამას ეგრძნო წყენა:
 „რასა ბრძანებთ, ჩვენს ქაღარას
 შეურაცყოფთ ამით თქვენა!
 ვინ მასწავლოს მტერთან ბრძოლა,
 მიბრძოლია ერთხელ განა?
 ჩვენ ისე ვთქვით... სხვათაშორის...
 რადგან სიტყვამ მოიტანა“...

გაეტაცა ფიქრებს დათა.
 თვალწინ ედგა მუხის ოღბ.
 ეზო, ბაღი, ცოლი ნატა —
 ყველა ერთად მოაგონდა.
 სიხსლით, ოფლით ნაგებ სახლკარს
 წაუქიღოს მტერმა ცეცხლი?
 მაშინ განა მტერს არ დაჰკრავს,
 რომ მოისპოს იგი მხეცი?
 და ფიქრებში მწარედ გართულს
 შემოესმა:
 „რა ექნათ, მამა?
 რაც სიამე ჩვენ აქ დაგვხვდა
 გადაგვექცა მგონი შხამად.
 მტერი მოდის და მარინა

შშობლებს მარტო ვერცხვებებს,
 ჩემს გარდა მათ, მამაჩემო, ვინ
 ვინ მოუღლის, უპატრონებს?..“
 მოედრებლა დთას სახე:
 „რა შითხარი, შეილო, ფრიღონ?
 შენ რომ დარჩე, ნეც არ წავალ,
 თუნდაც ფეხით ჩამომიღონ!“
 მიკლამაც მოიწყენა,
 საყვედური უთხრა ფრიღონს:
 „მაპატიეთ, მასპინძელი
 სტუმარს უნდა მოერიდოს,
 მაგრამ გეტყვით, — ცუდი ტენით,
 რომ ჩამორჩით მატარებელს,
 გზა თუ შეჰკრენ, — ჰაერშიაც
 ფრენას არვინ დაგვანებებს.
 მედიკო რად დარჩა მაინც, —
 რად არ გაჰყვა ბავშვებს, ქალებს,
 რა აზრი აქვს ზედმეტ მსხვერპლად
 ჩაუწვარდეს აქ მტარვალებს.
 ომის დროს რაც დღეს კეთდება,
 გვიანდაა იგი ხვალე,
 თუ მოვიხდა „თითზე კბენა“,
 ძმაო, შენს თავს დააბრალებ!“
 მოედუნა სახე ფრიღონს,
 იწყინა და უთხრა განგებ:
 „როც მოხდება კარვალ ვიცი,
 რასაც ვიზამ პასუხს ვაგებ.
 ერთსაც გეტყვი: ძმობას ვფიცავ,
 მასპინძლობა არ გივარგა,
 რაც პატივი დღემდე გვეცო
 ერთიანად დაიკარგა.
 გავიხილა სადმე განა,
 „მიუთითონ“ სტუმარს კარზე“, —
 და ღიმილით ძმად შეფიცულს
 გადაუსვა ხელი მხარზე.

(დასასრული იქნება)

ივ. ხანთაძე

სტალინის ენის თავისებურებანი და გადმოცემის ხერხები

წერილი პირველი

შოგონებებში მარქსზე პოლ ლაფარგს მოჰყავს ვიკოს შემდეგი სიტყვები: „ლეთისათვის, რომელმაც ყველაფერი იცის, ყოველი საგანი არის მხოლოდ სხეული, ადამიანისათვის კი, რომელიც მხოლოდ მოვლენათა გარეგან მხარეებს შეიცნობს — საგანი არის მხოლოდ ზედაპირი“. ლაფარგი დასძენს, რომ „მარქსი საგნებს შეიცნობდა ვიკოს ღმერთისებურად. იგი ხედავდა არა მარტო ზედაპირს, იგი სწვდებოდა შიგნით.“¹⁾

როგორც მარქსი, ისევე დიდი სტალინი. საგნებში ხედავს არა მარტო ზედაპირს, იგი სწვდება შიგნით. თვით ურთულეს მოვლენათა ქაოსში სტალინის გენია გასაოცარი სიცხადით ხედავს არსებითს, მთავარს, რომლის დანახვა მოვლენათა ზედაპირზე შეუძლებელია. და მაშინ, როცა ცხოვრების მოვლენები თითქოს ძველებურად, თავის რიგზე მიმდინარეობენ და ადამიანები მოვლენების ზედაპირზე ახალს ვერაფერს ამჩნევენ, სტალინის ანალიტიკურ-სინთეტიკური გონების თვალი მოვლენათა სიღრმეში ხედავს ახალს, განსაკუთრებულს, ხედავს ატენდენციას, მიდრეკილებას... ჯერ წამოთქვამს და: თუ გნებავთ ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას“²⁾ და, სტალინი პირველი იძლევა სიგნალს ამის შესახებ.

საჭიროა გასაოცარი ძალა აზროვნებისა, რომ საგანთა და მოვლენათა განვითარების ლოგიკურ მსვლელობას ისეთი სიცხადით ხედავდეს, რა სიცხადითაც მას ხედავს სტალინი.

სტალინი არა მარტო სინამდვილის ღრმად შემენობი მოაზროვნეა, იგი ამავე დროს უდიდესი რევოლუციონერიცაა. სტალინი სინამდვილის არა მარტო ამხსნელია, არამედ იგი ამ სინამდვილის გარდამქმნელიცაა. სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნისათვის საჭიროა გარკვეული სოციალური ძალა, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია ამ გარდაქმნისათვის, ეს ძალა კი — მუშათა კლასია. სტალინის იდეები, მისი აზრები და შეხედულებანი უდიდეს მარჯვანობებზე, დამარჯმავ და გარდამქმნელ ძალას იძენს, როცა მათ შრომელთა ფართო მასები ეუფლებიან. საჭიროა სიტყვის დიდი ოსტატი იმის ზუსტად გადმოცემისათვის, რასაც სტალინი ხედავს და უნდა თქვას.

¹⁾ მარქსი — „რჩეული ნაწერები“. გვ. 75. ქართ. გამოც.

²⁾ ი. ს. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 276, მე-10 გამოცემა, ქართ. თარგ.

სტალინი დიდი ხელოვნებით ახერხებს თავისი ბრძნული პოლიტიკური ნიჭით სიძნელეთა და უბრალოებით გადმოცემას, რომ გასაგებმა მკვლევარებმა მშრომელთა მილოვნებისათვის.

რა საშუალებებით ახერხებს სტალინი ამას? როგორია სტალინის ენისა და მეტყველების თავისებურებანი, როგორია მისი გადმოცემის ხერხები? აი საკითხი, რომელზედაც ჩვენ შევჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

მწერლის, მოაზროვნის სრული შესწავლისათვის არ კმარა მხოლოდ მისი ნაწარმოებების შენაარსის გაგება, საჭიროა აგრეთვე შევისწავლოთ მისი ლიტერატურული მანერები, მისი ენა და სტილი, მისი წერისა და მეტყველების თავისებურებანი, მხატვრული სახეები, მეტაფორები, შედარებები, ეპიტეტები, ლექსიკა და ა. შ.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ თავიანთი შრომების ლიტერატურულად გაფორმების საქმეს და ამასვე მოითხოვდნენ სხვებისაგანაც. ულაზათო სტილით დწერილ შრომას ისინი არავის ამატიებდნენ.

ქარლ მარქსი უარყოფით შეფასებას აძლევდა სოციალ-დემოკრატიკების მიერ „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობაში“ წარმოთქმულ სიტყვას და, ამის შესახებ სწერდა ენგელსს, რომ „ბორჰკეიმის სიტყვის ფრანგული რიგიანადა, ულაზათო აბლა-უბდას წარმოადგენს“.

ენგელსისადმი მიწერილ წერილში მარქსი ახელსავე შეფასებას აძლევდა-ლასალის სტილს: „იტყვება გამოვიგზავნა (ალბათ შენც გამოვიგზავნიდა) სასამართლოში წარმოთქმული თავისი სიტყვა „არაპირდაპირი გადასახალისების შესახებ“. ცალკეული ადგილები კარგია, მაგრამ საერთოდ დაწერილია ულაზათოდ, მომაბეზრებლად, ყბედურად და სასაცილო პრეტენზიებით მეცნიერულობაზე“.

ენიშილია, რომ მარქსმა „კაპიტალის“ ლიტერატურულ გაფორმებასა და მის სტილისტურად გასწორებაზე დიდი მუშაობა ჩაატარა. 1866 წელს 13 თებერვალს მარქსი სწერდა ენგელსს: „...ამჟამად „კაპიტალის“ ხელნაწერი უკვე დამთავრებულია, მაგრამ იგი ისეთი გრვანტუტი სიდიდისაა და მას ისეთი საბე აქვს, რომ მის გამოცემას უკრავინ, ჩემს გარდა. — თვით შენც კი ვერ შესძლებ. პირველ იანვრიდან მე შევეუდგე მის ხელმეორედ გადაწერას და სტილის გასწორებას საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, ვინაიდან ჩემთვის მხოლოდ სასიამოვნოა ამღენი ხნის შემობიარობის ტვიცილებიც შემდეგ ბავშვის გამოყვანა.“¹⁾

ამ კონტექსტში საგულისხმოა, რომ მარქსი სიტყვებს „სტილის გასწორებას“ ხაზს უსვამს — რომ მარქსისათვის სტილის გასწორება წარმოადგენს შემობიარობის პროცესის ისეთ მნიშვნელოვან მომენტს, როგორცაა „ბავშვის გამოყვანა“.

მარქსისა და ენგელსის მწრივ ისეთი დიდი ყურადღება სტილისათვის, რა თქმა უნდა, გომოწვეული იყო არა „განგებული“ ესთეტიკური მოსაზრებებით, არამედ იმით, რომ იდეოლოგიური იარაღი ყოველმხრივ, და მათა-სადაც, ლიტერატურულადც ბასრი და დახვეწილი უნდა იყოს, რომ უკეთ ეშაბუროს ბრძოლას მიზნებსა და ამოცანებს. „მარქსისათვის, — ამბობს ლიბკნეხტი, — „სტალი“ არის ის, რაც თავდაპირველად რომაელების ხელში

¹⁾ მარქსი და ენგელსი — თბზ., ტ. XXIII, გვ. 161. რუს. გამოც.



იყო Stalus, ე. ი. ფრლადის წვეტიანი მახვილი, რომელიც დაჩხვლულს. აქ სტალინი — ხანჯალია, რომელიც პირდაპირ გულმსახურებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისათვის; არაფერი ისე საზიზღარი და მიუღებელი არ არის, როგორც ფრაზიორობა და მაღალფარდოვანი სიტყვები. მარქსისათვის, — გადმოვეცემს ლიბკნეხტი, — სიტყვა „ფრაზიორობა“, ყველაზე აუტ და სალანძღავ სიტყვად ჩყო მიჩნეული“).

ერთ-ერთი ასეთი ფრაზიორობის გამოსვლაზე მარქსი ამბობდა: „რომ შევეუშოთ ეს საბნის ბუშტის მსგავსად გაბერილი ფრაზები, ხელში აღარაფერი შეგვტყდება. თვით ჰაერიც კი, რომლის შეოხებით მანამდე იგი რაღაცად გვეჩვენებოდაო“.

ლენინი და სტალინი ღირსეულად განაგრძობენ მეცნიერულ სოციალიზმის ფუძემდებელთა ლიტერატურულ ტრადიციებს და ამაყვით ეს ტრადიციები განვითარების უმაღლეს საფეხურზე.

ბოლშევიკური მარტის ბელადების მეტყველებას უბრალოება, სისადავე და ხალხურობა ახასიათებს. ლენინი, ბეკოს მუშაობდა იმისათვის, რომ მარქსის თეორიის თავისი გადმოცემა, როგორც ზეპირი, ისე წერილობით, სტატიებსა და ბროშურებში, რაც შეიძლება უფრო სადა, გასაგებ და თვითიული მუშისათვის მისაწვდომი გაეხადნა.

„არაფერს ისე არ ვისურვებდი, არაფერზე იმდენი არ მიოცნებნია, როგორც მუშებისათვის წერის შესაძლებლობაზე“ — წერდა ლენინი გადასახლებიდან“).

ლენინის მოხსენების ერთ-ერთ გვერდში გვხვდება ფრაზა „მარქსიზმის მაქსიმუმი უძრის პოპულარობის და სისადავის მაქსიმუმს“, და ამ მოთხოვნას უყენებდა ლენინი როგორც საერთარ თავს, ისე ყველას, პროპაგანდისტული მუშაობის წარმატებით წარმოებისათვის.

ამხანაგი სტალინი ლენინის მეტყველებას და მის ორატორულ ხელოვნებას შემდეგი სიტყვებით გადმოვეცემს: „დაწმენების არაწვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის უბრალოება და გარკვეულობა, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრება, არავითარი თავბრუსმხვევი შესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყოველივე ეს ხელსაყრელად ანახვევებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საბარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან“ (სტალინი. „ლენინის შესახებ“).

ამხანაგმა სტალინმა ლენინის მეტყველების დიხასიათებით თავისი საერთარი მეტყველების ნიშნებიც მოგვცა. ის, რაც მან ლენინზე სტყვა, გამოუკლებლივ შეიძლება გავიმეოროთ სტალინის მეტყველებაზეც. „არსად არ ცოცხლობს აზრი და სიტყვა ლენინისა, როგორც სტალინში. სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“ (ბარბიუსი).“)

1) კარლ მარქსი — „რეული ნაწერები“, გვ. 95. ჭართ. გამოც.

2) ლენინი — „თხულებანი“, ტ. XXIV, გვ. 17.

3) ამავე აზრს მკვეთრად გამოხატავს ჯამბული თავის სიმულერაში, როცა იგი მიმართავს ლენინს:

„Мы в Сталине видим твои черты,
Цели — немерянной высоты,
Мысли — невиданной широты,
Речи — несмысленной простоты,
В Сталине оживил ты“.

როგორც ლენინის, ასევე სტალინის ენა, არ იქცევა ყურადღების მქონე ფასი მორთულობით, იგი გატყვევებთ თავისი სიდიადით, შესაქმნელია უბრალოებით.

სტალინის გამოსვლებსა და სტატიებში ვერ ნახავთ ბუნდოვანობას. სტალინის ყოველ გამოსვლას თუ სტატიას აქვს გარკვეული მიზანდასახულობა და თვითუღი მისი ფრაზა, თვითუღი მისი სიტყვა ამ მიზანდასახულობას ემსახურება.

სტალინის ლიტერატურული მანერის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი სტატიების თუ სიტყვების აგებნის გასაოცარი გეგმაზომიერება. სტალინის ყოველ სტატიას თუ გამოსვლას ყოველთვის საფუძვლად უდევს წინასწარ ღრმად მოფიქრებული ლოგიკური გეგმა. თანამიმდევრად არკვევს რა ამ გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს, სტალინი ზუსტად და მკვეთრად ჩამოთვლის მთავარ დებულებებს და არასოდეს არ ჰფანტავს ყურადღებას სხვა, შემთხვევით მოვლენებსა და საკითხებზე, რომელთაც მოცემული თემისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ამით იზსნება ის გარემოება, რომ როცა სტალინის ამა თუ იმ ნაწარმოებს ეცნობით, მუდამ გრძნობთ, რომ ეს ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ნათლად ცოცხლობდა ავტორის წარმოდგენაში, ვიდრე იგი წარმოითქმებოდა, ან ქაღალდზე გადაიტანებოდა.

რომ მკითხველს მუშაობა გაუადვილოს, სტალინი თავის სტატიებს ცალკეულ თავებად და ქვეთავებად ჰყოფს, მთავარ თემას — ცალკეულ საკითხებად და ქვესაკითხებად, ისე რომ მთელი სტატიის გეგმა, ძირითადი იდეის ცალკეულ პარაგრაფებად დანაწევრება და, მაშასადამე, ავტორის მთლიანი აზრთა მსვლელობა მკითხველის წინაშე სრულიად ნათელი და გასაგები ზღება. ავიღოთ თუნდაც სტალინის ისტორიული შრომა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (სეერდლოვის უნივერსიტეტში 1924 წლის აპრილის დასაწყისს წაკითხული ლექციები). სტალინის წინაშე იდგა ფრიად დიდი ამოცანა: რამდენიმე მოკლე ლექციაში გადმოეცა ლენინის მრავალფეროვანი და რთული მოძღვრების არსი; ლენინიზმის საფუძვლები. ერთ სისტემაში მოეცა იდეები, რომლებიც სამი ათეული წლის მანძილზე, სამ ათეულ ტომში იყო გაბნეული და ამ რთულ და მრავალფეროვან იდეებიდან შეექმნა ერთი ცხადი, მკაცრად მოყალიბებული მთლიანობა. მოუხედავად უდიდესი სირთულისა, სტალინი ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. მან აღებულო თემა შემდეგ თავებად დაჰყო:

1. ლენინიზმის ისტორიული ფესვები, 2. მეთოდი, 3. თეორია, 4. პროლეტარიატის დიქტატურა, 5. გლეხობის საკითხი, 5. ეროვნული საკითხი, 7. სტრატეგია და ტაქტიკა, 8. პარტია, 9. მუშაობის სტილი. ჩამოთვლილი ქვეთემები სტალინის მიერ კიდევ ცალკეულ საკითხებად ნაწილდება.

ამ თავებში გარკვეული გეგმის მიხედვით სტალინი ისე მოხდენილად განალაგა მასალები, ისე თანამიმდევრულად განიხილა საკითხები, რომ ადვილად შესძლო მთელი სიღრმით და ამომწურავი სისრულით გადმოეცა ლენინიზმის იდეების ურთულესი სისტემა. შემოხსენებულ თავებში, რომლებიც ერთიმეორესთან მჭიდრო ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან, სტალინი მოგვცა ყველაფერი, რაც არსებითი და ძირითადია ლენინიზმში და ყოველივე ეს ისეთი უბრალოებით და სიცხადით გააკეთა, რომ ადვილად შესათვისებელი გახდა მკითხველისათვის. გადმოცემის ასეთ სიძა-

დეს პირველყოფლისა ხელს უწყობს მკაცრი ლოგიკური გეგმითა და ავტორი განუხრელად მისდევს თავის მუშაობაში.

როცა სტალინის შრომებს, მის სტატიებს და სიტყვებს ეცნობით, თქვენ გატყვევებთ არა მარტო ამ სტატიებისა და სიტყვების ღრმა შინაარსი, მათი გასაოცარი გეგმაზომიერება, ლოგიკის უძლეველი ძალა და აზრთა თანანიმოდევრობა, და აი: მარტო ის, რომ სტალინი ურთულეს მოვლენათა სისტემაში სწელება არსებობს, მთავარს, რომ იგი ადვილად ახერხებს უაღრესად რთულსა და დახლართულ მოვლენებში კანონზომიერების დამყარებასა და გარკვეულობის შეტანას, არამედ თქვენ გატყვევებთ ისიც, რომ ამხანაგი სტალინი თავის ზრმულ აზრებს ისეთ სიტყვიერ ფორმაში მოსაეს, იმდენად უბრალო ენით გადმოგვეცემს, რომ ადვილი ხდება მათი გაგება თვით გაუწაფავი მკითხველისათვისაც კი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ზოგჯერ ჩვენშიც, საბჭოთა კავშირში, შეხედებით ხელოვნურად ამაღლებულ პათეთიკური სტილის მწერლებს და ორატორებს, რომლებიც სიტყვის გარეგანი ფორმის სილამაზეს სწირავენ შინაარსს. შეხედებით ორატორებს, რომლებიც არა ლოგიკისა და ღარწმუნების ძალით, არამედ გაბეჩრილი ფრაზებით, უცხო და ბრქაული სიტყვების კორიანტელით, ორაკულური ტონით და აპლომბით იტყვიან პუბლიკისს ყურადღებას. ამხანაგი სტალინი ნასტიკად დასციინის ასეთ ყალბ, პათეთიკური სტილის მწერლებსა და ორატორებს, რომლებიც თავიანთ წყალწყალა სტატიებსა და მსუბუქ გამოხვლებში „ლაპარაკობენ მხოლოდ ლაპარაკის პროცესისათვის“. აკადემიკოსი მეწიერიაკოვი ასეთძველ ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ სტილს, სადაც გარეგანი ლიტერატურული სამკაულები ზოგჯერ მხოლოდ ართულებს აზრის სიცხადეს, სამართლიანად აღარებს როკოკოს არქიტექტურულ სტილს, რომელიც აგრეთვე ხასიათდება მრავალი დეკორატიული, ზოგჯერ ხელოვნურად გართულებული სამკაულებით. მეტყველების ასეთი სტილის კლასიკურ ნიმუშს, სადაც შინაარსი ეწირება სიტყვის გარეგანი ფორმის სილამაზეს, ან უკეთ, სადაც აზრი სრულიად არ არსებობს და მას სცვლის სიტყვების რაზარუხი, იძლეოდა სამგზის წყველი ხალხის მტერი, გაიძვერა და მანქია ტროცკი, რომლის შესახებ ლენინი ამბობდა: „ყველაფერი, რაც ბრქვიანობს, ოქროს როდია. ტროცკის ფრაზებში ბევრი ხმაურობა და ელვარებაა, მაგრამ შინაარსი შიგ არ არის“¹⁾. როგორც ვსთქვით, სტალინი დასციინის ორატორებს, რომელთა უაზრო სიტყვების რაზარუხი ეყენების ცარიელ ელარტხს, თვალის მოსატყუებელ მოელვარე შუშხუნას ან აფერადებულ საპნის ბუშტს მოგვაგონებენ. საპნის ბუშტს, რომელიც ხელის მიკარებისთანავე ჰქრება და არარად ზქევა.

ვიმეორებ, ჩვენში ახლაც შეხედებით პირებს, რომელთაც დღემდის არ შეუგნიათ, რომ ენა დან მეტყველება მით უფრო ბასრი და ეფექტიანია, ჯამდენად იგი უბრალოა, სადა და დამაჯერებელი. შეხედებით პირებს, რომლებიც ვოგოლის ცნობილი პერსონაჟის ენით ლაპარაკობენ: „ყოფიერების ასეთი შთაბეჭდილებიდან შედავოგიური სეზონის მანძილზე იქმნება ისეთი ფსიქიური კონკლომერატი, რომელიც აბსოლუტურად უარყოფს გარე სამყაროსთან ობიექტურ დამოკიდებულების ყოველგვარ შესაძლებ-

1) ლენინი, იბზ. კრებულო, ტ. XII, ნაწ. 2, გვ. 449.

ლობას... სწორედ ასეთი ენით მოლაპარაკე ლექტორებზე მოხდენილად ამბობდა მ. კალინინი, რომ მათ ხელში აუდიტორიას არ სჭირებენ მკვანოტიზიორი. ის უგანზოზოდაც კარგად დაიძინებსო.

სწორედ ასეთი სახის ორაატორებზე და მშვენიერ მოუბრებზე აგრეთვე დამცინავად ამბობს რუსული ზალხური ანდაზა: „Красно говорит, а слушать нечего“ („მშვენიერად ლაპარაკობს, მაგრამ მოსასმენი შიგ არაფერიაო“).

სტალინი ვერ ითმენს ორაატორებს და მწერლებს, რომელნიც ლაპარაკობენ და წერენ ყველაფერზე, რაც ენაზე მოადგებათ. ახასიათებდა რა ერთ-ერთ მოლაყბე ოპოზიციონერს, სტალინი ირონიულად ამბობდა:

„არიან ადამიანები, რომელთაც ენა იმისათვის აქვთ, რომ ფლობდნენ და განაგებდნენ მას. ესენი ჩვეულებრივ ადამიანები არიან. და არიან ადამიანები, რომლებიც თვითონ დამორჩილებიან თავის ენას და ენა განაგებს მათ. ესენი არაჩვეულებრივ ადამიანები არიან. ამგვარ არაჩვეულებრივ ადამიანებს ეკუთვნის რადეცი. ადამიანი, რომ უსაყ ენა მიცემული აქვს არა იმისათვის, რომ განაგოს იგი, არამედ იმი-ათვის, რომ თვითონ დამორჩილოს თავის საყუთარ ენას. ასეთ ადამიანს არ შეუძლიან იცოდეს, რთდის რას წამოაყრანტალეებს ენა“¹⁾.

სტალინი გვასწავლის, რომ ჯერ უნდა მოისაზრო და შემდეგ გამოთქვა. სტალინი გვასწავლის, რომ ჯერ საგანს უნდა იცნობდე, ლოგიკის ძალა შეგწვედეს და შემდეგ მოჰკილო კალამს ხელი. ამხელდა რა გ.ზ. „ისარის“ მესვეურების უვიცობას, სტალინი წერდა „დიას, ცუდია, როცა არც საგანს იცნობ, არც ლოგიკის ძალა შეგწვევს და კალმის ქვილი კი ნებას არ გაძლევს ეს უვიცობა დაჰთარო“.

რახან „უხსენებელი“ ვახსენეთ, მოვიგონოთ ისიც, თუ როგორი გამანადგურებელი ირონიით სპობდა ამხანაგი სტალინი ტროცკის, როცა უკანასკნელი ლენინიზმს „განსაზღვრავდა“, როგორც „კუნთების შეგრძნობას ფიზიკურ შრომაში“.

ტროცკის მერ ლენინიზმის სწორედ ამ „განსაზღვრაზე“, რომელიც მხოლოდ უაზრო სიტყვებს შეიყავს და ყოველგვარ შინაგან ღირსებას მოკლებულია, სტალინი ირონიულად ამბობდა:

„ლენინიზმი, როგორც კუნთების შეგრძნობა ფიზიკურ შრომაში“ მეტი რაღა გინდათ, ახალიც არის, ორიგინალურიც და ღრმავაროვანიც (სიცილი) ყველაფერი ეს ძალზე მშვენიერია, უსიკატური და თუ გნებავთ დიდებულიც, აქლია მხოლოდ „წერილმანი“: უბრალო და ადამიანური განსაზღვრა ლენინიზმისა“²⁾.

სტილის ბუნდოვანობა ჩვეულებრივია აზრის ბუნდოვანობისაგან წარმოსდგება, რამდენადაც ენა და აზროვნება განუწყვეტელ დიალექტიკურ მთლიანობაშია მოცემული. „ვინც ნათლად აზროვნებს — ის ნათლად გამოსთქვამს“, ცარიელი და ბრჭყვიალა სიტყვების ხმაური ჩვეულებრივ გვხვდება იქ, სადაც ნაკლებია აზრი ან სულ არ არის იგი. ჯერ კიდევ მეფისტოფელი ვესლიანად ამბობდა:

„იქ სადაც ცნება არა სანს ნათლად —
სიტყვა ადვილად ჩნდება მის ნაცვლად“.

¹⁾ ი. სტალინი — ოპოზიციის შესახებ, გვ. 73. ქართ. გამოც.

²⁾ ი. სტალინი — ოპოზიციის შესახებ, იქვე.

ამხანაგი სტალინის მეტყველება მის მიერ შექმნილ სოციალისტურ ეპოქის სიდიადეს ესმაურება, ენისა და აზრის ამ დიდი ოსტატურ შექმნაში არ ბრწყინალებს ყალბი პათოსით, რომლითაც შეიძლება წუთიერად გაიტაცო აუღიროს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ლენინის მეტყველებაში ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით აღნიშნავდა სწორედ იმ მხარეს, რომ მასში არ იყო „არავითარი პრანკვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ეესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა“. თავის პასუხში პროპაგანდისტ ი. ფ. ივანოვისადმი, მოჰყავს რა ლენინის სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, სტალინი იქვე მიუთითებს:

„ნათქვამია შევეთრად და მაგრად, პატიოსნად და გულმართლად, შეუღამაზებლად, ისე როგორც იცოდა ლაპარაკი ლენინმა.“¹⁾

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნო კრებაზე ამხანაგმა სტალინმა მისთვის ჩვეული უბრალოებით წართმეულ სიტყვაში სთქვა: „რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე (ნელი სიცილი). შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში. (სიცილი). მაგრამ ჯერ ერთი მე არა ვარ ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განაღირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ზღა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს“. მე ვფიქრობ, რომ არა ღირს“.

სტალინის ოქროპირობა, მისი სტატიის, თუ სიტყვის სილამაზე მდგომარეობს არა მის გარეგან ელვარებაში, არამედ მის ღრმა შინაარსში, საქმიანი და კონკრეტული საკითხების ლოგიკურად დაყენებაში, მათს აბლებურად, რევოლუციურად გადაწყვეტაში, გმირული ბრძოლისა და დიადი მშენებლობის შინაგან პათოსში. ამ მხრივ, სტალინის სტილი, როგორც აკადემიკოსი მეზინერიაკოვი ამბობს, შეიძლება შევადაროთ მკაცრ, უცხო სამკაულებისაგან განტვირთულ, ანტიკურ არქიტექტურული ხელოვნების დორიულ სტილს, რომელიც აგრეთვე არაჩვეულებრივი უბრალოებით ხასიათდება. ამ სტილის მიხედვით შენობის სილამაზე მხოლოდ მისალის ხარისხით განისაზღვრება და იმ ძირითადი იდეით, რომლითაც ხელმძღვანელობს არქიტექტორი თავის შემოქმედებითს მუშაობაში.

ამხანაგი სტალინი თავის ბრძნულ აზრებს უაღრესად ცხადად, მოკლედ და ზუსტად აყალიბებს, რომელაც არასოდეს არ გაეიწყდება. მისი დასკვნების ფორმულირებანი, რომლებიც კომუნისმისათვის ბრძოლის და მოქმედების კონკრეტულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, ღრმად მოფიქრებული და დასაბუთებულია, წინადადებანი—მაქსიმალურად მოკლეა და სხარტი, რაც სტალინურ აზრებს აძლევს მეტს სიმტკიცეს და ენერგიულობას, არ ღლის მკითხველს და სწრაფად ლაგდება მის ცნობიერებაში. მოკლე, გამომეტყველი ფრაზა, რაც ერთხელ იქნება გაგებული, ღრმად ინერგება ხსოვნაში და შეიძლება გახდეს ლოზუნგად, რაც არასოდეს არ მოხდება წყალწყადა, მრავალსიტყვიანი მსჯელობით. ზედმეტი სიტყვები მხოლოდ

¹⁾ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი — „ახალგაზრდობის შესახებ“, გვ. 258, ქართ. გამოცემა 5. „მშათობა“, № 12.

აბნელებენ აზრის მკვეთრად გამოსახვას. სტალინის სიტყვების მიხედვით შერჩეულია. თვითვე კონკრეტულ შემთხვევისათვის სტალინის ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ცოდნის დაუშრეტელი მარაგიდან ამოაქვს სწორედ ის სიტყვები, რომლებიც საჭიროა აზრის სიზუსტითა და სიცხადით გადმოცემისათვის. სტალინის თვითვე სიტყვას დაკისრებული აქვს მეტი სინათლე და სიცხადე შეიტანოს წინადადებაში. სიტყვების მოფიქრებულად შერჩევა და მიზანსწრაფულობა მათი გამოყენების დროს — ამხანაგი სტალინის სტილის დამახასიათებელი ნიშანია. სტალინის ნაწარმოებების და გამოსვლების გულმოდგინედ გაცნობა გვასწავლის, რომ ენის სიმდიდრე არა მრავალსიტყვაობაში, არამედ მის აზრობრივ სიზუსტეში მდგომარეობს. სტალინის თვითველი სტატია, მისი მოკლე და ზუსტი ფორმულირებანი მიგვიჩვენებენ, რომ „წყალწყალა“ სტილი შეუთავსებელია კონკრეტობასთან, ბოლშევიკურ სტილთან.

თავის შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ მე-9 თავში („მუშაობის სტილი“) სტალინი სწერს:

„რუსული რევოლუციური გაქანება წარმოადგენს უმოქმედობის, რუთინის, კონსერვატიზმის, აზროვნების გაყინვის, მამაბაპური ტრადიციისადმი მონური მორჩილების საწინააღმდეგო წამალს“. სტალინის ამ წინადადებაში სიტყვები: უმოქმედობა, რუთინა, კონსერვატიზმი — სინონიმურია. უმოქმედობა — ნიშნავს უძრაობას, ადგილიდან დაძვრის უუნარობას. რუთინა — ჩვეულებას იარო ერთგულ გატყეპნილ გზაზე, მისდევდე შაბლონს, კონსერვატიზმი — მისწრაფებას დაიცვაძველი. ეს სიტყვები თავისი მნიშვნელობით ერთი მეორის მონათესავეა, მაგრამ ერთი და იგივე მანც არ არის. თვითველი მათგანი აზუსტებს წინათქმულს, შეაქვს აზრში ახალი ელფერი, სინათლე და გარკვეულობა. ყველა ერთად აღებული კი — ეს სიტყვები ყოველ მხრივ ახასიათებენ იმას, რის საწინააღმდეგო წამალს „რუსული რევოლუციური გაქანება წარმოადგენს“. სტალინის წინადადებაში ვერ პოვებთ ვერცერთ სიტყვას, რომლის ამოგდება შეიძლებოდეს, ან სიტყვას, რომლის შეცვლა შეიძლებოდეს სხვა სიტყვით, აზრის დაუმახინჯებლად.

„აბა სცადეთ — ამბობს ამხანაგი კალინინი, — უფრო მოკლედ გამოსთქვით სტალინის მიერ გამოთქმული რაიმე აზრი“. ამით სტალინი თავს იცავს მრავალსიტყვაობისაგან, რაც შეიძლება მეტ შინაარსს ათავსებს ცოტა სიტყვებში და მკაცრად მისდევს იმ წესს, რომელსაც აგრეთვე გვიჩვენდა პოეტი ნეკრასოვი:

„Чтобы словам было тесно;
Мыслям — пространно“.

სტალინის სიტყვები და წინადადებები მთლიანად კონცენტრირებულია და მიისწრაფვის ერთი მიზნისაკენ. აქ თვითველი დებულება მტკიცე თანამიმდევრობით გამომდინარეობს წინადადებებიდან. ერთი ასაბუთებს მეორეს. შეჯამებული სიმოკლე და გამოკვეთილობა ლიტერატურული ოსტატობის იდეალია. „სიმოკლე — ტალანტის დააო“ ამბობდა ჩეხოვი. აზრის მოკლედ გამოთქმა, რა თქმა უნდა, უკეთესია, მაგრამ უფრო ძნელიცაა. მარჯაი ერთ-ერთ თავის წერილში ენგელსისადმი ბოდიშის მოხდით სწერდა: „დრო არა მაქვს, ვიჭარი და ამიტომ წერილი გამიგრძელდაო“. თავის წერილებში ფლობერი ამბობს: „რამდენად ლამაზი და მშვენიერია აზრი,

იმდენად ლამაზად ეღერას ფრაზა. აზრის გარკვეულობა, გარკვეულს ხელის სიტყვასაც. თუ თქვენ ზუსტად იცით ის, რაზეც ლაპარაკობთ, თქვენ მას იტყვიან კარგად“. ამასვე ამზობს ბუალო:

„რამდენად აზრი ნათლად აქვს თვით ავტორს წარმოდგენილი, იმდენად ნათლად და შევითრად ის მას გამოხატავს. არ არის ძნელი იმის გამოთქმა, რაც ღრმად გაგებულია, ნულარ ეძებთ მაშინ სიტყვებს: ისინი თავისთავად მოჩბიან“.

ბუალოს უკანასკნელი ფრაზა შესაძლოა რამდენიმედ გადაჭარბებულია, მაგრამ უეჭველია, რომ აქ სწორად არის გადმოცემული საკითხის აზრი.

მწერლის სტილი ყოველთვის ისეთივეა, როგორც არის მისი იდეები. თუ იდეა ბრძნული და ნათელია, სტილიც უბრალო და ნათელია. ხოლო იდეა თუ ზედამიწულია, მსუბუქი და ბუნდოვანი — სტილიც მსუბუქია, მაღალფარდოვანი, გაბერილი და ყალბი. ობორტუნისტების ენა პარმონიულია მათ აზრებთან. საქმე ეწირება სიტყვებს, არსი — ფორმას, სიტყვის ტექსტი — მის გარეგან სამკაულებს. „ანარქიული იდეები ენასაც ანარქიულს წარმოშობენ“... ამზობს ლენინი (თხზ. კრებული, ტ. მე-8, გვ. 91)

ნათელი ენა — ნათელი აზროვნების შედეგია, ხოლო ნათელი აზრი, გარდუვალად განსაზღვრავს ნათელ ფორმას. ეს უთუოდ ასეა, მაგრამ ნათელი ფორმა, ავტომატურად მაინც როდი მისდევს ნათელ აზრებს, ყოველი სიტყვა უნდა ასწონ — დასწონოთ. ვისაც ნათელი აზრი აქვს და უფრობილდება ამ აზრს, იგი უნდა ცდილობდეს მის გაფორმებაზედაც. ფორმა თვითონ კი არ მოდის მზამზარეულად, ფორმა ხანგრძლივი და ბეჯითი შრომით უნდა დაიხვეწოს. აზრი რომ სწორად გამოსთქვა, საჭიროა შეარჩიოს სიტყვები, რომლებიც ზუსტად და სრულად გამოსთქვამენ ამ აზრს. ლიბკნეხტი გადმოგვცემს, რომ მარქსი ხშირად დიდხანსა და გულდასმით ეძებდა შესაფერ გამოთქმას. ვისაც სიტყვის ძებნაზე ტანჯვა არ განუცდია, მას ალბათ არც უაზროვანია.

მარქსისა და ენგელსის განსაზღვრით ენა „აზროვნების ძირითნდი ელემენტია, ელემენტი, რომელშიც აზრის ცხოვრება გამოიხატება“.

ლენინი ამზობს: „ენა — ადამიანთა თანაცხოვრების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“.

„ენა — განვითარებისა და ბრძოლის იარაღია“ გვასწავლის სტალინი.

ასეთია ენის როლი და მნიშვნელობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს განსაზღვრით. აქედან ენაზე ზრუნვა — ეს არ არის ფუფუნება, კაპრიზი. კარგი, წმინდა, ლიტერატურულად დახვეწილი ხალხური ენა, იდეების საუკეთესო გამტარებელია. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ენის სიწმინდეს. ის პირდაპირ ფიზიკურ სიძულელს ვრძნობდა მათ მიმართ, რომლებიც ენას რყვინდნენ და ამბინჯებდნენ.

„უჰ, აი ენა!“ „შეუფერებელი სიტყვაა“, „დამოკიდებული წინადადება უშემასმენლოდ!“ და სხვ. აი ის შენიშვნები, რომლებსაც ვხვდებით ლენინის მიერ წაკითხული ზოგიერთი წიგნების არეებზე. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გადაჭრით ვნობდა აგრეთვე ავტორების ჩვეულებას იხმარონ უცხო სიტყვები, როცა მათი შესატყვისი სიტყვა მოგვეპოვება. „ხალხს უნდა მიუდგე ლათინური სიტყვების გარეშე, უბრალოდ, ვასაგებად“, სწერდა იგი. — (ტ. მე-20) ერთ წიგნს, სადაც ლენინმა ამოიკითხა „დაშლის ელემენტები ლიბიტარებულია“ — იქვე გვერდზე მიუწერა: „უჰ! არ სჯობ“

და უფრო უბრალოდ: „მათ ზღუდავს“? მეორე ადგილს, სადაც ეწერა: „...სოფლის მეურნეობის ფულად რენტაბელობას...“ ლენინმა შექმნილი შენიშვნა გაუყეთა: „რატომ არ სწერია შემოსავლიანობა უბრალოდ“? მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უარყოფით შეფასებას აძლევენ აგრეთვე იმ მწერლებს და მეცნიერებს, რომლებიც სიტყვათმცობელობით ან თერმინომთხვეულობით იყენებენ გატაცებულნი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისათვის რამდენად ბუნებრივი, კანონიერი და აუცილებელია ახალი თერმინის შექმნა ახლად წარმოშობილ მოვლენების, ფორმებისა და პროცესების განსაზღვრისათვის, იმდენად უვარგისი, და უსარგებლოა ხელოვნურად შექმნილი ახალი თერმინები, სიტყვები და სახელები ისეთი მოვლენების და საგნების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ თავისი გარკვეული სახელი. „Великие любители ученой игры в термин“—აი როგორი სიტყვებით ახასიათებდა ლენინი ავენარიუსს და სხვა მის მზგავს მეცნიერებს, რომლებიც ახალთერმინომთხვეულობით ცდილობდნენ გაეოცებიათ ქვეყანა. ასევე დასცინოდა მარქსი პრუდონის „თერმინშემოქმედების“ სენს. პრუდონის მიმართ, რომელმაც მეცნიერებაში დამკვიდრებულს და საყოველთაოდ მიღებულ თერმინს „შეფარდების ანუ საცვლელ ღირებულებას“ ახალი სახელი „პროპორციულობის შეფარდება“ გამოუგონა, მარქსი წერდა:

„შეენიშნავთ, პირველყოვლისა, რომ უბრალო გამოთქმა: „შეფარდებით ანუ საცვლელ ღირებულება“ უკვე შეიცავს იდეას რაიმე შეფარდებისას, რომლის მიხედვით პროდუქტები ერთმანეთზე იცვლება. ამ შეფარდებისათვის სახელად „პროპორციულობის შეფარდების“ მიცემით არა იცვლება რა, გარდა გამოთქმისა...“

რაღა საჭიროა ეს ახალი ტერმინი, რომელიც არ იბლევს არავითარ ახალ აზრს?*)

დიურინგის სიტყვათმთხვეულობის მიმართაც, რომელიც ცდილობდა მტკიცედ დამკვიდრებული თერმინი „განვითარება“ ახალი თერმინით „კომპოზიციით“ შეეცვალა, ენგელსი ამბობდა:

„აქ კვლავ მეორდება ძველი ისტორია. საგნები თავის ადგილას რჩება, ხოლო ბატონი დიურინგი სავსებით დაკმაყოფილებულია, თუ ჩვენ სახელს შეეცვლით. როცა ჩვენ ელაპარაკობთ წიწილის განვითარებაზე კვერცხში, თურმე ამით საქმის ვითარებას ვაბნევთ, ხოლო თუ მის კომპოზიციას ველაპარაკებთ, ყოველივე ნათელი გახდება. მაშასადამე, ჩვენ აღარ ვიტყვი: „ეს ბაეში საუტხოვოდ ვითარდება“, არამედ ვიტყვი: „იგი შესანიშნავად კომპონირდება“... (ანტი-დიურინგი, გვ. 52—53).

ასევე მზრუნველობით ეპყრობა სტალინი ენას, მის სიცხადეს და უბრალოებას. როგორც ლენინი, ისევე სტალინიც ხმარობს უცხო სიტყვებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი აუცილებელია და ამასთან მუდამ ეხმარება მკითხველს გაუგებარი სიტყვების ზუსტი მნიშვნელობის გაგებაში. სტალინი „პოლიტიკური ჭამელეონები“, სტალინი უხსნის მკითხველს სიტყვა ჭამელეონის მნიშვნელობას ისე, რომ ამით სტალინი ოდნავადაც არ მკარგავს თავის თეორიულ მნიშვნელობას:

*) მარქსი, „ფილოსოფიის სიტატაკე“, გვ. 54, ქართ. გამოც.



„თუ თვალთ არ გინახათ, რა წაიკეთებოდათ ვერცხვების მსგავსი ჯოჯო. ეს ს ქვეწარმავალია, რომელიც ხერელში დაძვრება და ცოცხალი იქნება. მაგრამ არის ერთგვარი ჯოჯო, რომელიც ხეებზედაც დაცოცავს, ამას ქამელეონი ეწოდება... ქამელეონის სინათლური თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის დღე მუდამ ფერს იცვლის. როგორც იცით, ყველა ცხოველს აქვს თავისი განსაზღვრული ფერი, მაგრამ ქამელეონის ბუნება ამას ვერ იტანს, ის ლომთან ლომის ფერს იღებს, მგელთან მგლის ფერს, ბაყაყთან ბაყაყისას, მიხედვით იმისა, თუ როდის რა ფერი უფრო გამოადგება. სწორედ ისე, როგორც ეს ფილდსა და უბრინციბო კაცს დაემაჩნება ხოლმე, — ჩემთან ჩემია, შენთან შენი, რეაქციონერთან რეაქციონერი, რევოლუციონერთან რევოლუციონერი, ოღონდ კი ხერელში გაძვრეს და თავის მიზანს მიადწიოს“...

აი კიდევ, უაღრესად მაღალი თეორიული აზრების შემცველ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, როგორ გასაგებად უხსნის ამხანაგი სტალინი მკითხველს სიტყვა დიალექტიკის მნიშვნელობას:

„დიალექტიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „დიალეგო“, რაც ნიშნავს საუბრის, პოლემიკის წარმოებას. ძველად დიალექტიკაში გულისხმობდნენ ხელოვნებას — მიეღწიათ ჭეშმარიტებისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში წინააღმდეგობათა გამოაშკარაებისა და დაძლევის გზით. ძველად ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ წინააღმდეგობათა გამოაშკარაება აზროვნებაში და დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს ჭეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას. აზროვნების ეს დიალექტიკური წესი, რაც შემდეგ გავრცელებულ იქნა ბუნების მოვლენებზე, გადაიქცა ბუნების შეცნობის დიალექტიკურ მეთოდად, რომელიც ბუნების მოვლენებს იხილავდა, როგორც მუდამ მოძრავსა და ცვალებადს, ხოლო ბუნების განვითარებას — როგორც ბუნებაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგს, როგორც ბუნებაში დაპირისპირებული ძალების ურთიერთმოქმედების შედეგს“. („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 666. მე 11 ქართ. გამოც.).

როგორც მკითხველი დაინახავს, ერთ აბზაცში უკვე სავსებით მოცემულია სიტყვა დიალექტიკის გენეზისი და მნიშვნელობა.

აგიღოთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, ცნობილია, რომ ამ წიგნზე დიდხანს მუშაობდა სტალინი, როგორც მისი მთავარი ავტორი და რედაქტორი. იოტის ოდნავადაც არ ამდაბლებს რა ამა თუ იმ საკითხის თეორიულ მნიშვნელობას, ავტორი ხსნის და განმარტავს იმ სიტყვებსა და თერმინებს, რომლებიც შესაძლოა არ იცოდეს მკითხველმა, მაგრამ რომელთა ცოდნა მისი იდეურ-პოლიტიკური ზრდისათვის აუცილებელია. აი, მაგალითად, როგორ არის ამ წიგნში ახსნილი თერმინი „ლეგალური მარქსიზმი“.

„უდიდესი მნიშვნელობა აქონდა აგრეთვე ლენინის ბრძოლას „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ, როგორც ყოველთვის ხდება ისტორიაში, დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩვეულებრივ ეტაპსებთან დროებითი „თანამგზავრები“. ასეთი „თანამგზავრები“ იყვნენ ეგრეთწოდებული „ლეგალური მარქსისტები“. მარქსიზმმა იწყო ფართო გავრცელება რუსეთში. და აი, ბურჟუაზიულმა ინტელიგენტებმა იწყეს მარქსისტულ სამოსელში გახვევა.

ისინი ბეჭდავდნენ თავის სტატიებს ლეგალურ, ესე იგი მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ გაზეთებსა და ჟურნალებში. სწორედ ამიტომ სწორედ მათ „ლეგალური მარქსისტები“.

ახსნა და გადმოთარგმნა უცხო სიტყვების და თერმინების, რომლებაც შესაძლოა არ იცოდეს მეცნიერულად მოუმზადებელმა მკითხველმა, თვალსაჩინო და მკაფიო მაგალითების სიუხვე, თვითიული თეორიული განსაზღვრის ახსნა-განმარტება, გადმოცემული მასალის განუხრელი შეჯამება და დასკვნები — აი სტალინის პოპულარულად გადმოცემის უცვლელი ხერხები.

თვით გააფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლაში სტალინი არ აფიწყებს ენის სიწმინდეს და ამავე მოთხოვნას უყენებს იგი თავის მოწინააღმდეგეც-აკრიტიკებდა რა ცნობილი მენშევიკის ნ. ჟორდანიას სტატიას „უმცირესობას და უმრავლესობას“, სტალინი პირველყოფლისა ავტორს ქართულ ენას უცოდინარობაზე მიუთითებდა. ჟორდანიას ხსენებულ სტატიაში ჰქონდა ასეთი ადგილი: „რომელიმე კლასის დეორეტიკი თეორიულად მიდის იმ დასკვნამდე, რომელსაც ენაც თითონ კლასი უკვე მივიდა“...

მოჰყავს რა ეს ადგილი, სტალინი მას ასეთ შენიშვნას უყენებს: — „ან ქართული არ იცის ავტორმა, ან და მბეჭდავის შეცდომაა, არცერთი ქართველი არ იტყვის, რომელსაც ენაც უკვე მივიდა“.

ასევე სრულყოფილად დაუფლებულია სტალინი რუსულ ენას და იცავს მის სიწმინდეს. ტყუილად კი არ სთქვა ამხანაგმა კალინინმა:

„აი, მე რომ მკითხოთ, ვინ იცის ყველაზე უკეთესად რუსული ენა, მე ვუბასუხებდი — სტალინმა. მისგან უნდა ვისწავლოთ ენის სიტყვაძვირობა, სინათლე და კრისტალური სიწმინდე“.

(გაგრძელება იქნება)



განსარიონს ჟღერსი

იოსებ გრიშაშვილი

თავისი ისტორიის ყველაზე ტრაგიულსა და საბედისწერო შემთხვევებში ქართველ ხალხს თავისი საიკოცხლო ენერჯია, მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ქედუნრელობა თავის მძლავრსა და დაუშრეტელ მხატვრულ სიტყვაში გამოუშვადენებია.

იოანელ და არაბ დამპყრობელთა სისხლიანი თარეშის ხანაში მოვიდნენ ქვეყნად ქართულ მწერლობის პირველი და უძლიერესი ოსტატები, ხოლო ძველ საქართველოს აღსასრულის სუსხიანმა საუკუნემ წარმოშვა ბესიკი, დავით გურამიშვილი და სულხან საბა ორბელიანი. — კრწანისის ველიდან მძიმე კრილობებით გამოსულმა საქართველომ თვითმპყრობელობის კოლონიზატორულ პოლიტიკის იერიშს ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლედა დაუპირისპირა, ხოლო ცარიზმის დამპყრობელური აგრესიის ყველაზე გააფთრებულ შემოტრეას ქართული კლასიკური რეალიზმის უკვდავი კორიფეებით უპასუხა.

ასე მოხდა მეოცე საუკუნეშიც. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებით დროებით ფრთაასხმული რეაქციის მძიმე წლებში ჩვენს მწერლობაში ვაიშალა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მოძრაობა. წარმოიშენენ მხატვრული სიტყვის ყოველი თანრის შესანიშნავი ოსტატები, რომლებიც ეხლა თავიანთი დეწლმოსილებით და ახალ ლიანდებზე დამკვიდრებული შემოქმედებით ამლიდრებენ და ამშვენებენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას.

იოსებ გრიშაშვილი ამ ლიტერატურული ფორმაციის გამოჩენილი და მაღალნიჭიერი წარმომადგენელია. თავისი პირველი კვბუკური სიმღერები მან ჩვენი საუკუნის გარიჯრაჟზე ამომტყდარი დიადი სოციალური ბრძოლების ქარიშხალს მიუძღვნა. მომღევენო ლექსებში: „ზამთარი“, „ტუსადის სიმღერა“ და სხე. ამ ქარიშხალის დროებითი ჩახშობით გამოწვეული სახალხო მწუხარება და გულხიტივილი გამობატა. ეს იყო ახალგაზრდა პოეტის ხმის მოსინჯვის, ფრთების გაწაფვის წლები. მილე მან მიაგნო ბაკუთარ ხმას, მონახა თავისი ორგანიული თემა და ამღერდა ისეთი სპეციფიური პანგით, რომელმაც ერთბაშათ სახელი გაუთქვა და უახლესი ქართული მწერლობის ისტორიაში წარუშლელი ადგილი დაუშკვიდრა მას.

იშვიათად თუ ხედომია ეისმე წილად ასეთი წარმატება და აღიარება თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველსავე საფეხურზე. აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეშივე და მათ გვერდით ახალგაზრდა პოეტის ყოველი გამოსვლა წრფელ აღტაცებას იმსახურებდა. ეს მარტო პოეტის ხალასი ნიჭით, მისი მგზნებარე ტემპერამენტით, ხმის მრმხიბვლელი სპეციფიური კოლორიტით როდი იყო გამოწვეული. იოსებ გრიშა-

შვილმა დიდი სახალხო სეედისა და მწუხარების წლებში, გულსა და სისხლსა და სასოწარკვეთილების ხანაში იმღერა სიცოცხლისა და სიხარულისა, სიყვარულისა და მშვენიერების წრფელი საგალობელი და ეს სიმღერა მკვეთრად გაისმა ლიტერატურული დეკადანსის პირქვე ფონზე.

ბესარიონ გაბაშვილის სატრფიალო ლირიკაში და საიათნოვას მწველ სიმღერებში კჳოვა იოსებ გრიშაშვილმა სათავეები თავისი პოეტური მსოფლმხედველობისა. ამასთანავე მან დიდი გაცაცებით და სიყვარულით მიაპყრო ყური ქალაქის პოეტურ ფოლკლორს — აშუღურ პოეზიას — ტყუილად როდი ამბობს პოეტი თავის თავზე:

„მანეს ტალღვისი გაცეარი, აეღვარდა ქიფაჲ
 ამოზა — ხარაფხანა, მტროზა — ფლასი იაფი,
 და მეც ვმღერი თამამად, წინ ქამანჩით ვისწრაფი,
 მე, თბილისის ფოლკლორის ანასტატი მიზრაფი,
 თმაში ვერცხლი მიბზინავს და ლოყებზე — ლაღები“.

უახლოესი დროის ქართულ პოეზიაში იოსებ გრიშაშვილმა აღმოსავლური ლირიკის ტრადიციები აღორძინა. მშვენიერებისა, ტრფიალებისა და სიცოცხლის სიტყვების განცდა შეაღგენდა მამინ მისი პოეტური მსოფლშეგრძნობის მთელს შინაარსს. — მის უჩრდილო, შხიურსა და ხალისიან სიმღერებში მართლაც ვერცხლისა და ლალის ფერები აელვარდნენ. მან გამოიმუშავა ლექსის ღრმად ორიგინალური, უდაკოთ საკუთარი ლაბორატორია. მისი ლექსის სიტყვური ქსოვილი ბპეციფიური ლექსიკური მასალით არის გამდიდრებული. სასიმღერო-სადეკლამაციო რიტში უძვეს საფუძვლად მისი პოეზიის ღრმად ინდივიდუალურსა და მომხიბველ მუსიკას, თვალის მომკრელი, ნათელი და მკვეთრი საღებავებით ხატავს იგი თავის ლექსებში გადმოცემულ ლირიულ სურათებს. მართლაც „ფერთა ნიაღვარი“ სჩქედს მის უღარდულ და უღრებლო სატრფიალო ლექსებში, ია-ვარდის სურნელებით გამსჭვალულ მის სიმღერებში:

„როცა გიყვარდი, ნავები ია-ვარდს
 მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი,
 ლექსით მფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
 როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...“

თითქოს ძველი ქართული ფრესკებისა და მოზაიკის დიდებული ოსტატებისაგან უსწავლია მას ნათელი და წარუშლელი საღებავების შეზამების საიდუმლოება, ხოლო ჩვენი ძველი მინიატურებისა და ჩუქურთმის ხელოვანთ უანდერძებით მისთვის გულმოდგინე და თავდადებული ბრძოლა ფორმისათვის, მხატვრული დეტალის სრულყოფისათვის, კომპოზიციური კარმონიისათვის.

მისი ყოველი ლექსი დასრულებულ ლირიულ სიუჟეტს შეიცავს. მას აქვს პოეტური კომპოზიციონს იშვიათი აღლო. მისი ლექსის სტროფები შეკრულია ისეთი მჭიდრო აღნაგობით, რომ შეუძლებელია იქ რაიმე ადგილგადანაცვლება, რისიმე შეკვეცა, ან განვრცობა. მდიდარი და ცხოველყოფელი ფანტაზია გამოსჭვივის მის შემოქმედებაში, იგი სწერს მოულოდ-



ნელი და გაბედული მეტაფორებით, მკვეთრი სასევებით. ყოველთვის ხელ-
ტად შერწყმული და კეთილხმოვნად აცდერებული რითმებით, გულწრფელად
ხალისიან და ნათელ განწყობილებათა გადმოსაცემად მის ადრინდელ
სამიჯნურო ლირიკაში მონახულია მსუბუქი და გრაციოზული ფორმა:

„ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომიტევეს სიტყვა და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე,
მიწანავებდა სიოს აღერსი“...

ზამბახის ფურცლებისა და პეპელას ფრთების, საალერსოდ მჭროლავი
სიოს სიმსუბუქე დაამკვიდრა იოსებ გრიშაშვილმა თავის პოეზიაში. მშობ-
ლიური ლიტერატურის სარბიელზე გამოჩენისთანავე მან მდიტანა საკუთარი
პოეტური სამყარო—თემების, ფერების, პანგთა ღრმად სპეციფიური და თა-
ვისებური რკალი.

ჭალაჭის პოეტურ ფოლკლორთან სიახლოვემ იმთავითვე თავისებურად
დემოკრატიული გეზი მისცა იოსებ გრიშაშვილის პოეზიას. აშუღღურ ნაკადს,
დაკავშირებულს ეროტიკულ განცდასთან, ხორციელ მგარძობელობის სტი-
ქიასთან, ზოგჯერ რამდენათმე უხეში და ტლანჭი პოტივები შემოჟტანია
პოეტის ადრინდელ სიმღერებში. მაგრამ იოსებ გრიშაშვიდი შეუწნელებე-
ლი შემოქმედებითი გზებით იბრძოდა ყოველთვის თავისი ლექსის დასა-
ხვეწად და დასაწმენდათ, თავისი სიტყვისათვის მეტი სინაზისა და ნატი-
ფობის, მეტი ელვარებისა და წრფელი სიმძაფრის მისაცემად:

„მე მესმის, როცა აღნობენ ოჭრის,
ცუცხლში აფდებენ დასახვეწილად,
რომ უფრო მტკიცედ გამოიბოჭროს
და ელვარებდეს ნახად და მწველად“.

სიყვარულისა და შემოქმედების შეუწნელებელ ცუცხლში უწრთენია
იოსებ გრიშაშვილს თავისი პოეტური სიტყვის ოჭრო-მადანი და სწორედ
ამიტომ „ბობოჭრობს“ იგი ასე მტკიცედ, ამიტომ ელვარებს იგი ასე „ნა-
ზად და მწველად“.

იოსებ გრიშაშვილმა შესძლო ახლებურად, თავისებურად აემეტყველებია
პოეზიის მარადიული თემა სიყვარულისა და მშვენიერების. თავის საუკე-
თესო ლექსებში მან მოგვცა სიტურფის სადიდებლად * ამღერებული სა-
ხოტბო პოეზიის დაუვიწყარი ნიმუშები:

„შენი ყელი... აზობენ, რომ შენი სწორი ყელი
ღერწამია შარბათისა, ძველი, მაშრიყელი,
არა უფრო ამსგავსებენ რას? არ ვიცო თუ რას:
მარმარილოს ცისარტყელას, თუ საღაფის სერის?!
მე კი... მე კი გამოვქმენი სურათს ჯერ არ ყოფილს:
შენი ყელი მე შავონებს გედის ათლილ პროფილს“.

ან კიდევ:

„შენ კარგი ხარ, ვით ბესიკის ქმანტური მუხამბახი,
სტიფიოს ტანზე თმა გეხვევა, ვაი კენარსა უსურვანი“.

შენს თვალებში "მავდ ვხედავ შუალემის სივრცეს ხშირსა და სივრცეში—კაცლის ხიდან ორ გამომწევერ ქვანახშირსა, როს საუბრობს: მაგ მაგედგან მოსტქედს შარბათ-ბანგ-ბადავი, როს იციან, შენს ლოყებზე დაღის ღიმის ლიანდავი".

განა! საჭიროა ნიმუშების მოყვანა ი. გრიშაშვილის ისეთი პოპულარული, საყოველთაოდ ცნობილი ლექსებიდან, როგორცაა „ხელთათმანის ღილი“, „თაღნი კამა“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“ და შრავალი სხვა?

ყოველივე ეს თავის დროზე განიმილებოდა, როგორც გადახვევა და უკან დაბრუნება ქართული რეალისტური ლირიკის დიდი სამოქალაქო საბრძოლო ტრადიციებისაგან. რა თქმა უნდა, ი. გრიშაშვილის ამ პერიოდის შემოქმედებაში დიდი იყო სოციალური ინდიფერენტობის, თვითმიზნური ესთეტიზმის და კამერულ მოტივების რკალში მოწყვედვის ცდუნებანი, მაგრამ პოეტის ამგვარ მისწრაფებას ქონდა სხვაგვარი ახსნაც: მაშინ, როდესაც გაბატონებული რეაქციული ძალები ლამობდნენ ცხოვრება მამინჯ და გულქვა საპყრობილედ ექციათ, პოეტი გულშეხურვალე აავალობელს აღადგენდა სილამაზისა და მშვენიერების საღიდებლად. მაშინ, როდესაც ირგვლივ ბოროტებისა და ხალხზე შურისძიების სტიქია მძვინვარებდა, ი. გრიშაშვილი სიყვარულის ამამიღლებელსა და კეთალშობილურ გრძნობას უმღერდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილი მაშინაც არ ყოფილა განსაზღვრული მარტოოდენ „ოქროს თეხისა“ და „გენაცვალეს“ მოტივებით. აკი მან თავის აღრინდელს შემოქმედებაში, თავისებური ხარკით მისცა ქართული პოეზიის დიდ პატრიოტულ ტრადიციას:

„სიზმრად ვნახე — საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა და დროსა ეს დაფლეთილი, ქარის ფრთებზე ქანაობდა. და მეც ვითომ დრუბლებიდან დავყურებდი იმ ნაპირებს, სადაც ნაშთი ჩახეოდა მეგრდ-გამობილ მეგრძოლ გმირებს; ვავეურებდი ძველ მონასტრებს, ძველ აყლდამებს წინაპართა, სადაც ერმა ივერიის სისხლის დროსა ჯე აღმართა, და ვფიქრობდი: ნუ თუ ერი ისე დასქნა და დაქანდა რომ სხვის მიაქვს ჩვენი ხალხის სიანაყე წმინდათ-წმინდა?!“

ამგვარად მწველ და აღმაგზნებელ სიტყვით პოეტი თვალწინ უყენებდა მშობელ ხალხს დაუღვთილი ქართული დროშის სახეებს, სისხლისა და ცრემლის ზღვაში მცურავი სამშობლოს სურათს, მამულისათვის თავდადებულ გმირთა ნათელ ხსოვნას.

აღექსანდრე სუმაბათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში იოსებ გრიშაშვილმა ერის საბრძოლო ნებისყოფა, მტრისადმი მისი მომაკვდინებელი ზიზღისა და მრისხანების წმინდა სახალხო გრძნობა გამოხატა:

„მაგრამ, როცა ჩემს სამშობლოს ისეც დამწევერ-დატანჯულსა, უყოლიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას, ჩუჯულსა, — მაშინ მყისვე მაჯონდება ანანია თავის ფიცით და მსურს მეც ესთქვა: ხანჯლის დაკერა ქართველებმა გულში გიციოთ“.

თავისი ეს ღრმა პატრიოტული მგზნებარება იოსებ გრიშაშვილმა განსაკუთრებულის სიმწვავეით თბილისისადმი მიძღვნილი ლექსების შესანიშნავ

ციკლში გამოხატა. თავის სამშობლოს ქალაჩა და სახელოვანი კისალში დაუცხრომელ სიყვარულის გრძნობაში პოეტმა თავისა შა, ხამშობლოსადმი, მისი დიადი წარსულისა და აწმყოსადმი განუზომელი სიყვარული და ერთგულება განასახიერა:

„წარსულისადმი ნღობა, პატივი
შენში, თუ ოდნავ მინც ელვარებს,
შიხუდები, ასე ანდამატებით
ჩისთვის ედარაჯობ თბილისს კარებს“.

ამბობს პოეტი თავის ერთ-ერთ ლირიკულ შედევრში და ჩვენ მართლაც კარგად ვხვდებით, თუ რატომ იზიდავდა პოეტის აზრსა და გულს. ასეთას ანდამატური ძალით ძველი თბილისის ეკატორი სურათები: ნარწყალას ნანგრევები და სუბსარქისი, ისნის უბანი და „თათრის ფოლორტი“, „შეთან ბაზარი“ და „აშაშხანა“.

იშვიათი ცხოველმყოფელობით აღადგინა და გააცოცხლა პოეტმა თავის შემოქმედებაში მთელი ეს ღრმად კოლორიტული, მწვავედ განცდილი და მგზნებარედ შეყვარებული სამყარო ლექსებში „ქორწილი ჩვენ უბანში“, „აშაშხანისკენ“, „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ და სხვ. პოეტმა დაუქიყვარის ძალით და შადალი შთაგონებით დაგვიხატა ძველი თბილისის სურათები:

„ამ ქუჩაბანდში მე მიმბავს ძველი ჰამჭარი,
ხელში ტროშებით გადაწყდობ-ვადიანაწკრივი,
უსტახაშ, მშვენიის მოღარდარე შხის ყალამჭარი.
(ამ ქუჩაბანდში მე მიმბავს ძველი ჰამჭარი)
და გალობს ზურნა ცილის საარს მანგ-ღეთაზრივი“.

ღრმა დრამატიზმით იყო გამსჭვალული მშობელი ხალხის წარსულისადმი წრფელი სიყვარულით და რეაქციული საზოგადოებრივი გარემოცვისადმი ზიზლით აღბეჭდილი ეს ლექსები. ძველი თბილისის პოეტური განცდისა და ასახვის გრიშაშვილური კონცეპცია მკაფიოდ არის გადმოცემული ლექსში აშაშხანისკენ:

„მოქიფენო! ძველმა თბილისმა
მეც ჩამომართია უმარღვო ხელი,
მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა,
სად არის ძველი ყარაოღელი?
გრძნობა ყალბი აქვთ, შმა — ნაქრდილი,
ბრაზით შეფუტრებ ამ სურათს უჩვეეს,
და შერიქივე, ლოთი, შურდალი,
ტურზე დამიდებს გაქ-ნილ ტურებს.
გავტრებავ ჰიჭას, რომ ვათქმევინო:
აალებში არ შავებს შმა — მოყვარული
და ატირდები როგორც ეს ღვინო.
აინტოს პერანგზე ჩამოღვარული“.

ასე შმაფრად გამოსთქვა პოეტმა ამ ერთიან ლირიულ სურათში შეთავსებული მღელვარე გრძნობა სიყვარულისა და სიძულვილისა, დიდებისა და უაყოფისა.

და როგორც ძველი თბილისის პოეტურად გაცოცხლებულ ქუჩებში გამოხატა გრიშაშვილმა თავისი კონფლიქტი და შეუთანხმებლად აღუცხვალე ციამდე ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ მახინჯ და სულისშემნთველ სანამდვილისადმი, ისე თანამედროვე, განახლებული თბილისის ამსახველ პოეტურ ქმნილებებში უმღერა მან პირველად ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და აღორძინების დიად ეპოპეას.

საბჭოთა საქართველოს აღმავლობის ეპოქამ უსაზღვროდ გააფართოვა ი. გრიშაშვილის პოეტური სამყარო; ახალი იდეებით და თემებით გაამდიდრა იგი, ღრმა სოციალური ელერა და აზრი შთაბერა მის ლექსს. პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ღრმა განახლების დასაწყისს წარმოადგენს ლექსი „დღღღუის საარი ქარს აღარ მოაქვს“, რომელშიც ი. გრიშაშვილმა უკანასკნელად უმღერა თავის ძველ თბილისს, და ერთგვარი გულისტკივილით, მაგრამ ახალი ცხოვრების ძლევამოსილების ნათელი რწმენით დაემშვიდობა მას:

„ძველო თბილისო, ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ ვინახავდი.
გადაწყდა უნდა შეცვალო გზები,
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის“.

და აქედან იწყება ახალი, ჩვენი ხალხის შემოქმედი და აღმაშენებელი გენიით აღორძინებული თბილისის სადიდებელი სიმღერები, რომლებშიც პოეტს ჩვენი დიადი დროებისადმი თავისი ალტაცებული სიყვარული და ერთგულება აქვს გამოთქმული. ასეთი ფართო განმაზოგადოებელი აზრით არის აღბეჭდილი ლექსი „ბერიას მოედანი“, სადაც პატრიოტული სიამაყის გრძნობა ახალ სამყაროსთან შემოქმედებითი თანამშრომლობისათვის მზად უოფნის სიხარულით არის განაცოფიერებული:

„ასეთი ეს მე ჯერ არსად მინახავს,
ისეთი მზე მე ჯერ არ შემხედრია,
ეს ჩუქურთმა, ჩამოთლილი ინახათ
თავისუფალ საქართველოს, ხვედრია.
გულო ჩემო, აფეთქდი და დიძარ,
ჩაეწარდე მშობელ მიწას ფესვებით,
ახალ თბილისს — ახალ კოკორს ნადვიძარს —
უგალობე ნამუსიან ლექსებით“.

და მართლაც ნამუსიანი! წრფელი და გულის სიღრმიდან მომდინარე შთაგონებული სიმღერებით უგალობს ეხლა ი. გრიშაშვილი ახალ თბილისს, საბჭოთა სამშობლოს, თავის დიად დროებას. არა მარტო თანამედროვე და მომავალ თობათა გასაგონად სთხზავს იგი ამ სიმღერებს. პოეტი თითქოს ისწრაფის წინაპართა აჩრდილებიც შესძრას და აღაფრთოვანოს ჩვენი მამულის აღორძინების ამ სიხარულით.

ლექსში „კიროვის ბაღში“ ი. გრიშაშვილი მიმართავს ქართულ კლასიკური პოეზიის მწუხარე გენიას — ნიკოლოზ ბარათაშვილს:

„ახსენი ზაგე... ყველას უთხარი,
რომ ეს მიღამო იქცა ბაღებად,
რომ დაგზოქეთ ბედი მუხთალი,
აგმართეთ სიტყვა ბაირალებად.“



დაიცა მეთქი: შეესდგოთ ჯეველს,
ქართულის ეზბით ქსოვილ ბუნებას.
ფემტერით შარას, ლექსად გაყვანილს
და გაზაფხულის შემობრუნებას“.

იოსებ გრიშაშვილი
შენს ლექსს

პოეტის ფანტაზიას ჩვენი დროების ნათელი და სითბო შეაქვს: პარაია-
შვილის მშფოთვარე სულიერ სამყაროში, ასე ისწრაფვის პოეტი თანა-
მედროეობის შეუქით გაანათოს ჩვენი ხალხის დიადი, მაგრამ სუსხიანი
წარსული.

როგორც მთელი თანამედროვე ქართული პოეზია, იოსებ გრიშაშვილიც
ხალხს უწმინდეს პატრიოტულ გრძნობებს შთაგონებულად გამოხატავს
დიდი სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში, ი. გრიშაშვილის ლექსი „წერა-
ლო ბელადისადმი ჩემი უბნიდან“—ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუ-
კეთესო ნაწარმოებია. მასში ცხოვლად და დამარწმუნებლად არის განსა-
ხიერებული დიდი სტალინის გენიის ყოვლის შემძლე, გარდამქმნელი და ამა-
ღორძინებელი ძალა:

„შენ შემოგვქვრის მთელი ქვეყანა,
როგორც ნატვრის თვალს. თავის ხელს გიშვერს,
შენ მზე მიწაზე ჩამოიყვანე
და ლალის ფერი მიეცე გიშვერს“.

პოეტმა ხალხის საყოველთაო აზრის გამომთქმელ ძალას მიიღწია, როცა
ამ ლექსში ბელადს „ჩვენი სიმღერა, გული და ტვინი“, უწოდა, როცა ღრმა
მხატვრული სიმართლით, სადათ და წრფელად განასახიერა ხალხის რწმენა
სტალინური საქმის უძღველობისა:

„შენ ერთი დაცვით გვიჩვენე მარჯვედ
ის, რაც აქამდე არვის ენახა.
გვეტრა: ყოველთვის იქ გავიმარჯვებთ,
სადაც შენა ხარ! სადაც შენა ხარ!“

ბელადის თემა ორგანიზულად არის დამკვიდრებული ი. გრიშაშვილის
მთელს ეხლანდელ პოეტურ ცხოვრებაში. თუ პოეტს უნდა გამოხატოს თა-
ვისი ალტაცება ჩვენი ქვეყნის მიერ დიდი ილიას სახელის ღირსეულად და-
ფასების გამო იგი ამბობს:

„ვათავდა შენი ტანჯვა და ჯვარცმა,
შენ აღფრთხილა ფოლადის კაცმა“.

თავის სიყვარულს ყაზახეთის განთქმული აშუღის, ჯამბულისადმი, პოე-
ტი უპირველესად იმით ხსნის, რომ ჯამბული „ასი წლის კაცი, სოსო
ჯუღაშვილს უწოდებს მანას“. უკვდავი რუსთველის გენიის ახალ გამობრ-
წყინებას ჩვენს ეპოქაში პოეტი დიდი სტალინის სახელთან აკავშირებს:

„ვინ შეაგროვა ნამწვი ძვირფასი,
ვინ გააჩალა ფერული კლარა,
ვინ დასწვდა ამ ფერფლს და ოჭროს თასით
პოეტებს თავზე ვადმოგვეყარა?“

— ჩოი მდინარე ჩაუღის ზეოთისს,
ერთმანეთს ეკვრის, დუღუნებს, შფოთავს,
ორი სახელი ერთმანეთს ერთვის:
დიდი ბელადი და დიდი შოთა”.

მ. კ. მ. მ. მ.
მ. კ. მ. მ. მ.

ასე, ჩვენი ცხოვრების ყოველი ნათელი გამოვლინება იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში უშუალოდ და განუყოფლად არის დაკავშირებული დ. ჯ. სტალინის გენიასთან, მის უსაზღვროდ საყვარელ სახელთან.

საბჭოთა სინამდვილემ ახლებურად ააღწერა ი. გრიშაშვილის პოეზია, საბრძოლო პათოსი, გმირული თავგანწირულების სულისკვეთება დაამკვიდრა მასში. ლექსში „სამშობლოსადმი“ პოეტი ამბობდა:

„სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იკრებსა,
გულს, მებრძოლებს გაუტოლადი,
თოფის ლულაზე აწვობდ ფიქრებს“.

სამამულო ომის ქარიშხლის ამოვარდნამდე დიდი ხნით პდრე პოეტი გამოსთქვამდა თავის მზად ყოფნას სამშობლოს სახელისა და დიდებისათვის სასწრაფოდ:

„მაგრამ თუ ისტყდა ომი ფიცხელი,
შემთანჯრეს მზა ჯეზბირები,
კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა,
პოეტებს აქაც გავეჯიბრები“.

იოსებ გრიშაშვილმა ღირსეულად და სასახელოდ შეასრულა თავისი ეს წრფელი დაპირება და აღსარება. ჩვენს სამშობლოზე პიტლერული ურდოების თავდასხმის პირველივე დღეებიდან ი. გრიშაშვილის ჩოეზია ნამდვილ საბრძოლო ნაღარად იქცა. „სამშობლო და გამარჯვება“ ეს ორი ცნება ასაზრდოვებს ეხლა მის პოეტურ შთაგონებას და განსაზღვრავს მისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ შინაარსს.

ჩვენი ეურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, პლაკატებიდან, თუ საკუთარ ლექსების კრებულებიდან ეხლა ი. გრიშაშვილი ყოველდღიურად ეხმაურება ჩვენი გმირული სინამდვილის დიად მოვლენებს, ჩვენი ძლევაშოსილ წითელი არმიის დეე-გმირულ წინსვლას. სამამულო ომის მკზნებარე დღეებში პოეტმა საბრძოლო მოქალაქეობრივი ღირიკის არა ერთი ძვირფასი ნიშნით გაამდიდრა ქართული პოეზია. ამ ლექსებში იგი შთაგონებულად გამოსთქვამს ჩვენი ხალხის უწმინდეა პატრიოტულ გრძნობებს და განცდებს, უმღერის სტალინგრადის სასწაულობრივ ეპოპეას, გმირულ ლენინგრადს, კავკასიის სახელოვან დამცველებს, ჩვენი ყველა გამარჯვების და წარმატების შემომქმედს — უდიდეს მხედროთმთავარს — სტალინს.

ჩვენს სამშობლოზე პიტლერული ურდოების ეერაგული თავდასხმის პირველსავე დღეებში ი. გრიშაშვილმა საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი მომწოდებელი სიტყვით მიმართა იარაღასხმულ საბჭოთა ხალხს:

„ცეცხლი ვერაგებს მკაცრი და მწველი
ერთად ვიფიქროთ ბრძოლის საგანზე“.



გეხსნათ ვუღებინ წმინდა საგანძღ,
 უხსნათ სამშობლო წაუბილწველი,
 ავასრულებდეთ შოთას დანაბარს:
 დაესცხოთ! დაეარტყათ! ერთად! თანაბარა!"

და ეს აღბეჭნებელი ბათოსა წუთითაც არ შენელებულა ი. გრიშაშვილის პოეზიაში სამამულო ომის მთელს მანძილზე. ვერაფერზე ჩვენი ვაშარჯევებით დაწყებულ 1943 წლისადმი მიძღვნილ ლექსში პიქტი კვლავ დაუცხრომელ შეტევისაყენ მოუხმობს თავის ქვეყანას:

„დაჯარი დუშმანს ისეთს ენით,
 ისე ანაზღაო, ისე ძლიერად,
 რომ სინანულად დარჩეს შემდგვში,
 რაც დღევანდლამდე იკადნიერა.
 ე.ე.ე. დავეტაბობ ციურ შევენებით...
 და ქვეყნის ორგულს როცა ჰკვეთამდღ,
 უნდა იბრძოლო შეუსვენებლით
 შენს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

ასეთ შეუსვენებელსა და მოუჭანცველს, დაუცხრომელსა და შეურიგებელ საბრძოლო სულს აძლიერებს და აღვივებს ჩვენს ხალხში ი. გრიშაშვილის ლექსი ესლანდულ მძაფრსა და მრისხანე დღეებში.

ი. გრიშაშვილის ლექსი „ღვინგრაიდი“ მეტროლი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით აღბეჭდილი პოეტური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშაა. აქ ქართველი პოეტი კეშმარიტი მშობლიური სიყვარულით ეხმარება რეკლუციის დიდი აყენის, მრავალფეროვანი საბჭოთა ხალხის საერთო საშობლოს ერთ-ერთი უდიდესი კერის გადარჩენისათვის წარმოებულ თავდადებულ ბრძოლას:

„შე შენს ქუჩებში ნესის ქართული
 შეძახილები მეტროლი ლომებთან,
 სარდლის სიტყვები, კლდეთ ამართული
 დედაქალაქის მისადგომებთან.
 შე შენს შადრევენს, ცამდე აყენილს,
 ბალღობიდანვე ლექსებში ვბრდილი,
 გამარჯვებათა იყავ აყენი
 და პოეტების წაღკორი დილი“.

ჩვენი წმინდა და სამართლიანი საბრძოლო საქმის გარდაუვალი გამარჯვების რწმენით ორის შთაგონებული ი. გრიშაშვილის ლექსის ყოველი სტრიქონი სამამულო ომის წლებში. მაშინ, როდესაც დროებითი წარმატებებით გათავებებული მტერი გააფთრებულად წინ მოიწვედა და თავის სისხლიან ვხაზე დაუნდობლად აცამტვერებოა ჩვენი ხალხის შემოქმედებით ვენის ყოველ ნაყოფს, ი. გრიშაშვილი ურყევი ნებისყოფით აღბეჭდილ სტრიქონებში გამოთქვამდა ჩვენს ხალხის საერთო აზრსა და რწმენას:

„ორატერია! ვაი მტერს, თორემ
 კიდევ გადმოვა აქ სიხალისე.
 რაც სიმტელილმა გააცამტვერა,
 მას სიყვარული აღადგენს ისევ“.

სტალინგრადის გმირი დამცველებიდან მიმართულ შესანიშნავ პოეტმა ღრმა სიმართლით განასახიერა საბჭოთა ხალხის ეხმარება საგმირო საქმეთა მარადიულ უკვდავების აზრი:

იგიველი ვაში, ყოელის ამტანი,
ერი იხილავს ყოფას სასურველს,
შემოვა ვინმე შემატანი,
წელთა ქარავანს ახდის საბურველს;
ხელში იღებს პირსაცხე კიქას,
წაუშვეს თავს და წარმოსთქვამს ნელად:
„დიდება იმათ, ვინც ასე ჯიქად
იბრძოდა ქვეყნის გამოსასწვლად“.

უტყუარი პოეტური წინადაზღვევით ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს მომავალ თაობათა მადლიერებას ჩვენი ხალხისადმი, რომელსაც ისტორიამ დააკისრა უაღრესად მძიმე, მაგრამ ამასთანავე საამაყო მოვალეობა კაცობრიობის მომავლის გადარჩენისა ფაშისტურ ბარბაროსული ტირანიისაგან:

„შთაგონებათ ეს შთა, ეს ბარი,
ერთ დროს ნაბური ყოჩნის წარბებად,
მოგვიგონებენ შესაწდობარით
და ჩვენი ბედი შეეხარებათ“.

ასე შთაგონებლად და დამარწმუნებლად ნერგავს ი. გრიშაშვილი ჩვენს ცნობიერებაში ჩვენი ეხლანდელი დიადი ბრძოლის საერთო საკაცობრიო და მარადიულ მნიშვნელობის აზრს.

ი. გრიშაშვილის ლექსმა ნამდვილ ხალხურობას, ხალხის გულთან და აზრთან ჭეშმარიტ განუყოფელობას მიაღწია.

ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია მივმართოთ ი. გრიშაშვილს საიათნოვისადმი მიძღვნილი მისივე სიტყვებით:

„სიმი რომ ვერ დავგვტია კიანურის ალხზე,
სიმის ერთი ნაწიბური გადასჭიმე ხალხზე
ხალხი სწნავდა შენს კიანურს, ჭკვიანურად, შიშიმედ,
გამარჯვების მოლოდინში არ მქარავდა იმედს,
ასე იყო ირაკლის დროს, ასე არის დღესაც...
ო, ყურს ვუგვებ ილტაცებით კიანურის კენესას“.

ილტაცებით და სიყვარულით უსმენს და ეხმაურება ხალხი ი. გრიშაშვილის შთაგონებულ სიმღერას, ხალხი აფასებს დიდ ღვაწლს ჩვენი საუკუნის გამოჩენილი პოეტისა, ჩვენი ლიტერატურული შემკვიდრეობის დაუცხრომელი და ნაყოფიერი მკვლევარისა, ქართული საბავშვო ლექსის შესანიშნავი მთხვეელისა და პოეტური თარგმანის იშვიათი ოსტატისა.

მის ლიტერატურულ გამოკვლევებს „საიათნოვა“, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქეშა“ და სხვ. ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის კულტურული წარსულის შესწავლისა და ათვისების თვალსაზრისით. ი. გრიშაშვილის კალამი ეკუთვნის მრავალი საყურადღებო ნაშრომი ქართულ-რუსული კულტურის ურთიერთობის საკითხებზე. მან ნათელი მოჰქონა ქართულს მწერლობაში და ქართულ საზოგადოებრივ აზრის ის-

ტორიაში პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, ოსტროვსკის და სხვა რუს კლასიკოსთა რეზონანსის პრობლემას.

ამ ნარკვევებში ი. გრიშაშვილი ყოველთვის გვევლინება არა მარტო დაკვირვებულ და გულმოდგინე, კეთილსინდისიერი და დაუხარელ მკვლევარად, არამედ ჭეშმარიტ პოეტად, რომელიც ღრმა სიყვარულით განიცდის კვლევის საგნად აღებულ მასალას და მახვილ ინტუიციით წვდება საკითხის არსებას. ი. გრიშაშვილის მთელი კვლევითი მუშაობა წარუღებელი ემოციურობით არის გამსჭვალული: ამ მხრივ ეს საქმიანობა მთავარი პოეტური მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილს და ორგანიულ გაგრძელებას წარმოადგენს.

ი. გრიშაშვილის გამოკვლევები აღეჭრა ანდრე ჭავჭავაძისა და აქვსენტი ცაგარელის შემოქმედებითი ცხოვრების საკითხებზე, მისი სარედაქციო მუშაობა აკაკის აკადემიურ გამოცემაზე, აღბეჭდილია ჩვენი დიდი კლასიკური მწერლობისადმი ისეთივე სიყვარულით და აღტაცებით, როგორც გამოთქმული აქვს პოეტს თავის „არმადანების“ ლირულ ციკლში.

ამგვარად ვლინდება პოეტის მთლიანი მონოლიტური ბუნება, მისი პოეტური ცხოვრებისა და კულტურულ მოღვაწეობის ერთიანი სტილი.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ი. გრიშაშვილის ღვაწლი ამიერ კავკასიის ხალხთა შემოქმედებითი დაახლოების საქმეში. მისი თარგმანები მირზაფათალი ახუნდოვის და ოვანეს თუმანიანის რჩეულ ქმნილებათა ამ მაღალ იდეით არიან ნაკარნახევი და შთაგონებული. ოვანეს თუმანიანის ლექსთა ქართული თარგმანი, შესრულებული ი. გრიშაშვილის მიერ, საერთოდ პოეტური თარგმნის ხელოვნების მაღალ ნიმუშად, ნამდვილ თანამშრომელების განსახიერებათ უნდა ჩქნეს მიჩნეული.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები და პოემები კანონიერად იმსახურებენ ჩვენი მოზარდი თაობის აღტაცებას და სიყვარულს.

მისი პირველი საბავშვო ლიტერატურის ნამდვილ მშვენიერებას შეადგენენ ასეთს. მრავალფეროვანსა და მრავალმხრივად ნაყოფიერს და ამასთანავე თანაბრად მაღალ ნიჭიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ი. გრიშაშვილი თავის პოეტურ ცხოვრების ორმოცწლოვან მანძილზე.

ესლა ივა სრული უფლებით იძვის ამ შთაგონებულ შრომესა და შემოქმედებით ბრძოლის ბედნიერ ნაყოფს, — ხალხის ერთსულოვან სიყვარულსა და მაღლიერებას.



ქართული ლიბერალური ისტორიკოსები მოსე ჯანაშვილი

(გარდაცვალებიდან ათი წლისთავზე)

მოსე ჯანაშვილის სახელის მოგონებასთან დაკავშირებით ზედმეტი არაა განმეორება ძველი ღრობი ერთერთი მოაზროვნის სიტყვებისა: „მოიხსენეხით წინამძღვარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ მეცნიერებისათა, და ხელუდით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და მზახველით შრომასა მათსა“ (ებრ., XIII, 7). ამ სიტყვებში გამოიხატება ჩვენი კრძალულება და პატივისცემა მათადმი, რომელნიც გვიკაფადნენ ეკლიან ვზას ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

ჯანაშვილებული მოსე ჯანაშვილი ეკუთვნის ჩვენი კულტურული მოღვაწეების იმ თაობას, რომელიც თავისი უანგარო, კეთილსინდისიერი, ენერგიული და თავდადებული შრომით ნიჟადეს უმზადებდა იმ სამეცნიერო საქმიანობას, რომელმაც ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ასე მძლავრად გაიღვა ფესვები და გაშალა ტოტები ჩვენში. თითქმის სამოცი წლის განმავლობაში (1876 — 1934) მოსე ჯანაშვილი სანთელივით იწვოდა მეცნიერების შანდალზე, ის ხედავდა და შეჰხაროდა იმ დღის მოახლოებას, როდესაც ჩვენში დაინთებოდა უმაღლესი ცოდნის ლამპარი. ის მოეწრო კიდევაც იმ მომენტს, როდესაც ჩვენში შეიქმნა უნივერსიტეტი, რომელმაც ის თავის წევრად და თანამშრომლად გამოაცხადა მისთვის პროფესორის წოდების მინიჭებით. მოსე არამც თუ მეცნიერებას ემსახურებოდა გატაცებით, ასეთივე გატაცებით ევლებოდა თავს იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მეცნიერული მუშაობის ინტერესს იჩენდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ტკბილი სიტყვით ამხნევებდა მათ და შრომას უადვილებდა.

მოსე ჯანაშვილს მუშაობა უხდებოდა, ყოველ შემთხვევაში თავისი მოღვაწეობის პირველს პერიოდში, იმ დროს, როდესაც ჩვენი მეცნიერული აზრი ღიფუზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მან არ იცოდა ღიფერენიციაცა მეცნიერული მუშაობისა და სპეციალიზაცია. ამით აიხსნება, რომ ის თავის ნაშრომებში გვევლინება როგორც ისტორიკოსი, — საეკლესიო და სამოქალაქო, — ისე ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელი, როგორც პოეტოლოგი, ისე ეთნოგრაფი, როგორც ლინგვისტი, ისე პალეოგრაფი, და ასე. ამ წერილში გვინდა მოკლულ გაითვალისწინოთ ის მხარე მ. ჯანაშვილის მუშაობისა, რომელმაც მხედველობაში ჰქონდა ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია.

მოსე ჯანაშვილის კვლევა-ძიების ობიექტს შეადგენდა უმთავრესად ძველი ქართული ლიტერატურა. ახალი ქართული ლიტერატურიდან მისი საგანგებო კვლევითი ყურადღება მიიძყრო მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ, რო-

მელსაც, მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო, 1907 წელს მან შეუძღვა ნა ვრცელი წერილი („ნაშრომი“ № 2, გვ. 3—27). ამ წერილში მან აღნიშნა დახასიათებული ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. სამაგიეროდ ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში მას უთუოდ საპატიო ადგილი უკავია. თავის უამრავ ნარკვევებში განსვენებულს დაუგროვებია მეტად მნიშვნელოვანი მასალა ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს ნარკვევები გაფანტულია სხვადასხვა დროის ქართულსა და რუსულს პერიოდულ გამოცემებში, დაწყებული ოთხმოციანი წლებიდან, ამიტომ ადგილი არაა დღეს გათვალისწინება და კლასიფიკაცია მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა. მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს საქმე, იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო განსვენებულს სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ინტერესებისათვისაც.

რა გააკეთა მოსე ჯანაშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის?

ჩვენი ძველი მწერლობის სისტემატური შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, სადაც თავს უყრიდნენ ხელნაწერებს და ამით მათ, ერთის მხრით, იცავდნენ მოსპობა-განადგურებისაგან, მეორე მხრით კი ხელმისაწვდენს ხდიდნენ დაინტერესებულ პირთათვის. მოსე ჯანაშვილი ერთერთი აქტიური მებრძოლი იყო ამ საქმისათვის. იმას თავისა მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ისეთი მსხვილი კოლექციების შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის განაგებელთა საზოგადოების“ წიგნთსაცავისა და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კოლექციები. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი ღვაწლი „საეკლესიო მუზეუმის“ დაარსებისა და მისი ზრდა-განვითარების საქმეში. 1888 წლის 15 ივლისიდან, როდესაც ფაქტიურად გაიხსნა მუზეუმი, ათი წლის განმავლობაში ის ახლო დგას მუზეუმთან, ჯერ როგორც თანამგრობი მისი საქმიანობისა, 1897 წლიდან როგორც წევრი სამუზეუმო კომიტეტისა. ხოლო 1898 წლის 10 აპრილიდან ის ხდება გამგე მუზეუმისა; ამის შემდეგ ის მუზეუმში რჩება თითქმის გარდაცვალებამდე. მის ხელში, მის თვალწინ ყალიბდებოდა, მდიდრდებოდა და იზრდებოდა მუზეუმი, მისი მზრუნველობით მოიპოვა მან პოპულარობა და ცნობილი გახდა სამეცნიერო წრეებში. მუზეუმი იყო ნამდვილი მისი შვილი, მისი სისხლი და ზორცი; მისი რუდუნებით შექმნილია უდიდესი ნაწილი ამ უმდიდრესი კოლექციისა, მის ხელში გაუვლია ყველა, აქ თავმოყრილ ხელნაწერს, მის მიერაა გადაფურცვლილი თვათუწლი მათგანი, გადანომრილი და პავინირებული. ის შეპხაროდა ამ დაწესებულების წარმატებას, მას გული შესტკიოდა მისთვის და საკუთარ ოჯახზე უფრო ევლებოდა მას თავს. აქ თავმოყრილ საგანძურს ის სამართლიანად „ქართველთა მილიონებს“ უწოდებდა („ივერია“ 1894 წ. № 135).

საქართველო

საქართველოს

მუზეუმში თავმოყრილი ხელნაწერები მეცდარ და მეცნიერებისათვის გამოუყენებარ მასალად დარჩებოდა, თუ იმათ ცნობაში არ მოიყვანდნენ. ამ საქმის მთავარი სიძლიერე მოსე ჯანაშვილსავე აწეა კისერზე. მან შედგინა პირველი, წინასწარი კატალოგი მუზეუმის ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯარებისა, რომელშიაც მოკლედ აღწერილია 484 ხელნაწერი და 994 სიგელ-გუჯარი¹⁾. ის დებულობდა საქმიანს, მაგრამ ჩუმს მონაწილეობას იმ აღწერილობაში, რომელიც 1902 წელს ორ ტომად გამოვიდა თ. ჯორდანიას სახელით და შემდეგი სათაურით: Описание рукописей Тифлисского Церковного Музея карталино-кахетинского духовенства. რადგანაც ეს აღწერილობა შედგენილი იყო თ. ჯორდანიას მიერ სხვადასხვა ტომს და ის უბისლდ იბეჭდებოდა, მ. ჯანაშვილს უხდებოდა არა მარტო სისტემაში მოყვანა აღწერილობისა და მისი კორექტურის წარმოება, არამედ საკირო შემთხვევებში აღწერილობის თვით ხელნაწერებთან შედარებაც. თ. ჯორდანიას „აღწერილობაში“, რომელსაც მიუხედავად მისი დეფექტებისა, დღესაც არ დაუჯარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, შევიდა 800 ხელნაწერი. 1908 წელს გამოვიდა მესამე ტომი ამ „აღწერილობისა“, რომელიც მთლიანად ეკუთვნის ვანსევენებულს მოსე ჯანაშვილს. ამ ტომში აღწერილია 240 ხელნაწერი (801—1040) და ის თავისი მოცულობითაც (372 გვერდი) უჩვენებს, რომ, თ. ჯორდანიას აღწერილობასთან შედარებით, ნაბიჯს წარმოადგენს წინ. იმაში დაკმაყოფილებულია თითქმის ყველა მთავარი მოთხოვნილება მეცნიერული აღწერილობისა, ყოველ შემთხვევაში ის საკმაოდ სრულს წარმოადგენს იმდენა ამათივე ძეგლის შესახებ. დღეს ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნი ვართ ვიცინებოთ უფრო სრულყოფილ აღწერილობაზე, მაგრამ თავის დროისათვის ის უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩითვალოს. მოსესევე ეკუთვნის ვაგრძელება ამ აღწერილობისა. ჯერ მის მიერ აღწერილია მოკლედ 1041—1109 ხელნაწერები²⁾, ხოლო ეგვე ხელნაწერები და სხვებიც (რიცხვით 674), რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1908 წლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც ის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის“ შემადგენელ ნაწილად იქცა (1930 წელს), აღწერილია მის მიერ დაწვრილებით 1921—1928 წლებში. ეს აღწერილობა ხელნაწერის სახით ინახება „საქართველოს მუზეუმში“ და დიდ სამსახურს უწევს ყველა მეცნიერ მუშაკს, სასურველია მისი გამოცემა. აღწერია მას, შედარებით მოკლედ, მთელი კოლექცია „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმისა. ისიც ხელნაწერადაა დარჩენილი.

გარდა ამისა, მოსე ჯანაშვილს ხელნაწერთა შესახებ აღმწერილობითი საინფორმაციო ცნობები მოთავსებული აქვს სხვადასხვა პერიოდულს გამოცემაში სხვადასხვა დროს, იმისდა მიხედვით, თუ როდის შემოდიოდა

¹⁾ იხ. მისი Тифлиское церковное древнехранилище, стр. 31—100. 1898 г. და Каталог Церковного Музея Грузинского Экзархата, стр. 3—14, 1899 г.

²⁾ იხ. მისი Каталог предметам Церковного Музея груз. духовенства 1914 г.



ესა თუ ის ხელნაწერი მუზეუმში. ამ გზით ის აცნობდა სწავლას მუზეუმის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერს, ამ მიზნისათვის ყველაზე მეტად ის იყენებდა ი. ჭავჭავაძის „ივერიას“⁴⁾.

მ. ჯანაშვილი იძლეოდა ხელნაწერთა არა მარტო აღწერილობას, არამედ გამოცემასაც. ჯერ კიდევ ხელნაწერთა აღწერილობაში შეუტანია მას მეტად ვრცელი ამონაწერები ამათუიმ თხზულებიდან. საკმარისია, მაგალითად, გადაათვალიეროთ მის მიერ შედგენილი მესამე ტომე მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობისა, რომ ეს ნათელი გახდეს; აქ მოცემულია: ცხოვრება აბიბოს ნეკრესელისა (გვ. 25 — 28), ექსცერპტები ბალაქარიანიდან (28 — 44), გიორგი მეფის ბრძოლის ისტორია ღმნა ბატონიშვილიან (94 — 100), წამება რაეღვისა (152 — 156), კორიდეის ოთხთაის მინაწერები (258 — 250), ერთერთი თარგმნილი გეოგრაფიის ეპილოგი (261 — 265), იოანე ანჩელის საგალობლნი (308 — 312), ლექსი ქვაბთახევის მოწასტრისა (199 — 200), წმ. გიორგისა (303 — 305) და სხვ. უფრო საყურადღებოა, რასაკვირველია, მისი ისეთი გამოცემები, რომელშიაც შესულია მთლიანი სახით მთელი რიგი როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლებისა.

ნათარგმნი ძეგლთაგან მას გამოუცია: 1) ცალკეული თავები ე. წ. შატბერდული კრებულისა, სახელდობრ: ეპიფანე კვიციანის „თელათავს“⁵⁾ და „საზომთათვის და საწყაულთა“⁶⁾, აგრეთვე „სიტყუაჲ—მკურნალთაგან“ უცნობი ავტორისა.⁷⁾ 2) გიორგი პისიდას (VII ს.) „თხრობაჲ კონსტანტინოპოლის მოციქვისა „სპარსთა და ბარბაროზთაგან“.⁸⁾ 3) გიორგი შთაწმიდელის მიერ თარგმნილი „სენიქსაროიდან“ ამოკრეფილი ცნობები ქართველთა მეზობელ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.⁹⁾ 4) ამოკრეფილი ცხოვრება იოანე დემისმეტყველისა, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი.¹⁰⁾ 5) ანდრია მოციქულის მიმოსვლა.¹¹⁾ 6) ორი ფსევდონიმიკრადიკული „საკითხავი“ წმ. ნინოსი.¹²⁾

ორიგინალურ ქართულ ძეგლთაგან მის მიერ გამოცემულია: 1) ცხოვრება იოანე და ექვთიმე ათონელებისა (ათონის კრებული, გვ. 1 — 68) შადი საბელობის საგალობლებითურთ (გვ. 109 — 110, 187 — 215). 2) ცხოვრება ილარიონ ქართველისა და საგალობლები მისი (გვ. 69 — 108, 177 — 186). 3) აღაბები ათონის ივერთა მონასტრისა (გვ. 216 — 274). 4) ცხოვრება გიორგი შთაწმიდელისა საგალობლებითურთ (გვ. 279 — 358). 5) ცხოვრება

⁴⁾ მ. შისი Каталог Церковного Музея Грузии. Экзархата, стр. 12, примеч.; აგრეთვე Указатель к статьям и материалам в грузин. периодической печати (1852—1910), под редакцией И. Кипшидзе, Петроград, 1916 г. Пагиреа Д., Алфавитный указатель к пятиверстной карте Закавказского края, Тифлис, 1913 г.

⁵⁾ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в XXIV.

⁶⁾ აღუდაგინე, გვ. 118 — 134, 1891 წ.

⁷⁾ შწერლობა IX — X საუკუნისა, 1891 წ.

⁸⁾ Сборник материалов для описания в XXVII აქ დაბეჭდილია ნაწილი მოთხრობისა; მთლიანად ის გამოსცა პ. კარბელაძევილი 1903 წ. (მუზეუმის გამ. № 7).

⁹⁾ Известия грузин. летописей и историков о Херсонесе, Готфии, Осетии, Хазарии, Дидоэтии и России (Сборник материалов, 22).

¹⁰⁾ ათონის ივერიის 1074 წლის ხელნაწერი აღაბებით, გვ. 111 — 175.

¹¹⁾ ქართული შწერლობა II, 49 — 53.

¹²⁾ История грузинской церкви I, 80 — 93.

სერაპიონ ზარზმელისა (ქართული მწერლობა II, 1—48). 6) „საქართველოს ქალაგებანი“ (1911 წ.). 7) აბდულ-მესიანი იოანე შავთელისა, ირჯეთი (1915, 1920 წ.). 8) „აღლუზიანი“ იოანე ბაღდადიძისა¹⁾.

როგორ გამოიყურებიან ეს გამოცემანი, შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ ისინი კრიტიკულ გამოცემად? ამისათვის ჯერ საქაროა გაირკვეს ზოგადად, როგორი უნდა იყოს კრიტიკული გამოცემა ამათუმი ძეგლისა? კრიტიკულია, ჩვენის გაგებით, ის გამოცემა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული ხაზით იძლევა ძეგლის სწორ გაგებას და ინტერპრეტაციას, ხოლო ლინგვისტურით — ავტორის თუ მთარგმნელის ეპოქაში გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტს. შეეძლო თუ არა დაეკმაყოფილება მ. ჯანაშვილს ეს პირობები თავის გამოცემებში? არ შეეძლო, რადგანაც იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის მისი ზემოთხაზოთვლილი გამოცემები, ჯერ კიდევ არ არსებობდა ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა, თუგინდ იმ სახით და გაგებით, რომელიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება, თან არც ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონე იყო ჩვენში მაშინ ისეთი, რომ ამრწმუნრავი და ზუსტი ცნობა ყოფილიყო მოსალოდნელი ამათუმი ძეგლის შესახებ, განსაკუთრებით თუ ეს ძეგლი ნათარგმნი იყო. სამაგიეროდ, რის გაკეთებაც კი შეეძლო იმ დროს განსვენებულ მკვლევარს, გაკეთებულა მის მიერ საერთოდ დამაკმაყოფილებლად, სახელდობრ: ის 1) იწვრდა ტექსტებს ზუსტად და უცვლელად, 2) უჩვენებდა მის ვარიანტებს, თუ ასეთები პოიბოვებოდა, 3) ურთავდა მას საჭირო შემთხვევაში ლექსიკური ხასიათის განმარტებებს. ამ თვალსაზრისით მისი გამოცემები არც ისე დნსაგმობია, როგორც მათ ჰგმობდა თავის რეცენზიებში განსვენებული ნ. შარია. თუ რაჲე ესაყვედურებოდა მას ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის, რომ ყოველთვის საუკეთესო ნუსხებს არ მიმართავდა გამოცემის დროს. ასე, მაგალითად, გიორგი ათონელის ცხოვრება მან გამოსცა 1733 წლის (A 170) ნუსხიდან, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციაში მას შეეძლო ეპოენა უძველესი, თვით XI საუკუნის და მომდევნო ხანის ნუსხები.

მ. ჯანაშვილს, რომელმაც დაგვიტოვა „ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე“ (1900 წ. „ქართული მწერლობა“ I), „ქართული მწერლობა“ IX — X საუკუნისა (1891 წ.), „ქართული მწერლობა XII საუკუნემდე“ („ივერია“ 1899 წ. №№ 98—103, 158—162), ორი წიგნი „ქართული მწერლობისა“ (1900 და 1909) და ორი „ნაშრომისა“ (1907, 1910), არ უცდიშ ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი მიმოხილვა და არ დაუწერია მისი სისტემატური კურსი, თუ გინდ იმ სახისა და ღირებულების, როგორცაა მისი „საქართველოს ისტორია“ (1906) და „История грузинской церкви“ (1898). მართალია მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „Царица Тамара“ (1900 წ.), ჩვენ ვპოულობთ თავს, — Краткий обзор грузинской истории и литературы до эпохи Тамары (стр. 1—24), მაგრამ აქ მხოლოდ რამდენსაჲე გვერდზე (19—22) ავტორს გაკერით

¹⁾ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXII.

აღნიშნავს ზოგიერთი თხზულება და მნიშვნელოვანი ხელნაწიშნა-რის წინადართისა, აგრეთვე საგანმანათლებლო ცენტრები და საზღვარგარეთ, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად ის ლაპარაკობს სხვა თავის შრომაში — „Грузинские обители вне Грузии“. ზემოდასახელებულს თამარის ისტორიაში, მეათე თავში (გვ. 73 — 93), მას თითქოს განუხრახავს ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის მიმოხილვა, მაგრამ, პროფ. ა. ცაგარელის შრომიდან ამოღებული ორიოდ ცნობის შემდეგ, ის ჩერდება საგანგებოდ რუსთაველზე და მთელი რვა გვერდი დაუყვებია პ. იოსელიანის ზოგადი, ცნობილი მსჯელობით ვეფხისტყაოსნის ღირსების შესახებ.

განსვენებულს აინტერესებდა ცალკეული პრობლემები და დარკები ძველი მწერლობისა, რომლებზედაც ჩვენ შეეჩერდებით. ჩვენს მიმოხილვაში არ შევედენ საისტორიო მწერლობის პრობლემები და ძეგლები, რომელთაც, განსაკუთრებით მათიანებმა, შთანთქმეს დიდი წილი მ. ჯანაშვილის შემოქმედებითი ენერჯისა.

ერთერთი საკითხი, რომელიც განსვენებულს საგანგებო ყურადღებას იპყრობდა, არის საკითხი ქართული ბიბლიისა და მისი გადმოთარგმნის შესახებ. მ. ჯანაშვილს აინტერესებდა როგორც ცალკეული ბიბლიური წიგნები, ისე მთელი ბიბლია. ცალკეულ წიგნთაგან მას განუხილავს „დავითნი“ (ივერია 1899, № 27) და „სახარებანი“: მეტეხის სახარება 1049 წლისა (ივერია 1892 წ. №№ 76, 79, 80, Кавказ' 1892 r № 88). განსაკუთრებით კი ე. წ. ურბნისის სახარება (ივერია 1904 წ. № 21, ნაშრომი 11). ინტერესი ამ სახარებისადმი გამოწვეული იყო მისი თარიღით. ხ რ ი, რომელიც, როგორც ახლა ირკვევა, შემდეგშია მიწერილი და უჩვენებს 602 (ბერძნულით), 506 (ქართულით) წელს. მკვლევარმა შეადარა ზოგიერთი ადგილი ამ სახარებისა თანამედროვე ქართულს, სომხურს და რუსულს. ბერძნულს ტიშენდორფისეულს და ძველი ნუსხებისას A 18, S 405-ს, აღნიშნა მისი მცდარი წაკითხვები, ნაკლებოვანი ადგილები („ნაშრომი“ 11) და ბოლოს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების მინდობილობით თავიდან ბოლომდე გადაწერა ასომთავრული ხელით და გამოსაცემად დაანუხადა, თუმცა, არ ვიცო — რა მიზეზით, ის არ გამოსულა. „ჩვენ არ გესურს“, ამბობდა განსვენებულს, „სინამდვილეს წინ გაუსწოთ და ბლომა და მტკიცე საბუთების მოუფროვებლად რაიმე გადაპრილ აზრს დავადგეთ ურბნისის სახარების დედნის შესახებ“ (ნაშრომი 11, გვ. 63). რაც შეეხება მისი გადმოთარგმნის დროს, „ჩვენ ვერ დავიყენებთ“, ამბობს ის, რომ „ურბნისის სახარება იყოს გადაწერილი სწორედ 602 ან 506 წელს“ (გვ. 41), მაგრამ „დაუჯერებელი არაა, რომ ეს IX — X საუკუნის სახარება იყოს პირი 602 წელს ძველის დედნიდამ სიტყვა სიტყვით გადაწერილის სახარებისა“ (გვ. 41).

უწერია განსვენებულს აგრეთვე გიორგი ათონელის „სამოციქულოს“ შესახებაც (ივერია 1909 წ. № 32), მთლიან ქართულ ბიბლიას მ. ჯანაშვილმა მიუძღვნა წერილები „ჩვენს დროებაში“ (1912 წ. № 24), „სახალხო გაზეთში“ (1910 წ. №№ 175, 187) და განსაკუთრებით „ნაშრომის“ შესაქე წიგნში (გვ. 37 — 70). ამ უკანასკნელში ის ლაპარაკობს საგანგებოდ მის მიერ აღმოჩენილი ორი ნუსხის შესახებ (A 570 და 646), რომელნიც მეცნიერებაში შევიდნენ „ჯანაშვილისეული“ ეერსიის სახელით.

მისი სიტყვით, ამ ვერსიებში, რომელნიც გადმოთარგმნილნი არიან ადრე, ვიდრე 978 წლის ბიბლია, სახელდობრ — არა უგვიანეს VI საუკუნისა (გვ. 37, 38, 62), შენახულა განუწყენელად თავდაპირველი ტექსტი ქართული ბიბლიისა (გვ. 62). მეორე საკითხი, რომელსაც მკვლევარი სვამს, ასეთია: რომელი ძველისძველი მსოფლიო ვარიანტიდანაა თარგმნილი ეს თავდაპირველი ტექსტი? მკვლევარი ჩამოვეითვლის ბიბლიური ტექსტის სხვადასხვა რეკენზიას და ასკვნის, ყოველგვარი საბუთიანობის ვარაუდ, რომ „ქართული დაბალება თითქმის ყველგან 70-თა თარგმანია“ (გვ. 62). ავტორის შრომაში საყურადღებოა, ერთის მხრით, დასახელებული ვერსიების შედარება ერთის მეორესთან, აგრეთვე მცხეთისა და 978 წლის ბიბლიების ტექსტთან, მეორეს მხრე, იმათგან ძველისა და იშვიათად ხმარებული სიტყვების ამოკრება.

ბიბლიოლოგიაში მკვლევარისათვის დიდად მნიშვნელოვანია საკითხი ქართული ბიბლიის თარგმნის ორიგინალის შესახებ. ის დაუნდობელად თავგამოდებით ებრძვის ნ. მარის საბუთებს თავდაპირველი ქართული ბიბლიური ტექსტის სომხურიდან მომდინარეობისას, მკაცრი კილოთი ეკამათება დ. ბაქრაძესაც, რომელმაც ურბნისის სახარების ტექსტში აღნიშნა არმენიზმები და ასკვნის: „შეზომლად მცხოვრები ერები ცელტები იქნებოდნენ, რომ ერთმანეთისაგან არა ისესხნოთ რა, არა გადმოვლოთ რა. თუ ქართველები სთარგმნიდნენ სომხურიდანაც საჭირო წიგნებს, ქებად ჩაეთვლებათ. მაგრამ არ გვეცერა, რომ იერუსალიმიდან მოსულ წინოს იქ არ გაეცნო. ზედმიწევნით არ შეესწავლა ბერძნული სახარება და ამ სახარების თარგმნისათვის არ ეზრუნა საქართველოს მოქცევის შემდეგ, რომ საბერძნეთიდან ქრისტიანობისა და აგრეთვე სასულიერო იერარქიის მიმდებურს სახარებაც ბერძნებიდან არ მიეღო და ეს სახარება თავის ენაზე არ უთარგმნა ბერძნული საერთაშორისო და სამეცნიერო ენიდან, არამედ სომხურიდან, ენიდან იმ ერისა, რომელსაც ბერძენ-ქართველთა მსოფლიომ აღრიღებინა და უწყო ბრძოლა. როგორც „მწვალალებობის“ მომხრეს და გამლენიებელს“. („ნაშრომი“ № 2, გვ. 43 — 47, განსაკუთრებით 47).

მეორე დარგი უძველესი სასულიერო მწერლობისა, რომელიც ჩვენს მკვლევარს იზიდავდა, არის აგიოგრაფია; ეს დარგი ჭარბადაა წარმოდგენილი მის გამოცემებში, რომელიც ზემოთ ჩამოეთვალეთ. კლდეა-ძიების მხრივ ნათარგმნი აგიოგრაფიიდან მისი ყურადღების ცენტრში იყო „დიდი სინაქსარი“ გიორგი მთაწმიდელისა, რომელშიაც მას ინტერესებდა ისტორიული ცნობები როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ერებისა (ივერია 1898 წ., 1909 წ. № 35), და ანდრია მოციქულის „მიმოსვლა და ქადაგება“, ექვთიმე ათონელის მიერ გადმოთარგმნილი. ამ უკანასკნელი თხზულებით ის დაამტკიცესა განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის ცნობილმა გამოკვლევამ ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში, რომლის მთავარ დებულებებს ის ვერ ურაცდებოდა („ქართული მწერლობა“ II, 49 — 53, 80 — 82, 102 — 108) და ჭმ ცნობებით არღვევდა, რომელიც ამ ნათარგმნ თხზულებაში გვაქვს. განსვენებული მხედველობაში არ იღებდა, თუ ამ უკანასკნელში საიდან და როგორ გაჩნდა ეს ცნო-

ბები. უფრო მეტი გააკეთა მან ობიექტური ავთოგრაფიის¹ მას აინტერესებდა: 1) წმ. ნინოს ცხოვრება, რომელსაც პოლემიკური ხასიათის ნაშრომი „აღუადგინე“, სადაც გარჩეულია ეპ. თავისი შვილას გამოცემა ნინოს ცხოვრების შატბერდული რედაქციისა, შესწორებულმა ბევრი ადგილი გამოცემისა და აღდგენილმა მისი წარყვანილი ადგილები. 2) ესტატი შეხეთელის მარტვილობა. ამ მარტვილობას ავტორმა უძღვნა სპეციალური წერილი, რომელშიაც ის სცდილობს დაარღვიოს იე. ჯავახიშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი ამ ძეგლისა და მასთან დაკავშირებით ქართლის მეფობის შესახებ VI — VII საუკუნეებში (ქართული მწერლობა II, 108 — 119). 3) განსაკუთრებით მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ცხოვრება“ სერაპიონ ზარზმელისა. მართალია, ამ ძეგლიდან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში ავტორი ჯეროვნად ვერ ერყვეოდა, მაგრამ გამოცემა მისი, რომელშიც, გარდა სერაპიონის ცხოვრებისა, განხილულია ცხოვრება-მოღვაწეობა იოანე პეტრიწისა და ბევრი ქართულ მწერლობაში მისი ფილოსოფიური შრომისა („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“), არც ისე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც ეს ეჩვენებოდა განხილვებულს ნ. მარს, რომელიც ტრბო წერილში მწერდა: Жизнь Зарзиского строителя отвратительно издано, жемчужины сообщения в этом виде закрыты, извините за выражение, в навозную кучу надательского (с переписчиком отчасти) невежества. ასეთი შეფასება ამ გამოცემისა პასუხი იყო უფრო იმ კრიტიკული წერილებისა ნ. მარის წინააღმდეგ, რომელიც გამოცემულმა მოათავსა სერაპიონის ცხოვრებასთან ერთად და რომლის შესახებ ნ. მარა იმავე წერილში იწერებოდა: просмотрел критические статьи Джонашвили; какой кошмар! И это печаталось в двадцатом веке! И пишется! დამშვიდებულს სულიერ მღვთმარეობაში ის ალბათ უფრო ობიექტურად შეაფასებდა ამ გამოცემას.

შემდეგი დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომელშიაც განხილვებულს უწარმოებია კვლევა-ძიებითი მუშაობა, არის პიწნოვრადია ლიტურგიკა — პოშილტიკითურთ, ქართულ პიწნოვრადიას მიუძღვნა მან თავისი შრომა „საუნჯე მეთათ საუჯუნისა“ (1891 წ.). აქ განხილულია მიქელ ჰოდრეკოლის იადგარი (S 425) და მისი შინაარსი, ავტორი ეხება კრებულში მოხსენებულ პიწნოვრადებს და საგალობლებს, აქ მოცემულ ნოტებსა და ტერმინს „მეზური“, რომელიც, მისი გაგებით, ნიშნავს „სომხურს“. ლიტურგიკის დარგში მას აინტერესებდა იაკობ მოციქულის „ეპისტოლია“, რომლის ტექსტი მას თავისი ხელით გადმოეწერა თავის დროს. ამ საყურადღებო ძეგლს, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია და თარგმნილი რუსულად და ინგლისურად, მან ერთმა პირველთაგანმა მოაქცია ყურადღება და უძღვნა რიგი წერილებისა (ივერია 1897, №№ 258, 261, მისივე „ქართული მწერლობა მეთათ საუჯუნემდე“, 1900 წ.), რომლებშიაც ის სცდილობს გაარკვიოს რაობა თხზულებისა, დრო მისი გადმოთარგმნისა და მისი უძველესი ხელნაწერის (A 86) გადაწერისა. თუ ეს ცდა ცდად დარჩა მხოლოდ, იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ბერძნულად

ნისა და მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მისი მკვლევარის მწერლობიდან განსვენებულს ყურადღება მიუქცევია მისი ბოლნელის ქადაგებაათვის, ამოუკრებია ისინი სხვადასხვა ხელნაწერიდან (ათონის წესა ამ ქადაგებებისა მას არ სცოდნია) და აღუდგენია მთლიანი სახე ამ მოღვაწისა, როგორც მწერლისა.



არანაკლები შრომა გაუწევია განსვენებულს ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ამ მწერლობიდან მ. ჯანაშვილს, კლასიკური ხანა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ე. წ. აღორძინების, უკანასკნელზე ის სერიოზულად არ შეჩერებულა. აღორძინების ხანიდან ერთს წერილში ის იძლევა¹⁾ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას პეტრე ლარაძის „დილარიანის“ შესახებ (ივერია 1905 № 23), მეორე წერილში გადმოგვცემს შინაარსს პოემა „ვახტანგიალისას“ (საქართველო 1917 № 163), მესამე წერილში ათავსებს რეცენზიას დავით გურამიშვილის თხზულებათა გამოცემაზე. გარდა ამისა „აღლუზიანის“ ტექსტის გამოცემას მან დაურთო თავის დროისათვისაც მიღლებელი და გაუზიარებელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი, რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ აღლუზიანი ისტორიული პირია, რომელიც მერვე საუკუნის ნახევარში ცხოვრობდა²⁾.

კლასიკური პერიოდიდან განსვენებული არკვევს სარგის თმოგველის „დილარიანს“, ამირან-დარეჯანიანს, ვეფხისტყაოსანს და მეხოტბეებს. სარგის თმოგველის ჩვენამდე არ მოღწეული „დილარიანის“ ნაწილად ის სთვლიდა თავდაპირველად საზართა მეფეების, — ჯიმშერისა და მისი შვილის არმოკლას — ცნობილს ამბებს, რომელიც მან რუსულადაც სთარგმნა³⁾ და რომელსაც ის „პატარა დილარიანს“ უწოდებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა პეტრე ლარაძის „დილარიანი“, რომელიც მან სარგისის ნამდვილ „დილარიანად“ მიიჩნია, დარწმუნდა, რომ შემცდარი იყო (ქართული მწერლობა II, 128). ვახუთ „ტრიბუნაში“ (1823 № 506) მოთავსებულ წერილში ის ეკამათება ს. კაკაბაძეს და ამტკიცებს, რომ „დილარიანი“ არის ნაწარმოები არა მეცამეტე საუკუნის ნახევრისა, არამედ თამარის დროისა, და ავტორი მისი პრის სარგის თმოგველი. გარდა ტრადიციისა არაერთი საბუთი მას ამისათვის, რასაკვირველია, არ გააჩნია.

ამირან-დარეჯანიანის შესახებ მკვლევარი ლაპარაკობს საგანგებო ნარკვევში, რომელიც 1895 წელს გამოვიდა („მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“). აქ ის ამტკიცებს, რომ რომანი, რომელსაც თანახმად მან მიერ ნაჩვენები საფსებით დამაჯერებელი პარალელებია, დიდი გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსანზე, დაწერილია თამარის დროს მოსე ხონელის მიერ და ორიგინალური ნაწარმოებია. უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ მას მოჰყავს ისეთი არგუმენტები, რომელნიც ნ. მარზა თავის რეცენზიაში კატეგორიულად უარყო (ЖМНПрос. 1896 № 10). ამან გამოიწვია საპასუხო წერილი მოსე ჯანაშვილისა, — О происхождении

¹⁾ Сборник материалов, вып. XXII.

²⁾ Известия грузинских летописей и историков о Херсонисе, Готфии, Осетия, Хазарии, Дидоэтии и России, стр. 15—93 (Сборник материалов, вып. XXII).

грузинских классиков,¹ — რომელშიც ის ცდილობს დააბრუნოს ნ. მარის ბრალდებანი, და თავის მხრივ, იხილავს რა ნ. მარის შეხედულებებს ამირან-დარეჯანიანის საპარსული წარმოშობის შესახებ,² სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და არა ნაკლები კატეგორიულობით უარყოფს მათ. 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა „ცნობის ფურცელში“ (№ 2466) მოათავსა წერილი, რომელშიაც ნ. მარის შეხედულებებს გამოექმობა. საპასუხოდ იმავე წლის იმავე გაზეთში (№№ 2472, 2473) მ. ჯანაშიელმა მოათავსა წერილი, რომელშიაც უფრო აზუსტებს მარისადმი მიმართულ საპასუხო წერილში გამოთქმულს თავის დებულებებს, ექვს გამოსთქვამს, რომ „ყისია ჰამზა“ მოსე ზონელის ამირან-დარეჯანიანს გულისხმობდეს და უმატებს: „შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ თვით მოსე ზონელმა, მსგავსად „ყისია ჰამზისა“, თვით შესთხზა ამირან-დარეჯანიანი და მასში შეიტანა ცნობები შესახებ სხვადასხვა გმირებისა“ (ქართული მწერლობა, II, 129). ამის შემდეგ ის ამირან-დარეჯანიანის საკითხს აღარ დაბრუნებია.

არცერთ თხზულებას არ მიუძღვეია განსვენებული მკვლევარის იმდენი ყურადღება, რამდენიც ვეფხისტყაოსანს. ამის მიზეზი თავისთავად გასაგებია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც გიორგი ქართველიშვილის სახლში ჩამოყალიბდა ვეფხისტყაოსნის საგამომცემლო კომიტეტი და მოსე ჯანაშიელმა იმაში საპატიო ადგილი დაიკავა, მას გადაუცია კომიტეტისათვის საკუთარი ზელნაწერი პოემისა, რომელიც, მისი ცნობით („ტრიბუნა“ 1923 წ. № 469), გახდა „დედანი“ ქართველიშვილის გამოცემისა. ამიერიდან იწყება საგანგებო დაინტერესება პოემით ჩვენი მკვლევარისა, რომელიც მის შესახებ აქვეყნებს გამოცვლევებს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ ცალკე წიგნაკებად. 1896 წელს მან გამოსცა ნარკვევი „მოთა რუსთაველი“, რომელშიც შეჯამებულია სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზე. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 3, 47) ათავსებს სტატიას „რუსთაველის განმაქიქებელნი“, რომელშიც მოითხოვს მკვლევართაგან, პირველყოფელსა, პოემის ენის საფუძვლიან ცოდნას. 1900 წელს სცემს თხზულებას „Царица Тамара“ რომელშიაც, თავისი საკუთარი, თუ სხვათა სიტყვებით, ვეფხისტყაოსანის საკითხებსაც ეხება. 1904 წელს („მოაზრებში“ №№ 2, 3, 4) ათავსებს წერილებს „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“ (ეს წერილები ცალკე წიგნადაც გამოუშვა ავტორმა), რომელშიც პოემა განხილულია, როგორც ნამდვილი წყარო თამარ მეფის და მისი დროის ისტორიისა. 1910 წელს „ნაშრომის“ მესამე წიგნში მან მოათავსა ვრცელი წერილი „რუსთაველის გარემო“, რომელიც გაგრძელებაა „ქართულ მწერლობაში“ მოთავსებული შენიშვნებისა. ამ წერილში მოცემულია ახსნა-განმარტება ვეფხისტყაოსნის სიტყვებისა. დასასრულ 1923 წელს გაზეთ „ტრი-

¹ „Новое Обозрение“, 1896 г. №№ 4279, 4280, 4284, 4285, გადაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში“ II, 149 — 170.

² იგულისხმება ნ. მარის ორი ცნობილი წერილი.

³ გადაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში“ II, 133.

ბუნაში“ მან მოათავსა მთელი სერია წერილებისა „თამარ მეფის გზებზე-ბენი“-ს სათაურით, რომელშიაც შეჯამებულია მისი შეხედულებანი პოემის შესახებ). ამის შემდეგ სერიოზულად ის ეუფნისტყაოსნის საკითხებს აღარ დაბრუნებია. განსვენებული მტკიცე და ერთგულ დარაჯად უღვა ეუფნისტყაოსანს, იქამდის, რომ ყველა, ვინც სხვაფერო, მასთან შედარებით, ფიქრობდა მის შესახებ, პოემის შემარყენელად მიიჩნეოდა და თავგამოდებით ებრძოდა. ეს ერთგულება გადაჭარბებამდის კი მიიღოდა; მაგალითად, თეიმურაზ პირველის სახით მან აღმოაჩინა საშინელი „შემრყენელი“ პოემისა, რომელიც რუსთველს ბრალსა სუბებდა იმაში, რომ მას თითქოს არ სჯეროდა „ქალწულს ქალწულობით ძე უშოსო“ (ნაშრომი № 3, გვ. 3). ეს „განქიჭება“ თეიმურაზისა შედეგია, იმისა, რომ ვერ არის გეროვნად გაგებული რუსთველის სიტყვები „არჩილიანის“ შეცამეტე პასუხში (სტრფ. 139, ტ. I, გამოცემა ა. ბარამიძისა).

მთავარი პრობლემები რუსთველოლოგისა, რომელიც მ. ჯანაშვილს ეკანგებოდ აინტერესებდა, არის: 1) ავტორი პოემისა, 2) დრო მისი დაწერისა, 3) პოემის ორიგინალობა, 4) პერსონაჟები პოემისა. ამ საკითხების შესახებ ის ყოველთვის ერთი აზრის არ ყოფილა, მისი შეხედულება მათ შესახებ ევალუაციას განიცდიდა, საბოლოოდ კი მან მიიღო ის სახე, რომელიც წარმოდგენილია „ტრიბუნაში“, სახელდობრ: 1) ავტორი პოემისა არის მესხი შოთა თორელი ანთავანოსძე, თანამედროვე თამარისა და დავით სოსლანისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში (1155—1226 წ.), ეუფნისტყაოსნის გარდა, დაუწერია აგრეთვე „თამარიანი“. 2) პოემა დაწერილია თამარის სიკვდილის წინაწლებში, 1215 წლის მახლობლად. 3) ის უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია, რადგანაც 4) იმაში მოცემულია ზუსტი ისტორია თამარის ტროის საქართველოსი და მაშინდელი მესხულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისა. მის შეხედულებებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია პოემისა, რომელიც პირდაპირ უკიდურესობამდე დაყვანილი, ერთხელ, სამბობს მკვლევარი, კინალამ არ გავიყოლია რუსთველოლოგების იმ ბანაკმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნესტან-დარეჯანად პოემაში გამოყვანილია თამარ მეფე, ხოლო ტარიელად დავით სოსლანი („ტრიბუნა“ 1923 წ. № 469). არა, ავხალბებს ეს, თამარი და დავით სოსლანი არიან არაბეთის ავთანდილი და თინათინი, ხოლო ინდოეთის ტარიელი და ნესტანი — სპარსეთის უკანასკნელი სელჩუკიან შაჰი ტოღრილი (= ტარიელი), რომელსაც დაბმარებას უწევენ მისი ტანტის (= ნესტანი) მიმტაცებელთა წინააღმდეგ თამარი და სოსლანი (= თინათინ-ავთანდილი). მიუხედავად ასეთი კატეგორიული განცხადებისა, მკვლევარისავე სიტყვებიდან ჩვენ ვტყუობილობთ, რომ ტარიელი და ნესტანი, რომელნიც ერთსადაიმავე სამეფო გვარს ეკუთვნიან და ერთად-ერთი მემკვიდრენი არიან უძეოდ გარდასული ფარსადანისა, წარმოადგენენ ალეგორიას თამარისა და დავით სოსლანისას, რომელნიც ბავრატითა სამეფო გვარის არიან და ერთადერთი მემკვიდრენი უძეოდ, დარჩენილი გიორგი მეფისა.

მე აღარ შევჩერდები განსვენებულის სხვა შეხედულებაზე რუსთველოლოგიაში, რადგანაც ამის შესახებ ლაპარაკი მაქვს სხვა ადგილას, ადენიშ-

1) №№ 459, 472, 476, 478, 481, 483, 490, 499, 502, 506, 509.

2) ქართული ლიტერატურის ისტორია II, 109—155.

ნავ მხოლოდ, რომ როგორც კარ უნდა ვუდგებოდეთ დღეს ჩვენ ამ მიზე-
დებებს, განსვენებულის რუსთველოლოგიურ შტუდიებს (საქართველო-
თა-
ვის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში იმ მხრივ,
რომ ის აღვიძებდა და აღვირებდა ინტერესს პოემისადმი და სტიმულს
იძლეოდა საკითხზე ღრმად დაკვრებებისა და კვლევა-ძიების ს.კ.მ.ში ახა-
ლი ნაბიჯების გადადგმისას. თუ მისი ისტორიულ-ლიტერატურული მოსაზრ-
ებანი რუსთველოლოგიის დარგში, ზოგიერთები არასაკვირველია, მასზე
ხანგრძლივნი არ აღმოჩნდნენ, მისი ლექსიკოლოგიური შტუდიები, რო-
გორცაა პოემის კლარჯულ-ინგილოური გლოსები და არაბიზმები (ტრიბუნა
1923, №№ 483, 490, 499) გინა თუ სიტყვათა განმარტებანი (საშრო-
მი № 3, გვ. 7 — 36), არასდროს, ყოველ შემთხვევაში დიდხანს, არ და-
კარგავენ მნიშვნელობას და ღირებულებას.

კლასიკური პერიოდიდან ეფეხისტკოსნის შემდეგ მ. ჯანაშვილი დიდი
ეურადღებით ეპყრობოდა ხოტბებს: აბღულ-მესიანსა და თამარიანს. ამ
თხზულებებს, ეფეხისტკოსნთან ერთად, ის სთვლიდა თამარ მეფის ნამ-
დვილ-ისტორიად, ამიტომ მათ დიდ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში
„თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“.

აბღულ-მესიანის შესახებ მას მოუთავსებია წერილები ჯერ 1902 წელს
გაზეთ „ივერიაში“ (№№ 160, 162, 167). აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ის
უფრო ახუსტებს ამ ოდის ორს გამოცემაში (1915 და 1920 წ.), ხოლო
საბოლოოდ აჯამებს მათ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“. (№№ 463, 464).
ის თავგამოდებით ებრძვის ნ. შარის შეხედულებას, რომ თხზულებაში შე-
ქებულია მხოლოდ დავით აღმაშენებელი და ის დაწერილია ამ მეფის
თანამედროვის შავთელის მიერ, გულის ტყვიულს გამოსთქვამს, რომ ასეთ
რამეებს სკოლებშიაც კი ასწავლიან ბავშვებსო. მისი შეხედულებით,
თხზულებაში შექებულია თანარი და დავით სოსლანი, იოანე შავთელი
არის თამარის თანამედროვე შავთელი, რომელსაც თავისი ოდა დაუწერია
დავითის მოწვევის განამართლებლად. ოდის გამოცემათა მნიშვნელოვან
შიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ტემსტრალური შენიშვნა-განმარტებანი და
ლექსიკური ხასიათის კომენტარები, რომლითაც ავტორ-გამომცემელს
უხვად შეუმკვია ეს გამოცემანი.

თამარიანის შესახებ მკვლევარი ლამარაკობს ჯერ 1902 წელს „ივერია-
ში“ (№№ 188, 199, 204, 223) და მერე 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“
(№ 466). ავტორი არ იზიარებს ნ. შარის მიერ ამ თხზულების ცალკეულ
ოდებად დაყოფას, უწევნებს სტროფების იმ თანამიმდევრობას, რომე-
ლიც ახასიათებდა თხზულებას თავდაპირველად, და არკვევს, რომ თხზუ-
ლება ღამთავრებული უნდა იყოს 1212 წელს. ერთ რამეში ის ეთანხმება
ნ. შარს, სახელდობრ იმაში, რომ „თამარიანი“ და „ეფეხისტკოსანი“ არის
ნაწარმოები ერთი აღამიანისა — შოთა რუსთველისა, მხოლოდ, თუ ნ. შა-
რის რუსთველის გვარად „ჩაბრტხადე“ მიაჩნდა, მ. ჯანაშვილს, „ჩაბრუ-
ხადე“ მიაჩნია იოანე შავთელის. აბღულ-მესიანის ავტორის, გვარად, რა-
ტომ? იმიტომ, რომ აბღულ-მესიანი თამარიანზე აღრეა დაწერილი, დაწე-

რილია ის „ჩახრუხაული“ ლექსით, აქედან, მაშასადამე, ჩახრუხაული-დანაც წარმოდგა ტერმინი „ჩახრუხაული“, იყო გვარი შეათქმულა ასეთია ზოგად ხაზებში ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის პრომები და შეხედულებანი მოსე ჯანაშვილისა.

ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ორიოდ სიტყვით მაინც არ აღვნიშნავდით მოსე ჯანაშვილის ღვაწლს ქართულ ფოლკლორისტიკაში. ის გულმოდგინედ კრებდა, ამზეურობდა და ამუშავდა ხალხური შემოქმედების მდიდარ ნიმუშებს, სახელდობრ: აპოკრიფებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, გარდმოცემებს და თქმულებებს.

პირველ ყოვლისა განსვენებულს ყურადღება მიუქცევია აპოკრიფთა იმ კრებულისთვის, რომელიც გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ მარიამისეული ქართლის ცხოვრების დამატებად (გვ. 786—846). ამ წიგნში, რომელიც წარმოადგენს ე. წ. „განძიბა ქუაბს“, მ. ჯანაშვილმა დაინახა ქართლის ცხოვრებაში მოხსენებული „ნებროთის წიგნი“, თუმცა ის, აპოკრიფი, თვითონ მიუთითებს „ნებროთის წიგნზე“, როგორც სხვა, დამოუკიდებელ წარმოებზე. მან სთარგმნა რუსულად ციკლი აპოკრიფებისა, როგორცაა „საკითხავი იდამისა და ევას სამოთხით გამოსვლისა“, „დაბადებაჲ ცისაჲ და ქუეყანისაჲ“). „ნებროთიანს“ ის ეხება კიდევ წერილთა იმ სერიასში, რომელიც მან მოათავსა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“: „ერან-თურანთა ტალღა, ნებროთიანი, როსტომიანი“ (№№ 98—103, 158—165).

განსვენებული უფრო მეტად აქცევდა ყურადღებას ამირანის ციკლის თქმულებებს, რომელთა შესახებ მან მოათავსა რიგი წერილებისა „ივერიაში“ (1899 წ. №№ 239—241, 244—245), მერე რუსულადაც აქნა თარგმნილი მის მიერ¹⁾. ამ თქმულების სვანურ ვერსიას ის სპეციალურად შეეხო რუსულ ენაზე²⁾.

„ამირანიანი“ მას მიაჩნდა უძველეს, ელინთა პრომეთეს პარალელურ მოვლენად.

ლეგენდათა ციკლიდან განსვენებული საგანგებოდ გვაცნობს სამს ნაწარმოებს, ესენია: 1) დიდი ხორეშანი (ივერია, 1887, № 93), 2) ხორნაბუჯის ციხე (სახალხო ფურცელი 1915, № 259), 3) Легенда о кахетинском море³⁾. გარდა ამისა, თბუღლებაში „Царица Тамара“ (1900 г.) ის ლაპარაკობს რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ცნობელი ლექსის შესახებ და კატეგორიულად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ აქ დიდი თამარი იტულისხმებოდეს, მისი ჰიპოთეზითა, ლერმონტოვის თამარი ღნდა იყოს შეჩვიდმეტე საუკუნის ქალები: ან თეიმურაზ პირველის ასული ნესტან-დარეჯანი, ან, უფრო, შაჰნაოზის (ვახტანგ V) ძმის შვილი⁴⁾ თა-

¹⁾ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX.

²⁾ Грузинския предания об Амირани, Сборник материалов, вып. XXXII.

³⁾ Сванетская версия легенды об Амირани, „Кавказ“, 1896, № 261.

⁴⁾ Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества, вып. XIV, газ. „Кавказ“, 1896, № 182.

მარი, რომელიც დასავლეთ-საქართველოში მეფე-მთავართა კმეფეძე ქმელში გადადიოდა (სრ. 35 — 38). ლეგენდათა ციკლს ემუქმება „ქმეფეძე ვანი“, რომელსაც მან უძღვნა წერილი (სახალხო ფურცელი 1915 № 256). წერილში „მზე“ (ივერია 1909 წ. № 14) მკვლევარი გვაცნობს ხალხურ მითებს მზისა და მთვარის შესახებ. განსვენებულს ყურადღება მიუქცევია აგრეთვე ზღაპრებისათვისაც. მისი ინტერესი ხალხური შემოქმედების ამ ეპოქაში გამოვლენდა იმ რეცენზიაში, რომელიც მან უძღვნა ს. შერვეილადის მიერ შეკრებულ „ხალხურ ზღაპრებს“ (ივერია 1902 № 277), განსაკუთრებით კი თვით მის მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ „ინგილოურ ზღაპრებში“. თავდაპირველად მან თარგმნა რუსულად ექვსი ინგილოური ზღაპარი¹⁾, მერე კი თავის კაპიტალურ „საინგილოში“ (მკვლელი საქართველო, ტ. II, განყ. IV) მოათავსა 15 ზღაპარი და თქმულებანი „მოლა მასრადინისა“ და „თამარ დედოფლისა და ალექსანდრე მაკედონელის“ შესახებ (გვ. 181 — 221).

მე აღარ შეეჩერებები მოსე ჯანაშვილის სხვა უამრავ შენიშვნასა და კრიტიკულ წერილზე, რომელნიც არსებითად წარმოადგენენ შემოადინებული მისი შრომების pendant-ს. საჭიროდ ვთვლით, დასკვნის სახით, ვაჩვენოთ ის ადგილი, რომელიც ეკავა ჩვენს მეცნიერებაში ამ უდავოდ ნიჭიერს, ენერგიით აღსავსეს, გონებაბამხელს და სამშობლოსადმი უსაზღვრო და უზადო სიყვარულით განმსჭვალულ მოღვაწეს.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც სამეცნიერო ასპარეზზე გამოდის აწ განსვენებული ნ. მარი, ჰუმანიტარულ ქართველოლოგიაში ჩაისახა ორი, ერთი მეორის მოპირდაპირე, ბანაკი, რომელთაც მიმდინარე საუკუნეში მკვეთრად ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე შიიღეს. ერთი იყო ე. წ. „პეტერბურგის შკოლა“, რომელსაც სათავეში უდგა თვითონ ნ. მარი. ეს შკოლა სტილიზირდა ქართველოლოგიაში რეალ-კრიტიკული მეთოდის მომარჯვებას, მას საქართველოს წარსული შექყავდა, როგორც მისი წარმომადგენელი ამბობდნენ ხოლმე, „ზოგად-კავკასური ფილოლოგიის ფართო ფარვატერში, სავსებით გარკვეული ორიენტაციით „წინააზიის“ მსოფლიოზე. მეორე ბანაკმა სახელმწიფოებრივად გაიზარდა ბროსესაგან შეთვისებული, 17 — 18 საუკუნეთა ქართველი მეცნიერ-მწიგნობრების თეორია, რომელიც ბროსეს დროს გადაჭარბებით აკმაყოფილებდა აღმოსავლეთმცოდნეობის მოთხოვნილებას არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც. ეს თეორია, უმთავრესად ტრადიციაზე დამყარებული და ამიტომ საგრძნობლად ცალმხრივი, საქართველოს წარსულს იღებდა, განსაკუთრებით ბროსეს მიმდევართა შრომებში, განცალკევებულად, იზოლირებულად აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყანათა წარსულისაგან, ანდა, თუ მიმართადა იმას, მშობლიური წარსულის უბირატესობის საილიუსტრაციოდ უმთავრესად. ამ მეორე ბანაკის ლოზუნგი იყო „მაქულიშვილობა მეცნიერებაში“, პირველის კი ნ. მარის სიტყვები, მგოსნის აკაკისადმი მიმართული: **ученый перестал бы быть ученым с момента, когда он решил бы скрыть научную**

1) Сборник материалов для описания, вып. XXXII.

правду потому, что она, положим, оказалась вредной его сородичам, не говоря уже о том, что если бы он не совершил этого, то не от правды, а от игнорирования ее. ამ ორ ბანაკს შორის გაჩაღდა, განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნეში, დაუნდობელი ბრძოლა, ეს იყო ბრძოლა, თუ შეიძლება ითქვას, „მამათა და შვილთა“ შორის, ახალსა და ძველს შორის, მსგავსი იმ ბრძოლისა, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის. ეს ბრძოლა ზოგჯერ მეცნიერთათვის შეუფერხებელ ფორმებსღებულობდა. მოსე ჯანაშვილი ამ ბრძოლაში გამოდის „მამათა“ მუბაირახტრედ და სულს ჩამდგმულად. ამით აიხსნება, რომ იშვიათად გამოდიოდა მისი ხელიდან ისეთი რამე, რომელიც ნ. მარს თავისი პოზიციებიდან არ უარეყო. მსგავსად იშვიათად გამოსულა რომელიმე შრომა ნ. მარისა, რომელიც მოსე ჯანაშვილს, ამათუიმ ხაზით და მიმართულებით, არ გაეცილოს, და არა მარტო ნ. მარისა, არამედ მისი შევირდებისაც, ყოველ შემთხვევაში სანამ უკანასკნელი ახლად შექმნილს თბილისის უნივერსიტეტში არ მოიყრიდნენ თავს სამუშაოდ. ამ პოზიციებზე დარჩნენ ორივე ბანაკის მუბაირახტრენი, სანამ უღმობელმა სიკვდილმა ორივეზე თითქმის ერთდროულად არ მოაშორა სამეცნიერო აპარატს ამ ადრე წლის წინათ.

ფიქრობ, ორივე ბანაკი აჭარბებდა: მამულიშვილობა მეცნიერებაში ატყაფებულია, მგრამ იმ პირობით, თუ ის იქნება სტიმული მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არა მეთოდის მისა. მ. ჯანაშვილის სასახელოდ მაინც უნდა ითქვას, რომ, მის ბანაკში მყოფთაგან განსხვავებით, მას მამულიშვილობასთან ერთად ატყაფებულა მიაჩნდა პირველწყაროების ცოდნაც. აი მისი სიტყვები: „ჩვენ თანამდებნი ვართ წმიდა ეროვნულ საუნჯეს ხელეფით არა თუ მარტო მოწიწებით და მოვრძალებით, არამედ დაზურგულნი მაშტა, სამხადისითა და ცოდნით. ეხმარობ მაშტას, რადგან სრულის ცოდნის ქონა ქართულ-მეტყველებისა დღეს თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვმადია საკუთარს სამეცნიერო აკადემია, არ გვაქვს კაი ლექსიკონები, არ გამოგვიცია ქართული ბიბლია, და სხვა წიგნები, არ შეგვისწავლია ქართული ენა და კლოკაეები, არ გამოგვიცია საგზირო და სახალხო ნაწარმოებნი, არ გვაქვს ხელში მეცნიერულად შემუშავებული ისტორია ქართველი ერისა, მისი კანონმდებლობა და ეკვეითარი საბუთები მისი ცხოვრებისა და ყოფაქცევისა ცნობაში მოყვანილი, განმარტებულ-განმარტვლული არ მოგვეპოვემა“ („ნაშრომი“ III, 5). ამ სიტყვებს ის 1910 წელს სწერდა. მას შემდეგ 34 წლიწადი გაიდა, ახლა ჩვენ შეგვიძლია სიამაყის გრძნობით ჩავსახნოთ მას საფლავში: ჩვენ დღეს უკვე გვაქვს, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან, სამეცნიერო აკადემია, მაშასადამე, ამასთან დაკავშირებით, გვექნება კარგი ლექსიკონები, კარგი გამოცემანი ბიბლიისა და სხვა თხზულება-დოკუმენტისა, შესწავლილ იქნება ქართული ენა და მისი კლოკაეები, დამუშავდება ქართული ისტორია და ლიტერატურა, და ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენს მოვალეობას როგორც მეცნიერების, ისე შენს წინაშე დაუფიქარ და უკვდავ იყოს შენი სახელი ქართველ მეცნიერთა შორის!

მ. კახიანი

ვანო სარაჯიშვილი

20 წელია მისი გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ თითქო ახლაც ჩვენ წინ დგას მხარბეჭიანი, წერწეტა ჭაბუკი და თვალმინაბული მღერის: ხუჭუჭა თაყი ოდნავ გვერდზე მიუღია, წარბი შეუკრავს და შუბლის ნოკში მთელი სევდა-კაეშანი ჩაუფრქვევია. მოწყვეტილი მკლავი გულმკერდზე უძევს. პანგი იცვლება, მაშინ ცალი წარბი მონაგარდე მერცხლის ფრთასავით აისხლეტს და ასხეპილი თითები უფრო ძალუმად სწვდება მკერდს; თითქო აპა, უნდა მოკლიჯოს გული საგულეს და საღხს ესროლოსო. ეს სიმღერა კი არა, სასწაულებრივი აღგზნებაა სულისა და გულის:

მან გასათვარი ოსტატობით განასხივოსნა ჩვენი პანგი—ხან ნიაევიით მსუბუქი და იდუმალი, ხან თერკივით მგრვეინავი და ბობოქარი. ქართული სიტყვის ატფერებას ჯადოსნური ძალა მოჰგვარა. ვანო სარაჯიშვილმა შექქმნა ქართული საოპერო სიმღერის სტილი და იდეალური ქართველი მომღერლის ტიპი.

თუ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე და ვიქტორ დოლიძე ეროვნული ოპერის ფუძემდებელნი არიან, ვანო სარაჯიშვილი ამ ოპერის მიმრქმელი, პირველი მერცხალი და მებაიარაბტრეა. თუ მელიტონ ბალანჩივაძე ქართული რომანსის მამამთავარია, ვანო ამ რომანსის პირველი უბადლო შემსრულებელი და პოპულარიზატორია. ამავ დროს ვანო სარაჯიშვილი არის ქართული ხალხური სიმღერის სული და გული. მან პირველმა გაიტანა უცხოეთში ჩვენი „ურმული“, „ოროველა“, „ინდი-მინდი“ და ახახელა ჩვენი სამშობლო. ამიტომ ვანო ქართული პანგის სრულყოფილი კლასიკოსია. მისი სახელი ისევე სადად და დიდებულად უღერს ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში, როგორც ილიას, აკაკის, ვაჟას სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ეს ჟამთა ვითარებამ ცხადჰყო და რაც დრო გაივლის, უფრო მეტად ცხადი გახდება...

ვანოს პაპა მიხეილ სარაჯიშვილი კავკასიის მეფის ნაცვალ მ. ს. ვორონცოვის მეგობარი იყო. აწარმოებდა აღებ-მიცემობას, აწვდიდა რუსის ჯარს სანოვაგეს. გაკოტრდა. ვორონცოვი წამოეშველა, მეგობარი ფეხზე დააყენა. მიხეილის შმა, სოლომონი თბილისის ქალაქისთაყი იყო. 1837 წელს, პუშკინის მკვლელობის შემდეგ, იმპერატორი ნიკოლოზ I „თბილ ციზ-ბირს“ — საქართველოს ეწვია. თბილისში გამართულ ბალზე მან პირველად იცეკვა პოლონეზი სალამაზით განთქმულ მართა სოლოღამვილთან, ხოლო 7. „მნათობი“, № 12.

შემდეგ სლომონის მეუღლესთან, რომელიც არ ჩამოუვარდნარც მშაყის სილაშაზით. ვანოს ნათესავი იყო ცნობილი მრეწველი დამამუშავებელი დ. ზ. სარაჯიშვილი (1843 — 1911 წ.) მან პირველმა შემოიღო რუსეთში კონიატის დაყენება. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ა. ვაგნერმა, თავის ყოფილ მოწაფეს დ. ზ. სარაჯიშვილს მიუძღვნა 200 გვერდიანი ნაშრომი — „მიწადმოქმედი და მრეწველი ქვეყანა“ (1902 წ. ბერლინი). ვანოსვე ნათესავი იყო განთქმული საზოგადო მოღვაწე, მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი და ბოლოს „ივერიის“ რედაქტორ პლექსანდრე სარაჯიშვილი (1851 — 1914 წ.). ვანოს ბიძაშვილმა, შესანიშნავი ხმის მქონე ევგენიამ, ერთად ერთმა ქართველმა ქალმა, დიდის წარმატებით დაამთავრა 1897 წელს თბილისის სამუსიკო სასწავლებელი. შემდეგ იგი მღეროდა და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პეტერბურგში, აქვე გათხოვდა ჩუბინი-შვილზე (ცნობილ ლექსიკოგრაფის შვილზე) და დასახლდა საპუდამოდ. მისი და ეკატერინე პროფესიონალი პიანისტი იყო. ევგენია და ეკატერინე მონაწილეობდნენ 1900-იან წლებში ფილ. ქორიძის კონცერტებში. მათი ძმა — ალექსანდრე ამ ბოლო დრომდე მუშაობდა რეჟისორად თბილისის საოპერო თეატრში. ვანოს ბიძა იყო სარაჯიშვილი ძველი საერო და სასულიერო კილოების შესანიშნავი მცოდნე იყო. ახლო კავშირი ჰქონდა ცნობილ კარბელაშვილებთან. დიდი ღვაწლი მიუძღვის „კარბელაშვილის“ შენახვა-გავრცელებაში. ვანოს ბიძაშვილი ივანე თედორეს-ძე სარაჯიშვილი იყო თბილისის სამუსიკო სასწავლებლის პროფესორი, ჩელოს განთქმული დამკვრელი და მასწავლებელი. ბევრი ჩინებული მუსიკოსი აღზარდა. დიდად სახელმძღვანელო იყო (გარდ. 1898 წ.). ვანოს მრავალრიცხოვანი დამაყვლა მღეროდა. განსაკუთრებით განირჩეოდა ჩინებული კონტრა-ალტოს მქონე უმცროსი, და სოფიო, რომელთან ერთად ვანო ხშირად მღეროდა ხალხურ სიმღერებს.

ვანოს მამამ პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილმა (1823 — 1887 წ.) დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი 1844 წლის 20 ივნისს. იგი პირველი ქართველი ინჟინერ-ტექნოლოგია. სამშობლოში დაბრუნებისას პეტრემ შოვა ნიდავაი თვისი სპეციალობის გამოსაყენებლად და 1845 წლის შემოდგომიდან დაინიშნა სიღნაღში მასწავლებლად. შემდეგ პეტრემ კერძო პანსიონი გახსნა, ბოლოს ნოტარიუსობას მიჰყო ხელი. 1876 წელს 53 წლის პეტრემ მეორედ დაიწერა ჯვარი თელავში თავის სლომონ რუსი-შვილი-ყორჩიბაშის ასულ ეფემიაზე. ეფემიასაგან პეტრეს „სული შვილი მიეცა: ანდრო, ვანო (მომღერალი), გიორგი, ილია, სოფიო.

ვანო სარაჯიშვილი დაიბადა 1879 წლის მაისის პირველს სიღნაღში.

პეტრე სარაჯიშვილს ნამდვილი ქართული თეატრი ჰქონდა: მომღებნი, მომღერალი, პერმარლიანი. მის ქერქვეშ, ნიდავს გაისმოდა ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერა. პეტრე კარგად უკრავდა თარს, ასწავლიდა ბავშვებს სალაშურზე ცეკვას. ამის წყალობით ვანომ შესანიშნავი ლექური იყო. პაწია ვანომ სიმღერა თითქმის დაპარაკთან ერთად ისწავლა. რ წლისა გამოცდილი ვეკაცოვით ამბობდა რთულ ხალხურ სიმღერებს. უფროსმა მამ ანდრომ და ვანომ საეკლესიო გალობა დაიწყეს ალექსანდრე ჩახნაშვილის (გარდ. 1938 წ.) გუნდში, რომელიც სიღნაღს ეკლებიაში მოღვაწეობდა. აქ ისინი შესანიშნავ მაგლობობად ითვლებოდნენ. კაბატე მომღერლებს დანარჩენ ძმებთან ერთად ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და

ნადიმებში. 1887 წელს პეტრეს გარდაცვალების შემდეგ სარაჯიშვილი თუხახი თბილისში გადმოსახლდა. 1888 წელს ანდრო და ვანო სარაჯიშვილებს სათავადანზაურო გიმნაზიაში მიაბარეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სასკოლო გუნდებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სასულიერო სემინარიისა და სათავადანზაურო გიმნაზიის გუნდები. 1888/89 სასწ. წლიდან გიმნაზიის გუნდს სათავეში ჩაუდგა ზაქ. ჩხიკვაძე. ნიჭიერი ლოტბარის წყალობით გუნდი დიდად დაწინაურდა: გამოდიოდა ეკლესიებში, მონაწილეობდა სასწავლებელში გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებში. ვანოს აღტაცებაში მოპყავდა დამსწრე საზოგადოება თავის მომაჯადოებელი ხმითა და უბადლო მუსიკალობით. მალე ზაქ. ჩხიკვაძემ იგი თანამემწედ გაიხადა. ძალიან ხშირად ვანო დამოუკიდებლად ლოტბარობდა. ზუსანიშნავია, რომ გიმნაზიის გუნდში ვანო ბანით მღეროდა (დამახასიათებელი მოვლენაა: მაგალ. განთქმული ბანი შალიაძინი სიჭაბუკეში პირველი ხმით მღეროდა).

გიკმაყი ვანო მთელს გიმნაზიის სულის ჩამდგმელი იყო. სადაც კი განდებოდა იქ წამსვე ივრიალებდა შესანიშნავი ხალხური სიმღერა და მთელი მოწაფეობა მოასკდებოდა. ვანოს ტანვარჯიშშიაც იწვიათად პყავდა მეტოქე. მისი სკოლის ამხანაგს ნიჭიერი-ლოტბარის მიხ. კახეაძის ცნობით „ორძელზე როგორც ფრინველი ისე თამაშობდა უშიშრად“. ეს ხუჭუქთმანი წერწეტა ვეკაცი შევარდენივით მოსწყდებოდა. თურმე ძელს, პაერში ბურთივით შეტრიალდებოდა და შორს ისარივით დაესობოდა. მომღერალ, მოცეკვავე, მოვარჯიშე ვანოს ხელის გულზე ატარებდნენ ამბანაგები. ჩინებული ქაბუკი არანაკლებ უყვარდა გიმნაზიის აღმინისტრაციასაც. პანსიონის წლიური გადასახალი გაუმესამედეს — 30 თუმნის ნაცოლად წელიწადში ათ თუმანს ახლევინებდნენ. წვრილშვილა ქვრივ ეფემიასთვის ეს დიდი ხელშეწყობა იყო, მზესავით შეპყურებდა თავის ნიჭიერ ვანოს. 1891 წელს ვანო გავიდა გიმნაზიიდან. სიმღერასთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. თავის ძმასთან გიორგისთან ერთად იგი კარგა ხანს მღეროდა რატის გუნდში.

I

ვანოს ბიძაშვილი პროფესორი თედორე სარაჯიშვილი 1880 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. იგი ჩელოს დაკრის პირველი ქართული პროფესიონალი-პედაგოგია. ახლოს იცნობდა პ. ი. ჩაიკოვსკის, უკრავდა მასთან თბილისში გამართულ კვარტეტებში. გიმნაზიაში ყოფნისას ვანო თავის ბიძაშვილთან სწავლობდა ჩელოზე დაკრას. 1898 წელს გარდაიცვალა ივანე სარაჯიშვილი. იმავე წელს ვანო ჩაირიცხა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში და გულმოდგინედ შეუდგა ჩელოზე დაკრის შესწავლას პროფ. ტალენტის ხელმძღვანელობით, რომელმაც ი. სარაჯიშვილის ადგილი დაიკავა. ხმის დამუშავება აზრადაც არ მოსვლია.

ქართული ოპერის მომავალმა ფუძემდებლებმა — ზ. ფალიაშვილმა და ე. სარაჯიშვილმა ერთად გაატარეს 1898/99 სასწავლო წელი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. ვანო დიდის წარმატებით გამოდიოდა აქ კონცერტებში, რასაც ატარებდა ხალხი ესწრებოდა. 1899 წლის 31 მარტს გამართულ კონცერტში მან შესანიშნავად შეასრულა გოლტერმანის „გრანდ დუო“ (ჩელოსა და ფორტეპიანოს დიდი დუეტი). მოსწავლისათვის ეს არც ისეთი

ადვილი საქმე იყო. 1899 წლის მაისში ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი და მოსკოვისკენ გაემგზავრა. იმავე წელს სამხედრო სასახურით ვაქცების მოახლოების გამო ვანომ თავი დაანება სამუსიკო სასწავლებელს და ჩაირიცხა მოხალისედ კავკასიის მე-3 ბატალიონში.

ჩელო უკან ჩამოდგა, მაგრამ ვანოს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუშვა. კავშირი ასათფ. ხშირად წამოავლებდა ხელს და ჭაბუკური გატაცებით უკრავდა ხოლმე.

ვინ იფიქრებდა რომ 25 წლის შემდეგ კვლავ შეპყრილია ბედი ამ მეგობრებს ხელოვანთა სასახლის თაღქვეშ? ვინ უწყვიდა რომ ზაქ. ფალიაშვილის პოეტური ოცნება შექმნიდა დიდებულ „დაისს“, და ეს ვანო სარაჯიშვილის სიცოცხლის მწუხრი გახდებოდა?



განთქმულმა მომღერალმა და ლოტბარმა სანდრო კავსაძემ 1897 წელს შესანიშნავი გუნდი შეადგინა. ამ გუნდში ვანო სარაჯიშვილი მიიყვანა მისმა სკოლის ამხანაგმა მიხეილ კავსაძემ. თვით შესანიშნავი ხმის პატრონი სანდრო მოაჯადოვა ვანო სარაჯიშვილის ვასაოცარმა ხმამ და მუსიკალობამ. მაგრამ გამოცდის დროს ბანით მომღერალმა ვანომ მოულოდნელად პირველი ხმა აიღო და სანდროს სიხარულით თავბრუ დაესხა. აქედან მოკიდებული იგი სისტემატურად მეცადინეობდა ვანოსთან და ხელს უწყობდა მის პირველ ხმაზე გადაყვანას. ვანო სანდრო კავსაძის გუნდის მშვენიება გახდა. დასწრე საზოგადოება მჭეხარე ტაშის გრიალით ეგებებოდა სანდრო კავსაძისა და ვანო სარაჯიშვილის „ურმულს“, „მთაო გაღმიშვის“, და გუნდის თანხლებით შესრულებულ სხვა სიმღერებს. კონცერტები უდიდესი წარმატებით ტარდებოდა შთელს საქართველოში. გაზეთები აპირაკენენ. საზოგადოება — უფრო მეტად. ზღაპრულ მღვევივით იზრდებოდა ვანოს სახელი. მაგრამ სანდროს გუნდში ჭაბუკ ვანოს ბევრი სიმწარეც უნახავს. ვინ მოსთვლის რამდენ მიცვალებულს გაჰყოლია იგი გალობით თოვლწყაპში და თავისი დიდებული ხმით ერთი-ორად გაუზრდია სამგლოვიარო პროცესია ძალაუნებურად ადევნებული მსმენელებით.

1900-იან წლებიდან მეტად აცხოველდა თბილისის მუშათა რევოლუციური მოძრაობა. დიდი სტალინი რკინიგზის მთავარ სახელოსნოში წრეებს ხელმძღვანელობდა. სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ხელი მიჰყო მუშათა გათვითცნობიერებას. ავქალის აუდიტორიაში, ნაძალ-დევის სპექტაკლები იმართებოდა. მუშა-მაყურებლის წინაშე დიდი წარმატებით გამოდიოდა სარაჯიშვილთა საოჯახო გუნდი, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. გუნდში შედიოდნენ: ვანო (პირველი ხმა), გიორგი (მეორე ხმა), ილია (ბანი), ანდრო (მაღალი ბანი), სოფიო (მეორე ხმა). გარდა ამისა ვანო შესანიშნავად ასრულებდა ცალფა სიმღერებსაც. რამდენიმე სიმღერა კონსტანტინე ჯაფარიძემ გადმოუთარგმნა რუსულიდან. მათ შორის „შენ ჩემო დილაგ“ საერთო აღტაცებას იწვევდა. განსაკუთრებული წარმატებით მღეროდა გუნდი ანტრაქტების დროს ავქალის აუდიტორიაში, სადაც შალვა დადიანი რეჟისორობდა. გუნდს არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა. საზოგადოების ერთსულოვანი გამოწვევით ვანო დაუცხრომელ ტაშის გრიალში იმეორებდა სხვადასხვა სიმღერებს.



უანო სარაჯიშვილის საოცარ ბუნებრივ ნიქს და დიდებულ ხმას ჯერ კიდევ გიმნაზიაში მიაქციეს ყურადღება. ახლა სანდრო კაცსაძესთან და თავის საოჯახო გუნდში გამოსვლების შემდეგ პირდაპირ მოსვენებას აღარ აძლევდნენ — სერიოზული შეცადინეობა დაიწყო. ხელმოკლეობა აბრკოლებდა. უანოს პირველი მასწავლებელი გახდა მისივე სათვისავე მომღერალი გიორგი ვახტანგის-ძე მაჩაბელი, რომელმაც პეტერბურგში მიიღო მუსიკალური განათლება. უანო დიდის გატაცებით შეცადინეობდა მასთან და მაჩაბელიც ძალღონეს არ იშურავდა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო მომავალი დიდი მომღერლის ბედის გადაწყვეტა. უანოს ერთი ახლო მეგობარი დიმიტრი ბახუტაშვილი იმ ხანად ხაზინაში მუშაობდა. იქვე მოინდომა უანოს მოწყობაც — საარსებო წყაროს გაიჩენს და უფრო სერიოზულად განაგრძობს შეცადინეობასო. უარი სტიკიცს. ერთხელ რომელიღაც ვაჩნაძეს წვეულება პქონდა. მას დ. ბახუტაშვილთან ერთად სახაზინო პალატის უფროსი მიხაილოვიც ჰყავდა დაპატივებული. ეს მიხაილოვი კულტურული, მუსიკის მოყვარული და ქართული საზოგადოების პატივისმცემელი კაცი იყო. არაფერს გააჩნდა, კარგად სცხოვრობდა. ბახუტაშვილმა უანო თან წაიყვანა — მიხაილოვი მოუსმენს და იქნებ საქმე გაიჩარხოსო. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უანოს სიმღერით მოჯადოებული მიხაილოვი ადგილს ვერ პოულობდა.

მიხაილოვმა ხაზინის ნაცვლად უანო სახაზინო პალატაში დანიშნა, კარგი გასამრჯელო დაუნიშნა და საქმეც მტკილ იოლი დაავალა. ერთხელ დავით სარაჯიშვილმა ილია ჭავჭავაძე და სხვა გამოჩენილი პირები მიიწვია უანოს მოსასმენად. აქ ფორტოპიანოს თანხლებით მღეროდა უანო.

დიდ ილიას გამიღილ შებღს ნათელი მოეფინა, წარბი გაეხსნა. ხოტბადიდებამზე ძუნწა პოეტმა მოკლედ მოსკრა:

— დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს სასწავლებლად. დახმარება დაენიშნება.

1903 წლის გაზაფხულზე თბილისის თავადაზნაურობის კომისიამ, ილიას თავმჯდომარეობით, სხვა მიზნოვნელთა შორის უანოსაც დაუნაშნა სტიპენდია.

1903 წლის ოქტომბრის დამდეგს უანო პეტერბურგში იყო.

1903 წელს პირველად გამოვიდა უანო პეტერბურგში საჯაროდ და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ამ თარიღის მიხედვით გადაუხადეს უანოს 1923 წელს ოცი წლის მოღვაწეობის იუბილე.

სხვა თანამემამულეებთან ერთად პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ცენტრებში უანო დიდის წარმატებით მონაწილეობდა განთქმულ „ქართულ საღამოებში“.

1904-5 წლ. ქართველ სტუდენტთა ერთმა წრემ პეტერბურგში განიზრახა ოპერა „დემონის“ ქართულად დადგმა. მელიტონ ბლანჩივამეს გრანდიოზული სკანდალის შექმნიდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არ დაიშალეს.

სინოდალის პარტია უანო სარაჯიშვილს უნდა შეესრულებინა. შესანიშნავდაც მოამზადა თავის პარტია, მაგრამ მისმა მასწავლებელმა პ. სევა-კარ-

ცევამ არასგზით არ მისცა სიმღერის ნება. გულდაწყვეტილმა ვანომ მაინც მიიღო მონაწილეობა ამ სპექტაკლში და თავის ჩოხა-ახალციხე... ჩვენი ქართული ლეკური დაუარა. წარმოდგენა დიდებულად ჩატარდა.

ამ გამარჯვებამ ფრთა შეასხა ქართველ ახალგაზრდობას. გადაწყდა პეტერბურგში ქართული საოპერო დასის შედგენა და სამშობლოში გამოგზავრება. ენო სარაჯიშვილი სხვებთან ერთად აღფრთოვანებით აწყობდა ათასგვარ გეგმებს. რეპერტუარში ნავიარაუდევი ჰქონდათ ნათარგმნი ოპერები „დემონი“, „სევილიელი დალაქი“, „ტრაეიატა“. მოსვენებას არ აღუდგინებდნენ მელიტონს — „თამარ ცბიერი“ დაამთავრეთ. (ეს მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოხერხდა). სამშობლოში ნიადაგის მოსამზადებლად გამოიგზავნა კოტე ფოცხვერაშვილი, რომელსაც ლობჯინაძე უნდა გაეწია. 1905 წლის ამბებში ჩაშალა ეს საქმე.

11

ჩვენი დიდებული აკაკი წერეთლის შვილი, ალექსი, ანტრეპრენიტობას ეწეოდა. 1904 წლის 27 ივლისს მისმა დასმა მოღვაწეობა პეტერბურგში განაახლა. ალექსი წერეთელმა სიამოვნებით მისცა გამოსვლები ენო სარაჯიშვილს. ჰაბუჯ ვანოს პირველად მოუხდა ფესის ადგმა „ბრწყინვალე ვარსკვლავებთან“. იგი მღეროდა განთქმულ მომღერალ ვან-დერ-ბრანდტთან.

1906 წლ. ზაფხულში პროფ. პანაევ-კარცევამ ენო იტალიურ დასში მოიწყო. რა მომავლოვებელი ხმითა და მუსიკალობით უნდა ყოფილიყო დიდი დიდებული 25 წლის ქართველი ჰაბუჯი, რომ იგი იტალიელებს პირველ პარტიების შემსრულებლად მიეღოთ თავიანთ წრეში და რუსულ საიმპერატორო თეატრის დასისათვის დაეპირისპირებიათ? ვანოს „ტრაეიატაში“ მოუხდა პირველი გამოსვლა ტიტა რუფოსთან ერთად. მქუხარე ტაშით შეეგებნენ. იტალიელ მომღერლებს აოცებდათ ვანოს შესანიშნავი „ბელკანტო“.

ენოს მაშინდელი წარმატებისა და დახელოვნების ნათელსაყოფად, მრავალ რეცენზიათა შორის მოგვეყვას მხოლოდ ორი ამონაწერი. 1906 წ. ვახ. „ბირევევი ველომოსტი“ სწერდა:

„გულში პეტროვისკის სასწავლებლის დარბაზში გაიმართა კონცერტი. დილა წარმატება ჰქონდა ტენორ ბ-ნ სარაჯიშვილს, რომელმაც ტემპერამენტით შეასრულა არია „მარგალიტის მადიებლებიდან“ და მთელი რიგი რომანსები ბისზე გამოწვევით...“

სხვა კონცერტის შესახებ იგივე გაზეთი სწერდა:

„...შემსრულებელთა შორის იყვნენ ნიჭურნი და უნიჟონი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სანიძეშო ოპერის სცენასაც კი დაამშვენებდნენ. მაგალ. ქ-ნი კავერინა და ბ-ნი სარაჯიშვილი. როგორცა სჩანს ბ-ნ სარაჯიშვილს გაუგებია „ბელ-კანტო“ დიდებული სკოლა. იგი აღჭურვილია ცრცელი სუნთქვისა და შესანიშნავი ფრაზირების უნარით. მომღერალს მოაღერს ტემპის ტენორი აქვს...“

იოლად როდი იწერებოდა მაშინ რუსეთის სატაბტო ქალაქში ამგვარი რეცენზიები.



პეტერბურგში სახელმწიფო ევანგელისტური სასახლეში 1908 წელს შეიქმნა გომანოვი საზოგადოება დაბრუნდა. 12 ოქტომბერს პირველად გამოვიდა თბილისის ოპერის სცენაზე „ტრაეიატაში“. ბილეთები იერიშით დაიტაცეს. სპექტაკლი ტანას გრილში ჩატარდა.

გაზ. „კავკაზი“ სწერდა: „12 ოქტომბერს „ტრაეიატაში“ სრული შემოსავალი მოგვცა... ხალხი მიიზიდა აღფრედის პარტიის შემსრულებელმა სარაჯიშვილმა. ბევრს წინააღიწევია, რომ ამ ახალგაზრდა მსახიობს თითქმის ზღაპრულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ...“ 20 ოქტომბერს „რიგოლეტოში“ უფრო მეტი წარმატება ზედა წილად ვანოს. სცენა ყვავილებით აივსო. ოქროს საათი, პორტსიგარი და ბევრი სხვა ძვირფასი ნივთი მიართვეს.

აი, იმავე გაზეთში მოთავსებული რეცენზია, რომელიც ვანო სარაჯიშვილის მთელი შემოქმედების დასახასიათებლად გამოდგება:

„მეტად აღტაცებულ მსმენელს არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს სანიმუშო უცვლელობა ბ. სარაჯიშვილისა, როგორც მომღერალ მხატვრისა, მას, როგორც სიანს, სურს იცოცხლოს და ისუნთქოს მხოლოდ სიმღერის ხელოვნების სიპართლითა და პოეზიით, რომელთაც იგი ცოცხლად და მხატვრულად აერთებს ერთ მთლიანობად თავის საოცარი ნიჭისა და მომხიბვლელობის ძალით... ეს მეტად იშვიათი მოვლენაა სცენაზე.“

ბ. სარაჯიშვილი განსაკუთრებული მომღერალ-მხატვარია, რომელსაც შეიძლება უსმინოთ დაუსრულებლად. ჩვენ არც ვაჩჩევთ ამ მსახიობის სიმღერას. ვერაფერია ანალიზი, ვერაფერია მოგონებანი ვერ დაგვიბრუნებს იმ ესთეტიკურ აღტაცებას, რომლითაც შეპყრობილი იქნა საზოგადოება.

მივესალმებით კეშმარიტი, კეთილშობილი ხელოვნების სინათლისა და სითბოს ამ ზეშთაფონებულ მატარებელს“.

„რიგოლეტოსა“ და „ტრაეიატას“ გარდა ვანო გამოვიდა „ფაუსტისა“ და „ევეგენი ონგინში“, მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ საქველმოქმედო კონცერტებში.

მთელი საქართველო აღაპარაკდა. პრესაში მოთავსდა ქართველი საზოგადოების მიმართ საყურადღებო წერილები—თვალის ჩინივით გაუფრთხილდით ამ იშვიათი ნიჭის მქონე მომღერალსო. ვანოს კი ურჩევდნენ „ჩქარა გაქცეულიყო იტალიაში“ თავის ოსტატობის სრულსაყოფად. მაგრამ, ამავე დროს ვერც ამეტებდნენ ამ ჯადოქარს.

ერთ რეცენზიაში ვკითხულობთ:

„ახლანდელ საოპერო სეზონში ტრიუმფულ სპექტაკლად უნდა ჩაითვალოს „ფაუსტი“ იმ შემადგენლობით, რომლითაც იგი დაიდგა შაბათს 11 ნოემბერს. დარბაზი რომ ხალხით იყო გაქვდილი ამას, რა თქმა უნდა, ანტრეპრინმა უნდა უმადლოდეს თბილისის ახალ ღვთაებას სარაჯიშვილს, რომელმაც ამ დღეს თავის გამოსათხოვარი ბენეფისი გამოაცხადა... მომღერალმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცა თუ რა შიდიარ ვოკალურ შესაძლებლობათა პატრონია იგი, და თავისი მუსიკალობის წყალობით რა რიგ მცირე ღონისძიება უნდა გამოიყენოს, რომ ოპერის დიდი მომღერალი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ სარაჯიშვილმა ყურად იღო შეგობრებისა და ნაცნობების მუდარა და როგორც შევიტყვეთ უკვე გადაჭრით მოემზადა

ფორთოხლის და ტენორების მადლიან ქვეყანაში გასამგზავრებლად უნდა ვგაჩერებდნენ ზიდეც ერთი სპექტაკლისათვის, რათა განმეორებულად უნდას "ფაუსტი".

ვანო ოპერის თეატრში არ შებრუნებულა. ოღონდ ვალ. გუნიას ბიწვევით მოსაწილეობა მიიღო „არტიტული საზოგადოების“ დარბაზში 14 ნოემბერს გამართულ სპექტაკლში.

ხოციელდელია ვანოს დიდი ხნის ოცნება: თბილისში გამოსვლების შემდეგ, მის განკარგულებაში აღმოჩნდა თანხა, რაც იტალიაში გამგზავრების სამუშაოებს აძლევდა. დახმარებას შეჰპირდა დავით სარაჯიშვილიც.

1906 წლის დამლევს, პეტერბურგსა და თბილისში ტრიუმფის შემდეგ, ვანო გაემგზავრა იტალიაში.

ვანო სარაჯიშვილი „ფორთოხლისა და ტენორების“ ქვეყნის — იტალიის პირველი ქართველი სტუმარი როდი იყო. 60-იან წლებში ევროპის უდიდეს ცენტრებში ბრწყინვალე წარმატებით გამოდიოდა პიანისტი ალოიზ მიხანდარი, რომელსაც ვენის პრესამ გენიალური ოსტატი უწოდა. 70-იან წლებში იტალიაში დიდს წარმატებით მღეროდა მილანის ოპერის პრემიერი, ბანი ფილ. ჭორიძე. 1895 წელს მილანში წარმატებით დაასრულა მეცადინეობა არჩვეულებრივი ხმის პატრონმა (დრამ. ტენორი), პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების სტიპენდიატმა პ. მ. კაკაბაძემ. სამწუხაროდ მას არ დასცალდა — სამშობლოში დაბრუნებისთანავე გარდაიცვალა. მილანშივე დაასრულა მეცადინეობა პარიზის „გრანდ ოპერის“ პრემიერმა მიშელ დარიალმა (მ. ნანობაშვილმა). იტალიაში სწავლობდნენ სხვა ქართველი მომღერლები, რომლებსაც აქ არ ჩამოეთვლით.

ვანოს ჩასვლისას იტალიაში დიდს წარმატებით მღეროდა ელენე იოსების ასული თარხნიშვილი. ოპ. „სოფლის პატიონების“ ავტორი, მასკანი, ამერიკაში საგასტროლოდ სავანგებო დასს ადგენდა და ლასკალას თეატრში დახურული კონკურსი მოაწყო. აქ 14 მონღერალში გაიპარჯვა ე. თარხნიშვილმა და მასკანისთან ერთად მოიარა ამერიკა. ე. თარხნიშვილის სალონში თავს იყრიდნენ სახელგანთქმული მომღერლები და მუსიკოსები. აქ დაუახლოვდა ვანო სარაჯიშვილი თ. შალიაპინს, რომელიც აღტაცებული იყო მისი დიდებული ხმით. მილანში ვანო მეცადინეობდა პროფ. კასტელანოსთან, მაგრამ უმეტეს დროს თვითგანვითარებას ანდომებდა; უსმენდა უდიდეს მომღერლებს, სწავლობდა იტალიურ ხალხურ სიმღერას. შალიაპინის თაოსნობით ვანო ბრწყინვალედ გაძვიდა „ლასკალას“ თეატრში. ამის შემდეგ ვანოს წინადადება მისცა შალიაპინმა გაჰყოლოდა მას საგასტროლოდ პარიზში ოპერა „ბორის გოდუნოვი“ მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ვანო პირველ ტენორად მიიწვიეს ქ. პარმაში, სადაც გამოდიოდა „დონპასკვალუხა“, „მანონა“ და სხვა ოპერებში. პარმის შემდეგ ვანო მღეროდა ტრიესტში, შემდეგ — ნიკოზა.

ნიკოზაში ვანო პირველად გამოვიდა ოპერა „კარმენში“. საზოგადოება ტანის ჭეხილით შეეგება, ვასაოცარი ხმის მქონე უცნობ დონ-ბოზეს, რომელიც არა ნაკლებ ბიბლავდა ყველას თავის გარეგნობითა და ტემპერამენტით.

დარბაზში მყოფმა რუსმა მწერალმა კუპრინმა დაჰყარა ვონასწორობა, ვანოს კულისებში მიეჭრა, გადაეხვია და გადაჰკოცნა. მის ვარტყბზე სხვა ღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო რომ მომაჯადოებელი დონ-ხოზე იყო პატარა „საქართველოს ბულბული“ და არა რომელიმე დიდი ერია შვილი, რომელმაც ათეული ათასები დახარჯა მის აღზრდაზე.

ვანომ შესანიშნავად შეისწავლა იტალიური და ფრანგული ენები. მოამზადა რამდენიმე ახალი პარტია, ახლა მას თავისუფლად შეეძლო ემღერნა იტალიურად მთელი თავისი რეპერტუარი და მღეროდა კიდეც. იტალიელმა მომღერლებმა მას თავიანთ ყაიდაზე გადაუცეთეს გვარი და „სარაჯინი“ შეარქვეს.

იტალიური პრესა შესანიშნავ რეცენზიებს ათავსებდა ვანოზე. ეს რეცენზიები ვანომ ბლომად ჩამოიტანა თან, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდე მათ არ მოუღწევია. საქართველოში მოუთმენლად მოელოდნენ სახელოვანი თანამემამულის დაბრუნებას.

დიდებულმა რუსმა მომღერალმა შალიაბინმა, რომელიც, როგორც ცნობილია იშვიათად თუ ვისმეს აღიარებდა თბილ სიტყვას, პატივისცემის ნიშნად ვანოს თავისი სურათი უთავაზა წარწერით:

„სახსოვრად ძვირფას ქაბუქს ვანო სარაჯიშვილს, წარმატების გულწრფელი სურვილით. ზეოდორ შალიაბინი. 10/VI 1907 წ. მილანო“.

1908 წელს პეტერბურგის იტალიური დასის ანტრეპრენიორის გვიდის წარმომადგენელი, დუმა, იტალიაში ახალ დასს ადგენდა რუსეთის სატახტო ქალაქში საშობაწოდ. დუმამ მიიწვია განთქმული მომღერლები: ოლიმპია ბარონატი, ჯირალდონი, ანსელმი და სხვანი. პირველი ტენორის პარტიებზე მან მიიწვია ვანო სარაჯიშვილი.

1908 წლის შემოდგომაზე ვანო სამშობლოში დაბრუნდა. საზოგადოება უმწიკლო სიხარულით შეეგება. იგი გასტროლებზე მიიწვიეს სახაზინო თეატრში. 11 ნოემბერს გამოვიდა „რიგოლეტოში“, შემდეგ „ტრავიატაში“ და სხვა ოპერებში. გარდა ძველი რეპერტუარისა ვანომ პირველად იმღერა თბილისში ნადირის („მარგალიტის მამიებლები“) და ვილქელმ მაისტერის (ოპ. „მინიონ“) პარტიები. ყველა პარტია შესრულებულ იქნა იტალიურ ენაზე.

დიდებული იტალიური ბელ-კანტო ახლა მომეტებული ოსტატობით ეღერდა მათ ბაგეზე; სცენიურადაც უფრო მეტად დახელოვნებულიყო. „ზაკავაზსკოე ობოზრენიე“ და სხვა გაზეთები სწერდნენ:

„ტენორი სარაჯიშვილი იმ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გამოჩენა არტისტული შემოქმედების სარბიელზე ამ ბოლო დროს მეტად იშვიათი მოვლენა გახდა, განსაკუთრებით რუსეთში... მის ხმას განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია: იგივე მომაჯადოებელი ტემბრი, ყველა რეგისტრში თანაბარი ბგერა, ხმის ფილირების განსაცვიფრებელი ოსტატობა“.

„...სარაჯიშვილმა ქეშმარიტი ინტერესი გამოიწვია და სპექტაკლს ბოლომდე გამარჯვებული დარჩა“... „იგი იტალიური სკოლის მემკვიდრეა, მეთხუთსეულობის არია არაჩვეულებრივი ოსტატობით შეასრულა და მოგვეგონა იტალიური სკოლის საფეხეთს ოსტატები“.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად „მარგალიტის მამიებლებში“, რაც ხაზგასმით აღნიშნა პრესამ და მართლაც, ნადირის პარტიაში ეანოს იშვიათად ჰყავდა მეტოქე მთელს მსოფლიოში. ეანოს ყოველი გამოსვლა ეროვნული ზემის სახეს იღებდა.

მილანში დადებული ხელშეკრულების თანახმად ეანო პეტერბურგს გამგზავრა იტალიურ დასში მონაწილეობის მისაღებად. იტალიელი მომღერლები თავიანთ სისხლ-ხორცად სთვლიდნენ ეანოს, რომელსაც ასე უხადლოდ ჰქონდა შეთვისებული მათი სამაჟო ბელ-კანტო, ენა, არტისტული მანერა და კლასიკური ტრადიციები. პეტერბურგის საზოგადოება დიდის პატივისცემით ეგებებოდა მის ყოველ გამოსვლას და იტალიელ ოსტატებთან ერთად მქუხარე ტაშით და ძვირფასი თაიფულებით აჯილდოებდა.

1909 წლის ზაფხულში ეანო 12 გასტროლზე მიიწვია ვალენტინოვმა კისლოვოდსკში. მასვე მოწვეული ჰყავდა შალიაპინი, სმირნოვი, ტარტაკოვი და სხვა განთქმული მომღერლები. ეანო დიდის წარმატებით გამოვიდა აქ „ლაკმეში“, „რიგოლეტოში“, „ტრაქიატაში“, „ტაისში“, „მარგალიტის მამიებლებში“ და სხვა ოპერებში.

— სარაჯინი მონაწილეობს, ამას წინათ იტალიაში მოვეუსმინე, განსაკვირვებელი მომღერალია...

— სარაჯინი, სარაჯინი! გაასმოდა ხალხში. სალაროსთან მუდამ ჩოჩქოლი იყო. ეანო შემეგ წლებშიაც ხშირი სტუმარი იყო კისლოვოდსკის.

განსაკუთრებული ტრიუმფით ტარდებოდა იმ ხანად ეანოს კონცერტები მთელს საქართველოში.

ეანომ მოვლო მშობელი ქვეყანა და მთელს ხალხში სათუთი სიყვარული გამოიწვია.

1910 წ. 26 აპრილს ეანომ დაიწერა თბილისში ჯვარი ნინო პლატონისასულ ქიქოძეზე. სექტემბერში სარატოვს გამგზავრა იქაურ საოპერო დასში მიწვევის გამო.

1912—13 წლის სეზონში ეანო კვლავ თბილისის საოპერო დასში მღეროდა ივ. ფალიაშვილის მოწვევით, რომელიც ანტრეპრიზას დანაგებდა.

1915—16 წლის სეზონში ივანე ფალიაშვილმა დასი შეადგინა ციმბირის ქალაქებში საგასტროლოდ. პირველ ტენორად ეანო მიიწვია. ეანო უდიდესი წარმატებით მღეროდა პერმისა და ეკატერინებურგის თეატრებში. დრამატული ელფერი, რაც ბოლო დროს მოსდგამდა მის მომწოდოვებელ, უნაზეს ხმას, აქ უფრო თვალსაჩინო გახდა. ეანოს ბობოქარი ტემპერამენტი ვერ თავსდებოდა ლირიკული ტენორის ჩარჩოებში. დაუცხრომელი სულიერი წვა უმძაფრეს დრამატიული განცდებისაგან მისწრაფოდა.

1917 წლის სეზონი ეანომ ბაქოს ოპერაში გაატარა. აქ პირველად გააცნო ეანომ ფართო საზოგადოებას ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომი“, ნაწყვეტები დ. არაყიშვილის „შოთა რუსთაველიდან“ და სხვა მშობლიური ჰანგი. ოპერაში გულთბილად ეგებებოდნენ.

ბაქოში ინტერნაციონალური საზოგადოება ტრიალებდა. ეანოც ინტერ-

ნაციონალური პროგრამით გამოდიოდა მათ წინაშე: აქ იგი მღეროდა აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებში.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ვანო სამშობლოში დაბრუნდა და უზედავად ბევრი თხოვნისა აქედან ფეხი არსად გაუდგამს. 1918 წელს ა. წუწუნავამ მიიწვია თბილისის ოპერის დასში. ვანოს ღირიყულ რეპერტუარს დრამატიულიც მიემატა: იგი დიდის წარმატებით გამოდიოდა „აიკის ქალში“, „კარმენში“, „აიდაში“, „პუგენოტებში“, „აბესალომში“. აქედანვე დაიწყო ქართული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე პერიოდი—ეროვნული ოპერის განთავადი და აღორძინება. ზაქ. ფალიაშვილთან და დ. არაყიშვილთან ერთად ვანო მისი პირველი მერცხალი, მებაიჩახტრე და მიმრქმელი გახდა.

ამ ისტორიულ სარბიელზე მათ ღირსეულად უმშვენებს მხარს ჩვენი საყვარელი მომღერალი, სახალხო არტისტი სანდრო ინაშვილი. მან შემოგვიანახა ვანო სარაჯიშვილის ვოკალური კეთილშობილების ანარეკლი. პეტრე მირიანაშვილმა ხომ პირდაპირ ძალად გამოჰკლიჯა ზაქარიას პოეტურ ოცნებას ჩვენი სამკვდრო-სასიცოცხლო „აბესალომში“. ბოლოს „აბესალომის“ დახვეწაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მწერალს ილია ზურაბიშვილს.

ქართულ ორიგინალურ ოპერას წინ უსწრებს უცხო კომპოზიტორთა ნაწარმოებების თარგმნა და ქართულად შესრულება: პირველად შესრულდა ჩვენი სისხლით ნათესავის—ანტ. რუბინშტეინის „დემონი“, რაც თემატიურადაც გვენათესავება (რუბინშტეინს დედა ქართველი პყავდა, „დემონში“ უხვად მოიპოვება ქართული პანგები, რომლებსაც დედა აკვანთან უგალობდა მომავალ კომპოზიტორს).

1837 წლის იენისის დამდეგს, ქუთაისში, ფილიმონ ქორიძის ქალთა გუნდმა შეასრულა ქართულად საგუნდო სიმღერა „დემონიდან“.

1890 წ. მარტის 4-ს ლ. აღნიაშვილის გუნდის კონცერტზე მომღერალმა ბურჯანაძემ შეასრულა ქართულად დემონის არია „ნუ სტირ ბავშვო...“

1897 წ. დეკემბრის 20-ს პეტერბურგში დაიდგა მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცხივირის“ I აქტი. (მთლიანად დაიდგა 1925 წელს თბილისში).

1902 წ. თებერვ. 16 ქართ. თეატრში დაიდგა „დემონის“ მეორე აქტი. (თარგმანი ია კარგარეთლისა, ლობჯინა ნ. გ. ქართველიშვილი).

1904-5 წ. სეზონში პეტერბურგში ქართვ. სტუდენტთა ჯგუფმა დასდგა „დემონი“. (ეკატერინე, ვანო და ალექსანდრე სარაჯიშვილების მონაწილეობით).

1905 წლ. მაისის 9 დაიდგა თბილისში „სევილიელი დალაქი“ (ვ. გუნიაშვილის თარგმ.) იგივე დადგმა განმეორდა სახ. თეატრში იმავე წლის ნოემბრის 22-ს.

1906 წლ. იანვ. 22—„დემონი“ (ვ. გუნიაშვილის და ი. კარგარეთლის თარგმანი).

1906 წ. აპრ. 18—„ფაუსტი“ (დ. ნაზუცრიშვილის თარგმ.).

1906 წ. მაისში—„ფიგაროს ქორწინება“ (არტ. ახნაზაროვის თარგმანი, მოცარტის 150 წლისთავის აღსანიშნავად).

1907 წ. აპრ. 7—„კარმენი“ (ვ. გუნდას თარგმანი. კარმენის პარტიკულარული განთქმულმა დრამის მსახიობმა ტასო აბაშიძემ, რომელიც ქართულში მიიღო ვოკალური განათლება).

1909 წ. აგვისტოს 27—ქართ. კლუბში გაიმართა ლობჯანიძის ბენეფისი. დაიდგა ქართულად ნათარგმნი ორი ოპერეტა — „უმიშარი რაინდი“ და „იტალიელთა წვეულება“.

1910 წ. აპრ. 3 ქართ. კლუბში გაიმართა კონცერტი დ. არაყიშვილის ნაწარმოებთაგან. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვანო სარაჯიშვილმა, რომელმაც პირველად შეასრულა ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

1911 წლ. ნოემბრ. 30 ქართულ თეატრში დაიდგა „სვეტიელი დილაქი“ (აღმსავალი — ვანო სარაჯიშვილი, ლობჯანიძე ნ. გ. ქართველიშვილი).

1911 წ. აგვისტოს 18 ვ. გუნდას სადამოხვე ქართულ კლუბში ვანო პირველად შეასრულა ქართულად ერეკლეს არია ოპ. „დილატიდან“. პრესამ განსაკუთრებული შეფასება მისცა ამ შესრულებას.

1913 წ. აპრილის 27 თბილისის ქართულ კლუბში პირველად შესრულდა საჯაროდ ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“. მესამე აქტი.

მავე წლის 28 მაისს განმეორდა იგივე აქტი, პირველი სურათის დამატებით (აბესალომისა და ეთერის შეხვედრა). ამჯერად აბესალომს მღეროდა ვანო სარაჯიშვილი, მურმანს — სანდრო ინაშვილი.

1916 და 1917 წლებში დაიდგა „რიგოლეტო“, „ტრავიატა“ და „ლაკმე“ (თარგმანი კ. დოდაშვილისა).

1918 წლის მაისის დამდეგს ქართულ კლუბში ზედიზედ რამოდენიმეჯერ დაიდგა პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე“ (რ. გოგინიაშვილისა). ისონის პარტიკულარულად ვანო სარაჯიშვილი. მაშინდელი პრესის შეფასებით იგი ამ როლში „ნამდვილი ზატება იყო“. იმ საშინელ პირობებში, საერთო გულცივიების ვითარებაში „ქრისტინე“ დამარცხდა.

1919 წლის თებერვალში დაიდგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. შოთას პარტიკულარულად ვანო სარაჯიშვილი.

მავე თებერვალში დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. პირველი სპექტაკლები იმდერა „ხალიპსკიმ, შემდეგ — ვანო სარაჯიშვილი.

1919 წელსვე დაიდგა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ შემდეგ — „ლეილა“. ვანო აქაც ასრულებდა ტენორის პარტიებს.

1920 წლის ნოემბრის 19 პირველად ქარ. ენაზე დაიდგა „დილატი“ იპოლიტოვიჩანოვისა (კ. ფოცხვერაშვილის თარგმანი). ერეკლეს პარტიკულარულად ვანო სარაჯიშვილი.

1923 წლის დეკემბრის 19 დაიდგა ზ. ფალიაშვილის „დიასი“. მალხაზის პარტიკულარულად ვანო სარაჯიშვილი. „დიასი“ ვანოს ცხოვრების მწუხარი გახდა. „თაეო ჩემო“ — მისი „გედის სიმღერა“.

ვანოსთან დაკავშირებით აქ გწყვეტთ ქართულად ნათარგმნისა და ქართული ორიგინალური ოპერის სქემატურ მიმოხილვას.

ამ ერთის შეხედვით იქნებ მოსაწყენ ჩამოთვლიდანაც კი ნათლად სჩანს, რამდენად შესისხლხორცებული ყოფილა ვანო სარაჯიშვილის სახელი ქართულა ოპერის წარმოშობა-განვითარებასთან.

ვანო სარაჯიშვილი „აბესალომს“ უძნელებს პარტიად სთვლიდა. თავის ვრცელს რეპერტუარში. ეს სიძნელე მის ესთეტიურ ხილვაში გამოიხატებოდა. მაყურებლის თვალწინ თანდათან იწამლებოდა სპეტაკი უფლისწულის სული და გული. მისი სასრწარვეთილი ამონაქენესი:

— მიშველეთ, ეს რა შემემთხვა...

ნაკვერცხალივით ვარდებოდა მზმუნელის გულში.

„აბესალომში“ სცენაზე ფეხის შემოდგმიდან, ბოლო ფრაზამდე, თერთად მორთული ვანო მთის მწვერვალზე აგორებულ თოვლის გუნდასავით იზრდებოდა და ბოლო აქტში საშინელ ციცაბოდან მოსხლეტილი დაიმსხვრეოდა.

— როდესაც სცენაზე სინათლე ჰქრება და აბესალომი სულსა ლევს, მე მგონია, რომ მართლა ვაჭთავდი, მას შემდეგ აღარაფერი აღარ მახსოვს... როდესაც შუქს ანთებენ და ხალხი ტაშს უკრავს, ვხედავ, თურმე ტყვილი ყოფილა ყველაფერი და... მიხარია.

აი რას ამბობდა ვანო თავის განცდაზე.

„აბესალომი“ და „დაისი“ ზაქარია ფალიაშვილმა ვანოს პოეტურ ქარგაზე გამოაქანდაჯა. „თავო ჩემო“ ვანომ შეატანინა ზაქარიას „დაისში“ გულდათუთებულ კაბუკის — მალხაზის გულის მოსაოხებლად. ვანო სარაჯიშვილის „თავო ჩემო“ ჯერ მიუღწეველი მწვერვალია. იგი უძვირფასესი სამკაულად გაპყვება „დაისს“ საუკუნეთა მანძილზე და ლეგენდასავით გადაეცემა შემდგომ თაობებს.

მაგრამ ვანო სარაჯიშვილის ისტორიული მნიშვნელობა ქართული ოპერის შექმნაში როდი ამოიწურება მარტოოდენ მისი არტიკული იერით, „გულკანური ტემპერამენტით“ ან უბადლო სულიერი წვით. რაც მთავარია, ვანომ შექმნა ქართული სტილის კლასიკური საოპერო მღერადობის ბრწყინვალე ნიმუში და გაამდიდრა მშობლიური მუსიკალური ფრაზა ისეთი ნიუანსებით, რაც საუკუნეთა მანძილზე ერთ რომელიც ბედნიერ მომღერალს თუ ხედება წილად. ამიტომაც მის მიერ შექმნილი გმირები ქართული ჩუქურთმით ეღერდნენ და ჰხიბლავდნენ მსმენელს არა მარტო შათი შემსრულებლის მომაჯადოებელი ხმით, მუსიკალობით და ხალასი განცდით, არამედ მშობლიური ჰანგის უბრწყინვალესი ამეტყველებითაც. ამაში ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულ ვანო სარაჯიშვილს ხელს უწყობდა ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერის ცოდნა.

ვანო სარაჯიშვილში, როგორც ერთ წყაროს თვალში იყო თავმოყრილი მთელი ქართველი ერის მუსიკალური კულტურის გენია.

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
 ძაღი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის...“

თუ რომელიმე ქართველი მომტრლისათვის გაჭიმეტებთ გალატიონ ტაბიძის ამ სიტყვებს, უწინარეს ყოვლისა ალალია ვანო სარაჯიშვილზე.

ქართულ ხელოვნურ რომანს წინ მიუძღვის ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ხალხური საგუნდო და ცალფა სიმღერა; სალამურის, გულ-სტვირის, ლარქემისა და ჩონგურის ოსტატთა ბრწყინვალე შემოქმედება. „ხალაღომ“ თითქმის მთელი საუკუნე იბოგინა ხალხში ზეპირად ვიდრე ზაქ. ფალიაშვილმა არ ჩასწერა და გამოცა 1900-იან წლებში. გასული საუკუნის 60-იან წლებში ოპერის ანტრაქტებში მომღერალი ფერარი ასრულებდა საგინაშვილის მიერ დაწერილ „ქართულ სიმღერას“. 1855 წელს ანტონოვის კომედიაში „მინდა კნეინა გაგხდე“ მონაწილეობდნენ მსახიობი ქალები აბრამიძე და უხნაძე, რომლებიც ჩვენი ეროვნული საკრავების ორკესტრის თანხლებით დიდის წარმატებით ასრულებდნენ ცალფა სიმღერებს „ოდეს მზებრ აღმობრწყინდები“ და სხვ. ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, დ. თუმანიშვილის და სხვა პოეტთა ბევრი ლირიკული ლექსი ცალფა სიმღერამ დაიფულა; მაგრამ ყოველივე ეს ქალაქის ფოლკლორს ეკუთვნის. ჩვენი „ურმული“, „ოროველა“, „მთათ ვალშიში“, „ინდი-მინდი“ და სხვა სიმღერები ქართული რომანსის შორეული წინაპრებია.

ქართული კლასიკური რომანის მამამთავრად მელ. ბალანჩივაძე ითვლება. 1891 წ. მელიტონმა გამოაქვეყნა „ნანა“, „შენ გეტრფი მარად“ და „ოდესაც ვაცქერ“ (ი. ზ. გობაშის გამოცემა). ამ რომანებმა სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა და დღესაც არ დაუქარგავთ მნიშვნელობა. იმავე წელს კორნელი მალრაძემ დასწერა დღეობი „ჩემს ვარსკვლავს“. მას შემდეგ დღემდე ათასობით ხალხური სიმღერა გადამუშავდა და რომანის დაიწერა ხალხური სიმღერის უზადლო ოსტატი ვანო სარაჯიშვილი პირველ შესანიშნავ შემსრულებლად მოვევლინა მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, ი. კარგარეთელის, ა. ყარაშვილის რომანებს. იგი ამ რომანებს ასრულებდა ჩვენში, მთელს რუსეთის იმპერიაში, იტალიაში. ასრულებდა აგრეთვე ხალხურ ცალფა-სიმღერებს და განსაკუთრებით „ურმულს“, რომელშიდაც მარტო სანდრო კავსაძე თუ შეედრებოდა.

კამერული მუსიკის შესრულებაში ვანოს იშვიათად თუ ვინმე გაუწევდა მეტოქეობას, ცალკეული მცირე ნაწარმოები მას გააზრებული ჰქონდა როგორც მთლიანი სიმეტრიური პოემა: ჩაჩო ეიწრო იყო, გრძნობა—უღვიფა, ყოველ რომანში ვანო ზეერთოვით ბობოქრობდა, თითქო აბა, არა არა ჩამრჩეს გულში, მოვასწრო და ჯებირები გადავლასოვო. ამიტომ ვანოს მიერ შესრულებული რომანები უკანასკნელ აკორდთანავე იქ არ კედებოდნენ უღლეურ პეპელასავით ან ჰეარშივე მიმკვებოდნენ ბოლო ასამალღებელს სანის ბუმბულით. ისინი მარმარალოს თეთრ ქანდაკებებივით გამოკვეთილად აღამიანის გონებაში, სულსა და გულში. ისინი სინანულის გრძნობით და ერთნეტლით მიაქვს მესხიურებას საფლაკის კარამდე...

იტალიიდან ვანომ ბევრი რომანის ჩამოიტანა. მათ შორის დიკაპუსა „ო, ჩემო მზეო“ და ბონჯიოვანის „ღამის პეპელა“. მათ გაქართულდება ოცნებობდა, რადგან ჩვენი ორიგინალური რომანის ჯერ კიდევ აქვანში იწვა.

იმ ხანად დიდის წარმატებით მართავდა თავის საღამოებს „ძველი ტფილისის ქეშიკი და ტრუბადური“ პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

გრიშაშვილს არავინ არ ჰგავს ლექსის კათხვაში. მის მარილიან სიტყვას

თავისებური ჯგუფი და ზარი ახლავს. ხმის თანაში, სასვენ ნეშტებზე ჯაქ-
ლაგება საკუთარი აქვს, უადგილო-ადგილას სუნთქავს, არავითარ მიზეზს
არ ემორჩილება...

ეს ოსტატი დაუცხრომელ ტანის გრიალში კითხულობდა საკუთარ ლექ-
სებს. მისი „გენაცვალე“ 1910 წელს დაიბეჭდა. იმავე წლის 8 მაისს პირვე-
ლად წაიკითხა ავტორმა სცენაზე. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ვანო
სარაჯიშვილის მუსიკალურმა სმენამ სწრაფად დაიჭირა ამ ნატიფ ლექსის
ძარღვი და ბონჯიოვანის „ღამის პეპელას“ მიუყენა, მაგრამ მისამღერო
აკლდა და ავტორს ეწვია. გრიშაშვილმა დამატებით მიუწერა:

„რა დაგიშვეს, რისთვის გამცვალე, ტურფავ,
ქირიმე შენი, შენთვის ესტორი, შემოზალე, გენაცვალე...“

ოტა ხნის შემდეგ ვანოს ბაგეზე ახალი ჯალოსნური ძალით გაინასკვა—
„გენაცვალე“... მაგრამ ღაიისაჯა გრიშაშვილი. ვანო ისე შესანიშნავად ას-
რულებდა „გენაცვალეს“, რომ ჩვენმა ბოეტმა ერთხელ და სამუდამოდ აი-
ლო ხელი მის კითხვაზე. სამაგიეროდ სოსოს „კომპოზიტორობა“ მიენიჭა.
ხალხს გადააფიქრდა ბონჯიოვანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ „გე-
ნაცვალეს“ ნოტები გრიშაშვილის ავტორობით გამოვიდა. ზაქ. ფალიაშვილ-
მა ხუმრობით უთხრა — ბიჭო, ახლა კომპოზიტორობა დაიწყეო?

„გენაცვალე“ თან წაიღო ვანომ...

„ო, ჩემო მზეო“ ვანოს კ. ანდრონიკაშვილმა და ი. გრიშაშვილმა უთარ-
გმნეს. მას „ჩემი ვარსკვლავი“ ეწოდა. ვანო გრიშაშვილის საღამოებში
მშვენიერა იყო.

— სარაჯიშვილი, გრიშაშვილი, გენაცვალე, გენაცვალე!.. ისმოდა და-
უცხრომელ ტანის გრიალში. 1920 წლის 10 ივნისს პირველად შეასრულა
ვანომ თბილისის თეატრში თ. შავერსაშვილის „ღერწამი ხარ“ (ტექსტი
გრიშაშვილისა) და ახალგაზრდა კომპოზიტორი საზოგადოებას წარუდგინა.
რუსულ რომანსებში ვანო შესანიშნავად ასრულებდა ჩაიკოვსკის, გლინ-
კას და ბევრ სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებთ.

